SSPI Slovak Security Policy Institute

დეზინფორმაციული ნარატივების ანალიზი

სლოვაკეთისა და საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში

ავტორები::

უსაფრთხოების პოლიტიკის სლოვაკური ინსტიტუტი (SSPI)
პიტერ კოულსი
პიტერ დუბოცი
მარია ალენა ჰასაკოვა

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
მარიამ წიწიკაშვილი
დავით ნაროუშვილი
ნიკა მამულაძე
იაკობ ლაჩაშვილი

ნაშრომის შექმნაში სხვადასხვა ფორმით ასევე მონაწილეობდნენ:

სტაჟიორები
ბრანისლავ ჯემრიშკა
ბენიტა ფეკეტე
მარტინ ნოკიარი
შტეფან იზაკი
ბარბორა კრასოვა

თარგმანი
ნიკოლეტა ნემეცკაიოვა
ტომას ჰასაკი

გრაფიკული დიზაინი
კრისტინა ურბანოვა

© SSPI, GRASS 2021

პროექტია დაფინანსებულია სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს დონორის ოფიციალურ პოზიციას. დოკუმენტის შინაარსზე მთლიან პასუხისმგებლობას იღებენ ავტორები.

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგია 6

სლოვაკეთი

მიმოხილვა 11

შეთქმულების თეორიები 13

უმცირესობების შესახებ გავრცელებული დეზინფორმაცია 20

უცხო ძალების მხარდამჭერი დეზინფორმაცია და რუსული პროპაგანდა 27

ნატო-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია 33

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია 42

საქართველო

შესავალი 48

დეზინფორმაცია ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე 50

პრორუსული დეზინფორმაცია და რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა 64

NATO-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია და პროპაგანდა 74

დეზინფორმაცია ევროკავშირის წინააღმდეგ 85

აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა 95

ანტი-თურქული დეზინფორმაცია და პროპაგანდა 100

დასკვნა 109

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ დეზინფორმაცია და დეზინფორმაციული კამპანიები ახალი ფენომენი არაა, უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტებს შორის აქტიური დისკუსია მიმდინარეობს მათგან მომდინარე საფრთხეების შესახებ. ისინი ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ ელემენტად მიიჩნევა, რომელსაც სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები საკუთარი ინტერესების მისაღწევად იყენებენ. მიზეზი, რის გამოც დეზინფორმაცია უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, საინფორმაციო გარემოში მომხდარი ცვლილებებია. ინტერნეტის განვითარებამ და სოციალური მედიის მომხმარებელთა სწრაფმა ზრდამ, ინფორმაციული ნაკადის უწყვეტობასთან ერთად, ხალხის მიერ ინფორმაციის მიღების გზებში ცვლილებები გამოიწვია.

ჩვენ ვართ მოწმე ე.წ. ალტერნატიული მედიის აღმასვლისა, რომელიც საკუთარ თავს კარგად დამკვიდრებული მეინსტრიმული მედიის ოპოზიციად წარმოადგენს. ეს ალტერნატიული მედია დეზინფორმაციას ხშირად ავრცელებს და მისი აუდიტორიის მანიპულირებას ცდილობს, თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი მაინც პოპულარულები ხდებიან. სლოვაკეთში ჩატარებულმა ბოლოდროინდელმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სლოვაკების 13%-ზე მეტი კვირაში ერთხელ მაინც სტუმრობს დეზინფორმაციულ საშუალებებს, ხოლო შედარებისთვის, მეინსტრიმულ მედიას (კვირაში ერთხელ მაინც) - თითქმის 28% [1].

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული მედია, როგორიცაა ტელევიზია, რადიო ან ბეჭდური გაზეთები, სლოვაკების უმრავლესობისთვის კვლავ ძირითადი ინფორმაციის წყაროა, ეს მოცემულობა იცვლება და იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც სოციალურ ქსელში იღებს ახალ ამბებს, იზრდება. Facebook-ი 2.6 მილიონი მომხმარებლით სლოვაკეთში უდიდესი სოციალური მედიის პლატფორმაა. ამიტომ კომუნიკატორი, იქნება ეს სახელმწიფო ინსტიტუტები, კერძო კომპანიები, პოლიტიკოსები, ტრადიციული თუ დეზინფორმაციული მედია, უნდა მოერგონ და ისე შეცვალონ თავიანთი კომუნიკაციის ფორმები, როგორც დღესდღეობით ადამიანები ინფორმაციას მოიხმარენ.

სოციალური მედია პლატფორმები დეზინფორმაციის გავრცელებისთვის იდეალური საშუალებაა, რადგან ისინი ქმნიან სოციალურ ბუშტებს (ე.წ. „ბაბლებს“). ეს ნიშნავს, რომ მომხმარებლები მიდრეკილნი არიან, რომ მსგავსი მსოფლმხედველობის ადამიანებთან ასოცირდნენ, რაც ერთგვაროვან დახურულ ჯგუფებს ქმნის, სადაც ჯგუფის ინდივიდუალური წევრები თავის მსოფლმხედველობასა და მოსაზრებებს ერთობლივად აძლიერებენ. აქედან გამომდინარე, მსგავსი ჯგუფის („ბაბლის“) წევრები ფართო კონტექსტს აღარ აღიქვამენ და ჯგუფში გამოყენებულ არგუმენტებს კრიტიკულად არ აფასებენ. სოციალური მედია გახდა მობილიზაციის, სხვადასხვა ნარატივისა და დეზინფორმაციის გავრცელებისა და საინფორმაციო ოპერაციების განხორციელების საშუალება. როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორები სულ უფრო ხშირად იყენებენ სოციალურ მედიას, როგორც ინსტრუმენტს, რომ მათი სამიზნე ჯგუფის ქცევაზე, დამოკიდებულებაზე, განწყობასა და მოსაზრებებზე გავლენა მოახდინონ. ამ ტრენდს სოციალური მედიის „იარაღად გამოყენება“ (weaponization) ეწოდება, რაც ნიშნავს, რომ სოციალური მედია ბრძოლის ველი ხდება, სადაც მტრული ინფორმაცია სამიზნე ჯგუფს თავს ესხმის. სოციალური მედიის მომხმარებლები აღნიშნულ რისკებს

ხშირად ვერც კი ხვდებიან, რაც მას კიდევ უფრო საშიშს ხდის.

სხვა მიზეზებთან ერთად, დეზინფორმაციის გავრცელება საშიშია, რადგან წარმატებულ დეზინფორმაციულ კამპანიას დემოკრატიულ პროცესსა და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენა შეუძლია; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგებს შორის საკმაოდ მცირე სხვაობაა, საკმარისია, რომ კანდიდატთან დაკავშირებით მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღოს გადაწყვეტილება მცდარ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციაზე დაყრდნობით. მსგავსი ხერხებით არჩევნების შედეგებზე მანიპულაცია ვიხილეთ გაერთიანებულ სამეფოში „ბრექსიტის“ რეფერენდუმის შემთხვევაში, აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისა და ასევე 2017 წელს რამდენიმე ქვეყნის არჩევნების შემთხვევებში.

გარდა ამისა, დეზინფორმაციული გამოცემები ტრადიციული მედიის სანდოობას ძირს უთხრის. დღეს ძალზე ადვილია ვებსაიტის შექმნა, რომელიც სერიოზულ საინფორმაციო პორტალს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში მისი მიზანია დეზინფორმაციის გავრცელება, ან რეკლამირებიდან მოგების მიღების მიზნით ან პოლიტიკური მიზეზებით. ასეთი გამოცემები ხშირად ავრცელებენ სხვადასხვა შეთქმულების თეორიას და რაც მთავარია, ხარისხიანი ჟურნალისტიკის ძირითად პრინციპებს ხშირად არ მისდევენ. საკუთარი თავის სანდო მედიად წარმოდგენით ისინი კლასიკური, სერიოზული ახალი ამბებისადმი ხალხის ნდობას ძირს უთხრიან.

სლოვაკეთის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც 2020 წლის თებერვალში ჩატარდა, სხვადასხვა მიზეზების გამო იყო გამორჩეული. ამ კვლევისთვის რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნო კამპანია გამორჩეული იყო და სლოვაკეთის კონტექსტში უპრეცედენტო, რადგან პირველად, პოლიტიკურმა პარტიებმა ონლაინ კამპანიებში დიდი ფინანსური რესურსი ჩადეს, რაც ნიშნავს იმას, რომ სოციალურ მედიაში, როგორიცაა Facebook-ი, Instagram-ი და YouTube-ი უამრავი პოლიტიკური რეკლამა იყო [2].

საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი საკვანძო მომენტი, რომელმაც პარტიას - Ordinary People and Independent Personalities („ჩვეულებრივი ხალხი და დამოუკიდებელი პერსონალიები“) - შეუწყო ხელი (აღნიშნულმა პარტიამ არჩევნებში დიდი სხვაობით გაიმარჯვა), იყო Facebook-ის პირდაპირ ეთერში გაშვებული ვიდეო. აღნიშნული ვიდეო 1,6 მილიონმა მომხმარებელმა ნახა. მაშინ როდესაც ზოგი პოლიტიკური პარტია სლოვაკეთის ყველაზე გავლენიან დეზინფორმაციულ გამოცემა - Hlavné správy-ზე („საუკეთესო ამბები“) ათავსებდნენ თავის რეკლამებს, რითაც მის არსებობას ლეგიტიმაციას უწევდნენ და მათ საქმიანობას აფინანსებდნენ, სხვა პარტიებმა შეცდომაში შემყვანი ვიდეოები შექმნეს, რომლიც მათი პოლიტიკური ოპონენტების შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებდა. აღნიშნული ვიდეოები სოციალურ მედიაში რეკლამების სახით იყო განთავსებული [3]. კიდევ ერთი ფენომენი, რომელიც ჩვენ შევამჩნიეთ, იყო Facebook-ში ანონიმური მხარდამჭერი გვერდები, რომლებიც რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან პირდაპირ დაკავშირებულნი არ იყვნენ, თუმცა პოლიტიკური ხასიათის მასალას პოსტავდნენ. ეს დაკვირვება ასევე გამოვლენილი იყო Globsec-ის კვლევაში, რომელიც არჩევნების წინ სლოვაკეთის საინფორმაციო გარემოს უწევდა მონიტორინგს [4]. ეს მხარდამჭერი გვერდები ძირითადად საწინააღმდეგო კამპანიის („ანტიკამპანიის“) საწარმოებლად შექმნილი მარიონეტები („პროქსები“) იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი მასალიდან აშკარაა, თუ რომელ პარტიებს უჭერდნენ მხარს, პირდაპირი კავშირის დადასტურება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ყველა ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო, ჩვენმა ინსტიტუტმა გადაწყვიტა სლოვაკეთსა და საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე კონკრეტულად არჩეულ დროის მონაკვეთში დეზინფორმაციული გამოცემების მიერ გავრცელებული ნარატივების მონიტორინგი, ანალიზი და შესწავლა. ეს კვლევა არის ნაწილი პროექტისა სახელწოდებით - „სლოვაკეთისა და საქართველოს ბრძოლა დეზინფორმაციის წინააღმდეგ: სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა, სახელმწიფო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი/რეგიონული მთავრობის შესაძლებლობების განვითარება“, რომელიც სლოვაკეთის უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუტმა საქართველოს რეფორმების ასოციაციასთან ერთად დაიწყო. პროექტი ფოკუსირდება ახალგაზრდა პროფესიონალების უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განვითარებაზე, რომელთაც აქვთ პოტენციალი შეუერთდნენ სახელმწიფო, ადგილობრივ და რეგიონულ ადმინისტრაციებს მათი პროფესიული კარიერის მომავალში. ამავდროულად, პროექტი დეზინფორმაციული კამპანიების შესახებ, განსაკუთრებით საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით, ფართო საზოგადოების ინფორმირებულობას ზრდის.

მეთოდოლოგია

ბოლო წლებში პოლიტიკური კამპანიების ონლაინ სივრცეში წარმართვა სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა ინტერნეტის მზარდი გამოყენების, ინტერნეტში განთავსებული მასალის არასაკმარისი რეგულირებისა და მომხმარებლის პოლიტიკის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სირთულის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურია. ამრიგად, ონლაინ სივრცე ამომრჩეველთა დიდი რაოდენობის ქცევასა და გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მოსახდენად, არამხოლოდ ფაქტობრივად სწორი და რელევანტური სიახლეების მიწოდებით, არამედ ხშირად დეზინფორმაციისა და სხვადასხვა მანიპულაციური ტაქტიკის გამოყენებით, თითქმის იდეალური საშუალება გახდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში საქართველოსა და სლოვაკეთის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიასთან პირდაპირ ან ირიბ კავშირში მყოფი პოტენციური დეზინფორმაციის გამოსააშკარავებლად ყურადღება ქართველ და სლოვაკ აუდიტორიაზე მომუშავე ვებგვერდებზე გამოქვეყნებული მასალის ანალიზზე გავამახვილეთ. მეთოდოლოგიის შემდგომ ნაწილში უფრო დეტალურადაა განმარტებული შერჩეული ვებგვერდების კვლევისთვის შერჩევის მიზეზები და აღნიშნული ვებგვერდების მიერ გამოქვეყნებული მასალის ანალიზის პროცესი.

როგორც მეთოდოლოგიის შესავალში უკვე აღინიშნა, დეზინფორმაციის შესახებ კვლევის ფარგლებში, ყურადღება მხოლოდ ონლაინ სივრცეზე გამახვილდა და ონლაინ მედიისა და ვებგვერდების მასალაზე ვიწრო ფოკუსის აღება განზრახ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, შესაძლოა, სოციალური მედია მისი ფართო მოხმარების გამო, კვლევისთვის უფრო შესაფერის სივრცედ წარმოვიდგინოთ, ჩვენ დასკვნით, ასეთი აქცენტის გაკეთება სასარგებლო არ იქნებოდა, ვინაიდან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უკვე ჩატარებულია არაერთი კვლევა, რომლებიც სოციალურ მედიას ფარავს. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ამ მიმართულებით კვლევის წარმოება არ ვარჩიეთ, არის ის, რომ სოციალური მედია ხშირად გამოიყენება მხოლოდ, როგორც იმ მასალის გაზიარების საშუალება, რომელიც სხვა ვებგვერდებზე იქმნება. ამის მიუხედავად, გაზიარებების ან ინტერაქციების რიცხვის დადგენა გავრცელებული ინფორმაციის ვირუსულობისა და შეღწევადობის (reach) შესაფასებლად აუცილებელი საზომია; ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ კვლევის ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორები გამოგვეყენებინა. გამონაკლისი, სადაც სოციალური მედიის მასალაც შედიოდა და გაანალიზებული იყო, არის საქართველოს შიდა მოვლენებთან დაკავშირებული თავი, რადგან ამ მიმართულებით სოციალური მედიის წყაროების მიერ გავრცელებული პროპაგანდის გამოტოვებით, წინასაარჩევნო პერიოდში დეზინფორმაციის ეკოსისტემის სრულ სურათი ვერ შეიქმნებოდა.

კვლევა საქართველოში და სლოვაკეთში მოქმედი ონლაინ მედიის მიერ გამოქვეყნებული მასალის ანალიზით შემოიფარგლა. კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს, იმ მტკიცების დადასტურება ან უარყოფა წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც, სლოვაკეთში, ევროკავშირისა და NATO-ს წევრ სახელმწიფოში, გავრცელებული დეზინფორმაცია, განსხვავებული ხასიათისა და მასშტაბისაა, ვიდრე საქართველოში გავრცელებული დეზინფორმაცია - იმის

გათვალისწინებით, რომ საქართველო ზემოხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი არაა და მეტიც, რუსეთის ფედერაციის უშუალო სიახლოვეში მდებარეობს. აღნიშნული ორი ქვეყნის მსგავსი კუთხით შედარება უპრეცენდენტოა, რამეთუ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ამ ტიპის კვლევა ტარდება.

ვებგვერდების გასაანალიზებლად შერჩევა ორივე ქვეყნის საინფორმაციო სივრცეში მათი საქმიანობის კვლევამდე არსებული გრძელვადიანი მონიტორინგის საფუძველზე მოხდა. კვლევის მიზნის მიხედვით, ყურადღება პრობლემური მასალის გამომქვეყნებელ ვებგვერდებზე გამახვილდა, ხოლო მის ამოცანას აღნიშნული გვერდების მიერ გამოქვეყნებული არჩევნებთან დაკავშირებული მასალის შეფასება წარმოადგენდა და არა იმის ხელახლა დამტკიცება, რომ აღნიშნული ვებგვერდები მავნე და შეცდომაში შემყვანი შინაარსის მასალას ქმნიან. ეს კი მოიცავდა იმის ანალიზს, თუ ვებგვერდებმა კონკრეტულად რა ტიპის დეზინფორმაცია გაავრცელეს და როგორ მოახდინეს გავლენა ამომრჩეველზე. კვლევის შემდგომ ეტაპზე, შედარებითი ანალიზი გაკეთდა, რათა გამოკვეთილიყო ორ ქვეყანაში გავრცელებული დეზინფორმაციის საერთო ან განმასხვავებელი მახასიათებლები. თითოეული ნარატივისა და მათი თავისებურებების სწორად და სრულყოფილად იდენტიფიცირებას დეზინფორმაციასთან, როგორც ერთ-ერთ თანამედროვე ჰიბრიდულ საფრთხესთან ბრძოლის კუთხით სამომავლოდ ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნულ კვლევაში გამოყენებული სლოვაკური ვებგვერდები შეირჩა პროექტ konšpirátori.sk-ზე დაყრდნობით, რომელიც მონიტორინგს უწევს დეზინფორმაციისა და შეთქმულების თეორიების გამავრცელებელ ვებგვერდებს. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, Konšpirátori.sk–ის მიერ გამოყენებული ვებგვერდების სია სამონიტორინგო ინსტრუმენტისა და ანალიტიკური პლატფორმა CrowdTangle-ის საშუალებით გაიფილტრა; საკვლევ სფეროსთან დაკავშირებული საკვანძო სიტყვების საფუძველზე, შეირჩა ვებგვერდები, რომელთაც Facebook-ზე ჰქონდათ ყველაზე მეტი ინტერაქცია და ამავე დროს, თავიანთ მასალას მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც პოლიტიკურ თემებს უთმობდნენ. შეთქმულების თეორიების გამავრცელებელი მრავალი ვებგვერდი ყურადღებას როგორც წესი იმ თემებზე ამახვილებს, რომლებიც პოლიტიკას ან მასთან დაკავშირებულ საკითხებს არ ეხება, რის გამოც, მსგავსი ვებგვერდები კვლევის დასაწყისშივე შეფასდა, როგორც კვლევისთვის არარელევანტური და მათი გამოკვლევა არ მომხდარა. შესაბამისი ვებგვერდებისა და მათი მასალის გამოსავლენად გამოყენებული კონკრეტული საკვანძო სიტყვები ჩამოთვლილია შესაბამის ქვეთავებში, რომლებიც საკვანძო სიტყვების შერჩევის მოკლე დასაბუთებასაც მოიცავს. ამ გზით იდენტიფიცირდა 24 ვებგვერდი და 1766 სტატია, რომლებიც შემდეგ მკვლევარებმა შეაფასეს.

აღნიშნულ კვლევაში გამოყენებული ონლაინ მედიების (და Facebook გვერდების/ჯგუფების/ანგარიშების) შერჩევა, რომლებიც ქართულ საინფორმაციო სივრცეში დეზინფორმაციულ და პროპაგანდისტულ ნარატივებს ავრცელებენ, საქართველოს რეფორმების ასოციაციისა (GRASS) და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ აქამდე გამოქვეყნებული ანგარიშების საფუძველზე მოხდა. GRASS-ს, რომელსაც დეზინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, პროპაგანდისტული კამპანიების მონიტორინგზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, მსგავს კამპანიებში ჩართული აქტორების თითქმის სრულყოფილი სია გააჩნია. არსებული მონაცემების საფუძველზე და კვლევის

მიზნების შესაბამისად, მონიტორინგის პროცესი ანალიტიკური ინსტრუმენტის CrowdTangle გამოყენებით განხორციელდა, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეფილტრა წყაროები და აგრეთვე გაგვეზომა დეზინფორმაციის წყაროებისა და სხვადასხვა ტიპის მასალის მიერ მიღებული ინტერაქციის რაოდენობა Facebook-ზე. გარდა ამისა, Facebook გვერდების ნაწილი საქართველოს შიდა მოვლენებთან დაკავშირებული თავისთვის ISFED-ის მიერ შემუშავებული პლატფორმიდან - Disinfoobserver.ge - შეირჩა. პლატფორმა მოიცავს Facebook გვერდებს, რომლებიც ჩართულნი არიან მადისკრედიტებელ კამპანიებსა და არაავთენტურ ქცევაში, და ძირითადად პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე ავრცელებენ ცრუ და მანიპულაციურ ინფორმაციას. დასახელებული გზებით იდენტიფიცირდა 23 ვებგვერდი და 1876 მასალა, რომლებიც შემდეგ მკვლევარებმა შეაფასეს.

კვლევის ფარგლებში, შევაფასეთ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში - საპარლამენტო არჩევნებამდე სამი თვით ადრე - შერჩეულ ვებგვერდებზე გამოქვეყნებული მასალა. საქართველოში ეს განსაზღვრული პერიოდი 01.08.2020-დან 31.10.2020-მდე, ხოლო სლოვაკეთში 27.11.2019-დან 27.02.2020-მდე გაგრძელდა; ორივე ქვეყნის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა მორატორიუმი, ანუ ის პერიოდი, როდესაც პოლიტიკური კამპანიის ნებისმიერი ფორმით წარმოება საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია. სამთვიან პერიოდზე ყურადღების გამახვილება იმითაა განპირობებული, რომ წინასაარჩევნო კამპანია, როგორც საქართველოში, ისე სლოვაკეთში, კულმინაციას სწორედ ამ დროს აღწევს. აღნიშნულ პერიოდში, ამომრჩეველები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დეპუტატობის კანდიდატებს და პოლიტიკურ დებატებს თვალყურს უფრო ინტენსიურად ადევნებენ. აღნიშნულის გამო, შერჩეული დროის მონაკვეთი პოზიციების ფორმირებისა და არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტი გავლენის მომხდენ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს.

კვლევაზე მუშაობის პროცესში, ცალკეული სტატიების შინაარსის ანალიზისას მუდმივად გამოიყენებოდა რამდენიმე კრიტერიუმი. ამ კრიტერიუმებს შორის ერთ-ერთი იყო ის, თუ რამდენად არის შემოწმებული მასალა კავშირში საპარლამენტო არჩევნებთან. ამით განისაზღვრებოდა, თუ რამდენად შეეძლო მასალას წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ყველა შერჩეული ვებგვერდის საქმიანობა დაკავშირებულია პოლიტიკურ თემატიკასთან, მათ მიერ გამოქვეყნებული ყველა მასალა პოლიტიკური შინაარსის არ არის. შესაბამისად, სტატიები, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული არ იყო და არჩევნების შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენდა (ანუ არ ეხებოდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს რეზონანსულ თემებს) გაიფილტრა და ამ ტიპის მასალა კვლევაში აღარ განხილულა.

მეორე მხრივ, მასალაში კონკრეტული პოლიტიკური ნარატივის გამოკვეთის შემდეგ, გამოყენებული იქნა შეფასების მეორე კრიტერიუმი; ეს კრიტერიუმი ეხებოდა სტატიის შინაარსის შეფასებას წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის კუთხით. შესაბამისად, მეორე კრიტერიუმი გამოქვეყნებულ ტექსტში ავტორის მიერ წარმოდგენილი განცხადებების სისწორის შეფასებასთან იყო დაკავშირებული. ამასთან, ვებგვერდების მიერ ხშირად პრობლემური მასალის გამოქვეყნების მიუხედავად, რაც ხშირად „დეზინფორმაციად“ ფასდება, აღნიშნული ვებგვერდების ყველა სტატია პირდაპირ შეცდომაში შემყვან მტკიცებებს შეიძლება არ მოიცავდეს. შესაბამისად, შეფასებისას ასევე გათვალისწინებული იქნა მანიპულაციის ტაქტიკები. ამ კუთხით, ანალიზის პროცესში ყურადღება

ინფორმაციის გამიზნულად ცალმხრივი შერჩევის შემთხვევებზე ხდებოდა, რა დროსაც, მოვლენის ან ფაქტის მხოლოდ ნაწილი შუქდებოდა. ამ ტიპის მანიპულაცია მიზნად მკითხველის რეალობის დამახინჯებული ვერსიის სისწორეში დარწმუნებას და/ან მკითხველის მიერ ინფორმაციის გამავრცელებლისთვის სასურველი პოზიციის ჩამოყალიბებას ისახავდა. ეს საკმაოდ გავრცელებული ფენომენია, როდესაც მანიპულაციურად გამოყენებული განცხადებები და მტკიცებები შეესაბამება ფაქტებს და სტატიაში ავტორის კომენტარი არაა დამატებული - ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ იმიტომ, რომ სტატია შეთქმულების თეორიების გამავრცელებელ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, მისი შინაარსი არ შეიძლება შეფასდეს როგორც „პრობლემური". ამის გამო, მეორე ეტაპზე მოხდა დეზინფორმაციის ან მანიპულაციური ტაქტიკის შემცველი სტატიების გამოყოფა იმ სტატიებისგან, რომლებიც მკითხველს ცრუ ინფორმაციას არ აწვდიდა და/ან შეცდომაში არ შეჰყავდა.

მონიტორინგის პროცესში სტატიის ისეთ მასალად შეფასების შემთხვევაში, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მკითხველის აზრზე პოლიტიკური ქვეტექსტის არსებობის გამო და რომლის შინაარსის კლასიფიცირება მოხდა, როგორც პრობლემური, გამოყენებული იქნა შეფასების მესამე და ბოლო კრიტერიუმი. ამ ეტაპზე, სტატიაში მოცემული დეზინფორმაცია შეფასდა წინასწარ განსაზღვრული ნარატივების საფუძველზე. კვლევის სლოვაკურ ნაწილში სულ ექვსი ამგვარი ნარატივის გათვალისწინება მოხდა: (1) დეზინფორმაცია NATO-ს წინააღმდეგ, (2) დეზინფორმაცია ევროკავშირის წინააღმდეგ, (3) დეზინფორმაცია გარე ძალების მხარდასაჭერად, (4) დეზინფორმაცია რუსული პროპაგანდის მხარდასაჭერად, (5) დეზინფორმაცია უმცირესობების, LGBTI ჯგუფებისა და იმიგრანტების წინააღმდეგ, და (6) შეთქმულების თეორიები. ქართულ ნაწილშიც ასევე ექვსი ნარატივი გამოიყო: (1) დეზინფორმაცია საქართველოს შიდა მოვლენებთან დაკავშირებით, (2) NATO-ს საწინააღმდეგო დეზინფორმაცია და პროპაგანდა, (3) ევროკავშირის საწინააღმდეგო დეზინფორმაცია და პროპაგანდა, (4) პრორუსული და რუსეთის მხარდამჭერი დეზინფორმაცია და პროპაგანდა, (5) ანტითურქული დეზინფორმაცია და პროპაგანდა, (6) ანტიამერიკული დეზინფორმაცია და პროპაგანდა. ეს ნარატივები მოცემულია პუბლიკაციის ცალკეულ თავებში და მიზეზები, რამაც მათი კვლევაში ჩართვა განაპირობა, დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი ქვეთავის შესავალში.

აღნიშნული კვლევის კლასიფიცირება სრულად თვისებრივად ან რაოდენობრივად შეუძლებელია, რადგან იგი შეიცავს ორივე ტიპის ელემენტებს. კვლევის დროს გამოყენებული იქნა რამდენიმე მეთოდი, როგორიცაა ანალიზი, სინთეზი და შედარება. გარდა ამისა, გამოყენებულ იქნა კვლევის სხვა მეთოდებიც - საწყის ეტაპზე მოხდა მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა, საიდანაც მასალა მოგვიანებით ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენებით გაანალიზდა. მონიტორინგისა და მასალების საბოლოო შეფასების დასრულების შემდეგ, ჩვენი ყურადღება შეგროვებული დასკვნების სინთეზირებას დაეთმო, რომელიც კვლევაში თვისებრივი და რაოდენობრივი სახითაა წარმოდგენილი. საქართველოსა და სლოვაკეთის ონლაინ მედიების ანალიზის შედეგად მიღწეული შედეგების შედარება კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და არჩევნების კონტექსტში გავრცელებული იმ დეზინფორმაციის საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებს ავლენს, რომელთა წინასაარჩევნო მნიშვნელოვან პერიოდზე გავლენის მოხდენის პოტენციალიც არჩევნების პროცესის შედეგებზეც ვრცელდება.

სლოვაკეთი

მიმოხილვა

მეთოდოლოგიის დამუშავების დროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დაშვებად განიხილებოდა ვარაუდი, რომ თანამედროვე პოლიტიკური კამპანიები სულ უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ ონლაინ მედია სივრცეზე. მიუხედავად ამ ვარაუდისა, მონიტორინგის პერიოდში მაინც გამაოგნებელი იყო პოლიტიკური შინაარსის მასალების რაოდენობა ონლაინ მედიაში. საბოლოოდ, საერთო ჯამში გაანალიზდა 1766 სტატია და მათგან 932 შეფასდა, როგორც პოლიტიკურ კამპანიებში შემავალ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული. კვლევები აჩვენებს, რომ მთლიანი მედია კონტენტის თითქმის 53% დაკავშირებული იყო პოლიტიკურ საკითხებთან. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ქვეშ მყოფი ყველა მედია აქტიურად არ უთმობდა თავის სივრცეს პოლიტიკურ თემებს და ყურადღება პოლიტიკურ საკითხებზე მხოლოდ მაშინ გაამახვილეს როდესაც საარჩევნო კამპანიები პიკს მიუახლოვდა. ონლაინ პორტალმა kon-spiratori.sk-მა 34 ვებ გვერდი შეაფასა, როგორც რელევანტური (დეზინფორმაციის გამავრცელებელი), მაგრამ, ანალიტიკური ინსტრუმენტის CrowdTangle-ის მიერ მოწოდებული წინასწარი შეფასების შემდეგ, მათგან მხოლოდ 24 შეირჩა კვლევისთვის. მიზეზი, რის გამოც 10 ვებ გვერდი იქნა ამოღებული კვლევიდან არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი შერჩეული იყო ანალიტიკური ინსტრუმენტის CrowdTangle-ის მიერ და შეფასებული იყო, როგორც რელევანტური, მათ არ გამოუქვეყნებიათ 10-ზე მეტი პრობლემატური სტატია. ამიტომ, ეს რაოდენობა ჩათვალა არასაკმარის ამ ვებგვერდების/გამოცემების აღნიშნულ კვლევაში შესატანად.

მნიშვნელოვან გარემოებად ჩაითვალა ის ფაქტი, რომ 506 სტატია, რომელიც სლოვაკეთის არჩევნებთან დაკავშირებული სტატიების თითქმის 54%-ს შეადგენს, დეზინფორმაციულ და შეცდომაში შემყვანად იქნა მიჩნეული. დეზინფორმაციის დიდი ნაწილი მიმართული იყი შეთქმულების თეორიებზე (ყველა შეცდომაში შემყვანი სტატიების დაახლოებით 33,1%). შემდეგ იყო დეზინფორმაცია უმცირესობების წინააღმდეგ (20,01%) და რუსული პროპაგანდის ხელშემწყობი განცხადებები 18,3% (იხილეთ გრაფიკი ქვემოთ).



გრაფიკი 1: დეზინფორმაციული ნარატივები სამიზნეების მიხედვით

გარდა ამისა, ალბათ, რთული და არარეალურიც კი იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რამდენი მკითხველი მოექცა შეცდომაში შემყვან დეზინფორმაციის გავლენის ქვეშ და თუნდაც ამ კონკრეტული მიზეზის გამო შეცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და ხმა მისცა სხვა პოლიტიკურ სუბიექტს. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება დეზინფორმაციით არის გარშემორტყმული, ამ დეზინფორმაციის ადამიანებზე გავლენისა და ზემოქმედების საფრთხე არ უნდა იყოს იგნორირებული. ეჭვგარეშეა, რომ ნარატივები, რომლებიც ვრცელდებოდა პოლიტიკური კამპანიების დროს, საკმაოდ ჰგავდა მთელი კალენდარული წლის განმავლობაში გავრცელებულს, მაგრამ არჩევნების წინ გავრცელებული დეზინფორმაციის მნიშვნელოვნება და გავლენა გაცილებით დიდია.

შეთქმულების თეორიები

ჩვენ შეთქმულების თეორიებს განვსაზღვრავთ, როგორც რეალობის ახსნის მცდელობებს, რომელიც კონკრეტული მოვლენის ოფიციალურ ან სტანდარტულ განმარტებას უგულებელყოფს. შეთქმულებები მოვლენის უკან საიდუმლო ჯგუფს ან ორგანიზაციას ხედავენ, რომელიც მოვლენის მანიპულირებას ახდენს და მის კურსს აკონტროლებს. შეთქმულების თეორიის მიმდევრების თანახმად, ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კრიტიკული მნიშვნელობის სოციალური მოვლენები სწორედ დასახელებული ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების გეგმების შედეგია და აღნიშნულის შესახებ ფართო საზოგადოება ინფორმირებული არაა.[1]

შეთქმულების თეორიების ძირითად მახასიათებლებად შეიძლება შემდეგი ინდიკატორები ჩაითვალოს:

1. ინტერპრეტაცია მოიცავს ინფორმაციას ზოგიერთი აქტორის სავარაუდო საიდუმლო შეთქმულების შესახებ.
2. აქტორები ხშირად კონსპირატორების ურთიერთდაკავშირებული ჯგუფია.
3. ინტერპრეტაცია მოიცავს მტკიცებულებას, რომელიც შეთქმულების თეორიას უჭერს მხარს.
4. შეთქმულების თეორიები აყალიბებენ მიზეზშედეგობრივ განმარტებებს, რითაც ავითარებენ იდეას, რომ მოვლენები შემთხვევით ან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ ხდება, არამედ ისინი ურთიერთდაკავშირებულია. შეთქმულების თეორიის მიმდევართა თანახმად, მოვლენები არასდროსაა ისეთი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს.
5. შეთქმულების თეორიის მიმდევრები მსოფლიოს კეთილად და ბოროტად ყოფენ და იყენებენ რიტორიკას - „ჩვენ“ „მათ“ წინააღმდეგ.
6. შეთქმულების თეორიები გვთავაზობენ მკაფიო განმარტებას იმის შესახებ, თუ ვინ არის გარკვეულ მოვლენებში დამნაშავე. დამნაშავე, იქნება ეს ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან ორგანიზაცია, ხშირად გაზვიადებული ან დამცინავი სახელითაა მოხსენიებული.[2]

სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს არჩევნების კონტექსტში, შეთქმულების თეორიების ნარატივი მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა მოწყვლადობისა და მათი ხმის მიცემის ქცევის თვალსაზრისით. ამასთან, ეს დაკავშირებულია სხვა ნარატივებთან, რომლებსაც ჩვენ ამ კვლევაში ვაანალიზებთ, როგორიცაა ლიბერალიზმის კონცეფციასა და დასავლურ ღირებულებებზე თავდასხმა. წინასაარჩევნო პერიოდში ანტისისტემურმა პოლიტიკურმა აქტორებმა შეთქმულების თეორიები გამოიყენეს, ხოლო პრობლემური შინაარსის მასალის გამავრცელებელმა მედიამ მათი ნარატივი გააძლიერა. შემდგომი მონიტორინგისა და ანალიზისთვის მასალის ძიებისას გამოვიყენეთ შემდეგი საკვანძო სიტყვები: არჩევნები, NATO, ევროკავშირი, გენდერი, სოროსი, ღია საზოგადოება, ლობი, ახალი მსოფლიო წესრიგი (nwo). საკვანძო სიტყვების შერჩევას საფუძვლად დაედო პრობლემური შინაარსის საინფორმაციო სივრცის მონიტორინგის წინა გამოცდილება, აქცენტი გაკეთდა სლოვაკეთში წინასაარჩევნო საკითხებსა და შეთქმულების თეორიის ძირითად ნარატივებს შორის თანაკვეთაზე.

ძნელად გასაგები და ხშირად საკამათო მოვლენების გამარტივებული ინტერპრეტაციის ტენდენციისკენ მიდრეკილება ძირითადად პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებების დროს

შეიმჩნევა. თუ ძალაუფლების მქონეთა და მედიის მხრიდან მიმდინარე მოვლენების ახსნის მიწოდების სურვილი არაა, მაგალითად თუ განმარტებები არასაკმარისი ან ძალიან რთულია, შეთქმულების თეორიების განვითარებას გზა ეხსნება.

1. შეთქმულების თეორიები განსაზღვრავენ მტერს და საიდუმლო შეთქმულებას და შემდეგ კი ააქტიურებენ საკუთარ თავდაცვის მექანიზმს - დისკრიმინაციის გაღვივებასა და სიძულვილისა და დანაშაულის აქტების ლეგიტიმაციას, რისი გამოყენებაც ექსტრემისტულ ჯგუფებს შეუძლიათ.
2. შეთქმულების თეორიები იწვევს უნდობლობას საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური აპათია ან პირიქით, რადიკალიზაცია.
3. ავრცელებს უნდობლობას სამეცნიერო და სამედიცინო ცოდნის მიმართ, რამაც შეიძლება ადამიანთა ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას.[3]

როგორც შესაბამისმა კვლევამ აჩვენა, სლოვაკეთის რესპუბლიკაში შეთქმულების თეორიის რწმენის ტენდენცია შედარებით მაღალია. Globsec-ის 2018 წლის ანალიზის მიხედვით, ვიშეგრადის ოთხეულში (V4) სლოვაკებმა ყველაზე მეტად შეიძლება დაიჯერონ შეთქმულების თეორია, თითქოს გარკვეულ ჯგუფს (ებრაელებს) ძალიან დიდი გავლენა აქვთ და მთელს მსოფლიოში მთავრობებსა და ინსტიტუციებს საიდუმლოდ აკონტროლებენ. კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 52% აღნიშნულ თეორიას ეთანხმებოდა. მეტიც, სლოვაკეთში გამოკითხულთა 53% მიიჩნევს, რომ საიდუმლო ჯგუფები აკონტროლებენ მსოფლიოს და ტოტალიტარული მსოფლიო ისტებლიშმენტის შექმნას ცდილობენ.[4] 2020 წლის ბოლო მონაცემები სლოვაკეთში აღნიშნული ტენდენციის ზრდაზე მიუთითებს: გამოკითხულთა 60% თვლის, რომ მსოფლიოში მოვლენებს არ წყვეტენ არჩეული წარმომადგენლები, არამედ საიდუმლო ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ შექმნან ტოტალიტარული მსოფლიო წესრიგი.[5] ამრიგად, შეთქმულების თეორიები იწვევს პოლიტიკური ელიტის, მეინსტრიმული მედიის, ფინანსური ჯგუფების, ლიბერალური დემოკრატიის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ჯანმო, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) და ინტეგრაციის (ევროკავშირი) ან თავდაცვითი პლატფორმების (NATO) მიმართ უნდობლობას.

შესწავლილი პერიოდის განმავლობაში ყველაზე გავრცელებული შეთქმულების თეორიის ნარატივები ლიბერალური პარტიებისადმი მხარდაჭერის შესამცირებლად იყო გამოყენებული. „ანტიკამპანია“ ძირითადად მიმართული იყო პარტიების: Progresívne Slovensko („პროგრესული სლოვაკეთი“), Spolu („ერთად“) და Za ľudí („ხალხისთვის“) - წინააღმდეგ, მაგრამ ასევე უფრო კონსერვატიულ Kresťanskodemokratické hnutie-ზეც („ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“). ასევე, გამოკვლეულ მედიაში გამოქვეყნებულ სტატიებში მსჯელობა იყო აღნიშნული პარტიების ლიდერებსა და ცნობილ წევრებზეც. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიზნად ისახავდა სლოვაკეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტისა და პარტიის - Za ľudí („ხალხისთვის“) - ლიდერის, ანდრეი კისკას, დისკრედიტაციას, ხოლო სტატიების შინაარსი შეიძლება შეფასდეს, როგორც გაზვიადება იმ შემთხვევებისა, რომლებიც კისკასთან დაკავშირებით გაჩნდა არჩევნების წინ, მაგალითად როგორიცაა გაჟონილი ვიდეო მიკალ სულიგასა და პოპრადელ კრიმინალ მიკალ რეიხელს[6] შორის, რომელიც დღგ-ს თაღლითობას[7], მიწის შეძენასა[8] და სავარაუდოდ, თაღლითური გზით კამპანიის დაფინანსებას[9] შეეხებოდა. დეზინფორმაციული მედია მუშაობდა ამ შემთხვევებისა და პრობლემური პირების

ურთიერთდაკავშირების თეორიებთან დაკავშირებით, რომლებიც სავარაუდოდ დიდი ხნის განმავლობაში იპარავდნენ სლოვაკეთის რესპუბლიკისგან. ამ პარტიების წარმომადგენლებზე თავდასხმები ემყარებოდა მათი საარჩევნო პროგრამების ლიბერალურ მიდრეკილებას, სადაც კონსპირატორებმა დაინახეს პარალელი არჩეულ პრეზიდენტ ჩაპუტოვასთან, „ლიბერალური დასაყრდენის“ ექსპანსიასთან დაკავშირებით. იგი ასევე დაადანაშაულეს მედია სივრცის კონტროლისკენ სწრაფვასა და ლიბერალური კანონების მიღებაში, რომლებიც „ლგბტ დღის წესრიგის“ პოპულარიზაციასა და მიგრანტების მიღებას ისახავდა მიზნად. მეორე მხრივ, შეთქმულების თეორიის მიმდევრები აქებდნენ პარტიას Vlasť („სამშობლო“), Slovenské hnutie obrody („სლოვაკურ აღორძინების მოძრაობას“), socialisti.sk („სოციალისტები.სკ“) პარტიას, ულტრამემარჯვენე Kotlebovci - Ľudová strana Naše Slovensko-ს (კოტლებოვი - სახალხო პარტია ჩვენი სლოვაკეთს). გამოკვლეულ პერიოდში შეთქმულების თეორიის ნარატივები ასევე მეინსტრიმული მედიისადმი, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისადმი, ევროკავშირისა და NATO-სადმი ნდობის შემცირებას ემსახურებოდა.

თეორია, რომელიც დაკავშირებული იყო გლობალური ელიტების მიერ სხვა სფეროებთან ერთად სლოვაკეთის პოლიტიკის კონტროლს, მაგალითად, აისახა უკვე ნახსენები „სტამბულის კონვენციის“, როგორც ე.წ. „გენდერული იდეოლოგიის“ წახალისების საშუალებად აღქმაში. ასევე, გაერო-ს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მიერ გენდერულად თანასწორი ტერმინოლოგიის გამოყენება ფართოდ იქნა განხილული. შესაბამისად, ქალთა მიმართ ძალადობიდან ყურადღება გადაჰქონდათ „გენდერული იდეოლოგიის“ გამოწვევებზე და დასახელებული კონვენციისადმი ეკლესიის წინააღმდეგობისა, რომელიც ქორწინებას კაცსა და ქალს შორის კავშირად არ განსაზღვრავს, იცავს სექსუალურ უმცირესობებს და მოიცავს გენდერის განსაზღვრებას[10]. ამრიგად, საზოგადოებრივი აზრის პოლარიზაცია რელიგიური თვალსაზრისით აშკარა იყო და მას თან ახლდა მარიან კუფას, საკამათო კათოლიკე მღვდლის, ხშირი ხსენება. მაგალითად, კონსპირაციების მიმდევარმა მედიამ, მაგალითად, გაავრცელა ცნობა ლოცვისთვის შეხვედრის ადგილის შესახებ, რომელიც კუფას უნდა გაემართა, რათა კონვენციის რატიფიკაციასთან დაკავშირებით წინააღმდეგობა გამოეხატა, რადგან იგი კონვენციის რატიფიკაციას ღალატს უწოდებდა. კონვენციის რატიფიცირების თემა გამოიყენეს არჩევნების წინ პრეზიდენტ ჩაპუტოვას და პოლიტიკური პარტიების Progresívne Slovensko („პროგრესული სლოვაკეთი“) და Spolu–ს („ერთად“) დისკრედიტაციისთვის, რომლებსაც „პროგრესულ – ლიბერალური ძალას“ უწოდებდნენ. არჩევნებამდე ამ თემის გამოყენების საშუალება ძირითადად იყო სლოვაკეთის კონსერვატიულ ღირებულებებზე შეტევის წარმოჩენა და საზოგადოების ხელოვნური პოლარიზაცია. ეს იყო დამატებითი ნარატივი იმ ბრალდებისა, რომლის მიხედვითაც ზემოხსენებული კონვენცია არაკონსტიტუციურია - ამ არგუმენტის პოპულარიზაციას ახდენდნენ პარტია SMER-SD-ის თავმჯდომარე, რობერტ ფიკო და Slovenská národná strana („სლოვაკეთის ეროვნული პარტიის“) თავმჯდომარე, ანდრეი დანკო.

მედია და სამოქალაქო საზოგადოება

2020 წლის არჩევნებამდე მნიშვნელოვან თემს გამომძიებელი ჟურნალისტი იან კუჩიაკისა და მისი საცოლის, მარტინა კუსნიროვას მკვლელობა წარმოადგენდა. შეთქმულების თეორიის მიმდევრებმა აღნიშნული შემთხვევა პოლიტიკური ლიდერების დისკრედიტაციისა და სასამართლო და კანონის აღმასრულებელი უწყებებისადმი

ნდობის შემცირების მიზნით გამოიყენეს. აღნიშნული საკითხი ასევე განხილული იყო იმ კონტექსტში, თითქოს, შეთქმულების თეორიის მიმდევართა აზრით, მანიპულაციური ხასიათის ლიბერალური მედია საკითხს შერჩევითად აშუქებდა. ალტერნატიულმა მედიამ ჟურნალისტის გარდაცვალების შემდეგ სამოქალაქო ინიციატივა Za slušné Slovensko-ს („ღირსეული სლოვაკეთისთვის“) ეგიდით სლოვაკეთში დაწყებული პროტესტი უცხოეთიდან მხარდაჭერილად არასწორად შეაფასა. მაგალითად, პარლამენტარმა ლუბოშ ბლაჰამ გააჟღერა ბრალდება, რომ უცხოეთიდან (ჯორჯ სოროსის, ფონდი „ღია საზოგადოებისა“ და აშშ-ის საელჩოს მიერ) დაფინანსებული ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები იდგნენ პროტესტების უკან, რომლის მიზანიც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა იყო. ბლაჰას თანახმად, ინიციატივა ფინანსურმა ჯგუფმა Penta-მ და კომპანია Eset-მა საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს და მთელი საკითხი არასწორად იქნა განმარტებული ლიბერალურ მედიაში, როგორც ბრძოლა მაფიის წინააღმდეგ. ეს ნარატივები გამოიყენა ბევრმა პრობლემური შინაარსის გამავრცელებელმა მედიამ, რითაც საკითხის შესახებ საზოგადოების პოლარიზაცია გააღრმავეს და ამავდროულად, კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტებს უჭერდნენ მხარს.

ერთ-ერთი ხშირად განმეორებადი თემა ასევე იყო სიტყვის თავისუფლება, რომელიც არა მეინსტრიმული მედიის გამომძიებელ ჟურნალისტებს ეხებოდა, არამედ დეზინფორმაციის წარმომადგენელთა დევნას. საკმაოდ ხშირი იყო ნარატივები მედია სივრცეში სიტყვის თავისუფლებისა და თავისუფლების შეზღუდვის შესახებ და ისინი ხშირად ჟურნალ Zem&Vek-ის მთავარ რედაქტორ ტიბორ როსტას უკავშირდებოდა, ასევე საეჭვო რეპუტაციის იუთუბერებს - რუდოლფ ვასკისა და მარტინ დანო, რომელიც პრეზიდენტობის წარუმატებელი კანდიდატობისთვისაცაა ცნობილი. დანო და ვასკი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის გაასამართლეს; ამასთან დანო პასუხისგებაში ძალადობის წაქეზებისთვისაც მიეცა. ცნობილი შეთქმულების თეორეტიკოსი ელიოტ როსტასი მისი ერთ-ერთი სტატიის - „ებრაელთა მიერ სლავებს შორის განხეთქილების შეტანის მცდელობა“ (“The Jewish Wedge Between the Slavs”)[11] - გამო ებრაელთათვის ცილისწამებაში დაადანაშაულეს. ალტერნატიულმა მედიამ სამივე შემთხვევა წარმოაჩინა, როგორც სახელმწიფოს ტოტალიტარიზმის მტკიცებულება, რომელიც სიტყვის თავისუფლებას პატივს არ სცემს და ლიბერალურ პროპაგანდას ავრცელებს.

წინასაარჩევნო გამოკითხვები

მედიასივრცეში განსახილველი საკითხი ასევე იყო წინასაარჩევნო გამოკითხვები, რომლებსაც შეთქმულების თეორიის მიმდევრები ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ და პირიქით, არასასურველი პოლიტიკური სუბიექტების საწინააღმდეგოდ მანიპულირებულს უწოდებენ. პარტიები, როგორებიცაა რობერ სვეჩის ულტრამემარჯვენე SHO და საეჭვო რეპუტაციის Vlasť („სამშობლო“), რომლის ლიდერიც კონსპირატორი სტეფან ჰარაბინია, გამოკითხვებში უარყოფით პოზიციაში იყვნენ. ორივე პარტიას წარუმატებელი საპრეზიდენტო კანდიდატები ხელმძღვანელობენ, რომლებიც აცხადებენ, რომ მედიაში სათანადო სივრცეზე არა მხოლოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, არამედ 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც უარი ეთქვათ და ისინი ლიბერალური კანდიდატების სასარგებლოდ დისკრიმინირებულები არიან. მორიგი პარტია, რომელთან დაკავშირებითაც არსებობდა ბრალდება, რომ მეინსტრიმული მედია უარყოფით პოზიციაში აყენებდა არის მემარცხენე სუბიექტი socialisti.sk („სოციალისტები.სკ“), რომლის ლიდერიც

ედუარდ ჩმელარია და იგი NATO-სა და დასავლეთის საწინაღმდეგო ნარატივებს რეგულარულად ავრცელებს. მათი აზრით, გაყალბებული გამოკითხვების პასუხად, დეზინფორმაციულმა საიტებმა გამოკითხვების ჩატარებაზე 50-დღიანი მორატორიუმი მოითხოვეს და გამოკითხვების შედეგების „მანიპულაცია“ სახიფათო ჰიბრიდულ საფრთხეებად წარმოაჩინეს[12]. პრეზიდენტმა ჩაპუტოვამ მორატორიუმის გახანგრძლივების შესახებ კანონში შესატან ცვლილებას არაკონსტიტუციური უწოდა, რადგან ეს ხელს უშლის ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას და თავისუფალი პოლიტიკური კონკურენციას. საპირისპიროდ, Slovenská národná strana-ს („სლოვაკეთის ეროვნული პარტიის“) თავმჯდომარემ, ანდრეი დანკომ მორატორიუმს იცავდა და აცხადებდა, რომ გამოკითხვების სერიოზულად აღქმა არ შეიძლება და ისინი პარტიებს დამფინანსებლების მოზიდვაში ეხმარებიან.[13]

შეთქმულების თეორიები წინასაარჩევნო გამოკითხვებთან დაკავშირებით ემყარებოდა ბრალდებებს არარეპრეზენტატიული შერჩევის, მანიპულაციური კითხვების და გამოკითხვის ჩამტარებელი სააგენტოების იდეოლოგიურ ელფერს[14]. ყველაზე ხშირად კრიტიკის საგანი სააგენტო AKO ხდებოდა; შეთქმულების თეორიების მიხედვით, ეს სააგენტო კორუფციულია, ხოლო მისი წინასაარჩევნო გამოკითხვები დამახინჯებული[15]. სააგენტოს აგრეთვე საპრეზიდენტო არჩევნების წინ ზუზანა ჩაპუტოვას გამარჯვების მიზნით გამოკითხვის შედეგების მანიპულაციაში ადანაშაულებდნენ. კოსნპირატორების თანახმად, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად, რადგან მისი პრეფერენციები, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირაში ხელოვნურად უნდა გაზრდილიყო. საპირისპიროდ, პარტიების - Vlasť, SHO და socialisti.sk - შემთხვევაში, გამოკითხვებში მათი პრეფერენციები, სავარაუდოდ, განზრახ იყო დაბალი, რათა ამომრჩეველი დასახელებული პარტიების არაარჩევადობაში დაერწმუნებინათ. შედეგად, შეთქმულების თეორიის თანახმად, ამომრჩეველს უწევდა, მათი პრეფერენციებისათვის გადაეხედათ და ისეთი სუბიექტი აერჩიათ, რომელსაც პარლამენტში მანდატის მოპოვების უკეთესი შანსი ჰქონდა. სხვა სააგენტოების, როგორებიცაა Focus-ი, Polis-ი და Median-ი, გამოკითხვებიც აგრეთვე დისკრედიტირებული იქნა, ისევე როგორც ცალკეული პარტიის კამპანიის გამჭვირვალობის ანალიზი, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა სლოვაკეთმა“ ჩაატარა. ორგანიზაცია წარმოჩენილი იყო, როგორც არასანდო, რადგან მას ისეთი დონორები აფინანსებენ, როგორებიცაა ფონდი „ღია საზოგადოება“, Websupport ან ფონდი Pontis-ი.[16]

არასამთავრობო ორგანიზაციები

გამოკითხვებთან დაკავშირებით არასანდოობისა და იდეოლოგიური ელფერის დაბრალების გარდა, დეზინფორმაციული მედია ასევე ავრცელებდა ნაცნობ ნარატივს არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორიცაა ფონდი „ღია საზოგადოება“, მიერ არჩევნების მანიპულირების შესახებ. საპარლამენტო არჩევნებამდე პერიოდში შეთქმულების თეორიის მიმდევრები ავრცელებდნენ ინფორმაციას ჯორჯ სოროსის მიერ ბრიტანეთის არჩევნების მანიპულირების შესახებ, რასაც თან სდევდა ინფორმაცია სლოვაკეთის რესპუბლიკაში სოროსის გავლენის შესახებ. პირები, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ ფონდ „ღია საზოგადოებასთან“, როგორებიც არიან ზუზანა შაპუტოვა, ჟურნალისტი იაკუბ გოდა ან აქტივისტი და ბლოგერი იან ბენციკი (ამჟამად „ხალხისთვის“ პარტიის წევრი), რომლმაც 2016 წელს უფრო ღია და შემწყნარებლური საზოგადოების

ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილისთვის 2016 წელს ჟურნალისტის ჯილდო მოიგო, ასევე ნეგატიური ფორმით იყვნენ წარმოჩენილნი.[17]

კონსპირატორები მოქმედებდნენ ცნობილი დეზინფორმატორი აქტორის, ლუბოშ ბლაჰას, პარტიის SMER-SD-ს წევრი, განცხადებების მიხედვით, რომელიც წერდა ფონდ Zastavme korupciu-სა („შევაჩეროთ კორუფცია“) და ასევე, „ბელინკატის“ ვიზიტის შესახებ წერდა, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად სლოვაკეთის გამოყენებაში ადანაშაულებდა. ბლაჰა დიდი ხანია ავრცელებს შეთქმულების თეორიებს არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომელთაც, მისი თქმით, არჩევნების მანიპულაციის განზრახვა აქვთ. მის მიხედვით, შესაძლოა, არჩევნებში ამერიკის საიდუმლო სამსახურებიც ჩაერიონ, რათა მოახდინონ სახელმწიფოს დესტაბილიზაცია და საზოგადოებრივ აზრზე გავლენა რუსეთის საწინააღმდეგოდ მოახდინონ. ბლაჰა აგრეთვე კომპანია Eset-ის საქმიანობაზე მიუთითებდა, რომელიც რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას აფინანსებს. ანალოგიურად, ის ხშირად ავრცელებს ნარატივს პოლიტიკური პარტიების მათი კამპანიების, წევრებისა და ლიდერების მეშვეობით არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის შესახებ, მათ შორის უკვე ნახსენებებთან დაკავშირებით; ასევე ის შეთქმულების თეორიის ტიპის დასკვნებს აკეთებდა სლოვაკეთის პოლიტიკაზე არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენის შესახებ, თითქოს პოლიტიკაში ამ ორგანიზაციების ან მათი ხელმძღვანელი გავლენიანი პირების განზრახვები სრულდება. ეს ნარატივები საკვლევ, საპარლამენტო არჩევნების წინა, პერიოდში გამოვლინდა და მათ ხშირად ცალკეული მედია და ასევე ხვდებოდა ბლაჰას Facebook-ის პოსტებსა და ვიდეოებში.

წყაროები:

[1] ინფო თესაურუსი. (2020). ხელმისაწვდომია: https://disi.stratpol.sk/infoslovnik/ . ნანახია 25.05.2021

[2] ევროკომისია. შეთქმულების თეორიების იდენტიფიცირება: რა არის შეთქმულების თეორიები? რატომ აყვავდებიან?. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/coronavirus-response/fighting-disin formation/identifying-conspiracy-theories_sk. ნანახია: 25.05.2021

[3] ევროკომისია. შეთქმულების თეორიები შეიძლება საშიში იყოს. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/coronavirus-response/fighting-disinformation/identifying-conspiracy theories_sk#konpiran-terie-mu-by-nebezpen. ნანახია: 25.05.2021

[4] Globsec Trends 2018. (2018). ცენტრალური ევროპა: ერთი რეგიონი, განსხვავებული პერსპექტივები. ხელმისაწვდომია: https://www.globsec.org/wp-content/uploads/2018/05/GLOBSEC-Trends-2018.pdf. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[5] გლობსეკი. (2020). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხმები. სლოვენსკო. ხელმისაწვდომია: https://www.glob sec.org/wp-content/uploads/2020/09/Voices-of-Central-and-Eastern-Europe_Slov-ensko_verzia-pre tlac.pdf. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[6] ზემი&ვეკი. (2020). ვიდეო: შულიგას თქმით, კისკამ იცოდა, რომ მიწა მოპარული იყო. ხელმისაწვდომია: https://zemavek.sk/video-kiska-podla-suligu-vedel-ze-pozemky-su-kradnute/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[7] ზემი&ვეკი. (2020). მიხალ ალბერტი: ანდრეი კისკას კიდევ ერთი ყოფილი კომპანია ჩართულია დღგ-ს თაღლითობაში. ხელმისაწვდომია: https://zemavek.sk/do-podvodov-s-dph-je-namocena-dalsia-byvala-firma-an dreja-kisku/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[8] Hlavný denník. (2020). პიტერ ჰალუზა: კისკა ნამდვილად ნასამართლევია. ის იქნება ახალი კოჩნერი. ხელმისაწვდომია: https://www.hlavnydennik.sk/2020/02/24/kiska-je-definitivne-usvedceny-bude-z-neho novy-kocner/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[9] Hlavné správy. (2019). რამდენი ოლიგარქი დგას კისკას უკან? ხელმისაწვდომია: https://www.hlavnespravy.sk/kolkych-oligarchov-ma-za-sebou-kiska/1983927. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[10] ევროპის საბჭო. სტამბულის კონვენცია. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/168046fc88. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[11] Denník N. (2018). შეთქმულ როსტასს ებრაელების ცილისწამებაში ბრალდებული, მისი სახლის ჩხრეკა ჩატარდა. ხელმისაწვდომია: https://dennikn.sk/1040747/konspiratora-rostasa-obvinili-za-hanobenie-zi dov-robia-mu-domovu-prehliadku/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[12] Hlavné správy. (2019). უახლესმა გამოკითხვამ ძალიან საინტერესო მაჩვენებლები გამოიღო: შექმნის თუ არა ჰარაბინი მთავრობას? ხელმისაწვდომია: https://www.hlavnespravy.sk/najnovsi-prieskum-priniesol-velmi-zauji mave-cisla-nakoniec-skladat-vladu-harabin/1974883. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[13] აქტუალობა. (2019). პრეზიდენტი: მტკიცება, რომ ყველა გამოკითხვა მანიპულირებულია, სიცრუეა. ხელმისაწვდომია: https://www.aktuality.sk/clanok/741743/prezidentka-tvrdenie-ze-vsetky predvolebne-prieskumy-su-zmanipulovane-je-klamstvo/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[14] Hlavné správy. (2020). ბოლო „საიდუმლო“ გამოკითხვები ჩეხურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. და მათში რაღაც არასწორია. ხელმისაწვდომია: https://www.hlavnespravy.sk/posledne-utajene-prieskumy-zverejnene ceskych-strankach-cosi-nich-nesedi/2067879. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[15] ზემი&ვეკი. (2020). სააგენტო AKO აწარმოებს თაღლითურ გამოკითხვებს. ხელმისაწვდომია: https://zema vek.sk/harabin-agentura-ako-dostala-cez-podvodne-prieskumy-do-palaca-ultraliberalku-caputovu-a teraz-to-skusa-znova/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[16] ზემი&ვეკი. (2020). ბებლავის ცოლი ინტერესთა კონფლიქტში. . ხელმისაწვდომია: https://zema vek.sk/beblaveho-manzelka-v-konflikte-zaujmov/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[17] ჟურნალისტის პრემიის შედეგები 2016. (2016). ხელმისაწვდომია: https://www.novinarskacena.sk/vys-ledky-sutaze-novinarska-cena-2016. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

ანგარიშის აღნიშნული ნაწილი კონკრეტული უმცირესობების შესახებ გავრცელებულ დეზინფორმაციას ეხება. კვლევის ფარგლებში აღნიშნული ნარატივის დაფარვა იმიტომ გადაწყდა, რომ უმცირესობების უფლებებსა და მათ სტატუსთან დაკავშირებული საკითხები სლოვაკეთის პოლიტიკურ სცენაზე, არა მხოლოდ კანდიდატებს, არამედ თავად ამომრჩევლებს შორისაც დიდი ხანია აქტუალურია. ეს თემა სლოვაკეთში მოღვაწე მრავალი პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური დღის წესრიგისა და საარჩევნო კამპანიის განუყოფელი ნაწილია. ულტრამემარჯვენე, კონსერვატიული პოლიტიკური პარტიები, როგორიცაა Ľudová strana - naše Slovensko, Vlasť და Slovenská národná strana, განსაკუთრებით მწვავე კრიტიკას გამოხატავენ და მოსახლეობას პოტენციური ან მთლიანად გამოგონილი პრობლემების შესახებ აფრთხილებენ, რაც, მათი მტკიცებით, მასიური იმიგრაციას, მოსახლეობის მიერ ბოშათა ასიმილირებასა და საზოგადოებაში LGBTI თემის წევრების პოზიციის განმტკიცებას მოჰყვება. ამ მხრივ, კვლევის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა გამოქვეყნებულ სტატიებზე, ანგარიშებსა და სხვა ტიპის მასალაზე, რომლებიც კონკრეტულ უმცირესობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეიცავდა.

კვლევის ფარგლებში ინტერნეტში არსებული მასალა, რომელიც პრობლემურად შეფასდა, იმ მიზნით გავრცელებულ ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას მოიცავდა, რომელიც მკითხველში ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგ სასურველი დამოკიდებულების გამოეწვევას ცდილობდა. უმცირესობებს ან ადამიანთა ჯგუფებს, რომელთა წინააღმდეგაც დეზინფორმაცია იყო მიმართული, გააჩნდათ კონკრეტული მახასიათებელი, როგორიცაა: რელიგია, რასა ან ეროვნება, სექსუალური ორიენტაცია, ლტოლვილთა ან ემიგრანტთა შემთხვევაში, წარმოშობის ქვეყანაც კი (მაგ: „სირიელი ლტოლვილები“). კვლევის საგანს წარმოადგენდა არა მხოლოდ მოსახლეობის მოცემული ჯგუფის მიმართ უარყოფით ემოციების ან დამოკიდებულების გამომწვევი ყალბი ინფორმაციის, არამედ ინფორმაციის იმგავრად გავრცელების მაგალითების აღმოჩენაც, რომლებიც მიზნად მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისთვის დადებითი იმიჯის შექმნას ისახავდა.

გამოკვლეული მასალის იდენტიფიცირება მოხდა ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle-ის საშუალებით შემდეგი საკვანძო სიტყვების გამოყენებით: უმცირესობები, არჩევნები, ბოშა, ბოშათა უმცირესობა, თანამოქალაქეები, უნგრელები, ებრაელები, სლავები, მიგრანტები, ლტოლვილები, იმიგრანტები, LGBTI, გენდერი, ევროკავშირი (EU), ევროკავშირი (European Union), ბრიუსელი, დიქტატი, რუსეთი, პუტინი, მერკელი, სალვინი, ლე პენი. აღნიშნული საკვანძო სიტყვები შეირჩა ონლაინ მედიის მონიტორინგის მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე. არსებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ შერჩეული საკვანძო სიტყვები კვლევისთვის რელევანტური სტატიების იდენტიფიცირების კუთხით მეტად სასარგებლოა.

უნდა აღინიშნოს, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკა არ არის მულტიკულტურული ქვეყანა, მრავალფეროვანი მოსახლეობით. დემოგრაფიული თვალსაზრისით, მოსახლეობის უმრავლესობის განსაზღვრა შედარებით ადვილია. სლოვაკეთში 2011 წლის აღწერის უკანასკნელი შედეგების თანახმად, მოსახლეობის 80%-მა საკუთარ ეროვნებად პასუხში „სლოვაკი“ დააფიქსირა. რელიგიური კუთვნილების თვალსაზრისით,

მოსახლეობის თითქმის 76%-მა პასუხში განაცხადა, რომ რელიგიურად აქტიურია, რაც, სავარაუდოდ, კათოლიკურ ეკლესიასთან უნდა იყოს კავშირში, რადგან მოსახლეობის 81%-მა საკუთარი თავი რომის კათოლიკურ ეკლესიას დაუკავშირა[18]. მოსახლეობის არაჰეტეროსექსუალური ნაწილის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება დიდი ხანია შედარებით კონსერვატიულია. მოქმედი სამართლებრივი რეგულაციის თანახმად, ქორწინება მხოლოდ ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს შეუძლიათ. შეუძლებელია ერთნაირსქესიანი წყვილების რეგისტრირებულ პარტნიორობაში თანაცხოვრება ან ჰომოსექსუალი წყვილების მიერ ბავშვის აყვანა.

ზოგადად, უმცირესობების წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია, დაუზუსტებელი და ბუნდოვანი ეროვნული ინტერესების დაცვის კუთხით იყო წარმოდგენილი. ამ მხრივ, განხილული სტატიები უმცირესობათა ჯგუფების წევრებს სლოვაკეთისა და მისი მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებისთვის საფრთხის შემცველად წარმოაჩენდნენ. კონკრეტული უმცირესობათა ჯგუფების მოსახლეობის უმრავლესობისთვის საფრთხედ წარმოჩენა ამ ნარატივის სტანდარტულ მახასიათებლად კლასიფიცირდა. აღნიშნული ნარატივი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ უმცირესობათა ჯგუფები გარკვეულწილად ემუქრება ან პირდაპირ მიზნად ისახავს გაანადგუროს ის, რაც ეკუთვნის „უმრავლესობას", ან რასთანაც უმრავლესობა იდენტიფიცირდება.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კვლევა ეხება წინასაარჩევნო პერიოდს, უმცირესობების შესახებ არსებული ეს ნარატივი უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ დაკავშირებული იყო კონკრეტულ პოლიტიკოსთან და მკითხველზე, ანუ პოტენციურ ამომრჩეველზე, გავლენის მოსახდენად გამოიყენებოდა. კერძოდ, ხშირად, სტატიის მიერ მკითხველებში შიშის ან პოტენციური საფრთხის განცდის გამოწვევის შემდეგ, სტატიის ავტორი მათ ასევე ესაუბრებოდა პოტენციურ „მცველსა" და „მხსნელზე", რომელიც ის პოლიტიკოსია, ვისაც მოქალაქეს შეუძლია მიენდოს - ესაა ადამიანი, რომელსაც პოტენციური პრობლემის თავიდან არიდება და არსებული საფრთხის განეიტრალება შეუძლია[19]. მსგავს „გმირებს" შორის ყველაზე ხშირად სახელდებოდა ზოგიერთი უცხოელი ლიდერი, როგორიცაა: ვლადიმერ პუტინი, ვიქტორ ორბანი და მატეო სალვინი, რომლებიც სლოვაკეთის პოლიტიკური სცენისთვის წარმოდგენილნი იყვნენ ერთგვარ „მისაბაძ პოლიტიკოსებად". სლოვაკეთის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებისა და მათი ფასეულობების დამცველებად ასევე წარმოჩინდნენ სლოვაკი ნაციონალისტური, პატრიოტული და ასევე, რადიკალური პოლიტიკური პარტიები ან მათი წარმომადგენლები. ამ კუთხით, ხშირად ნახსენები პოლიტიკური პარტიებს შორის აღმოჩნდნენ Ľudová strana-Naše Slovensko, Vlasť, და Slovenské hnutie obrody. მეორე მხრივ, უმცირესობების მიმართ ლიბერალური დამოკიდებულების მქონე პოლიტიკური პარტიები განიხილებოდნენ მკაფიოდ უარყოფით კონტექსტში და მათ წარმოაჩენდნენ როგორც პარტიებს, რომლებიც მხარს უმრავლესობის ინტერესების ხარჯზე უმცირესობების ინტერესების დაცვას უჭერდნენ.

უმცირესობის საწინააღმდეგო ნარატივი რამდენიმე თემას აერთიანებს. ამის გათვალისწინებით კი, პარადოქსულია, რომ თითოეული დეზინფორმაციული ნარატივი მიმართული იყო ყოველთვის მხოლოდ ერთი კონკრეტული ჯგუფისკენ და არ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც სტატიის შინაარსი ერთდროულად ორი ან მეტი უმცირესობის ჯგუფისკენ ყოფილიყო მიმართული. პრობლემურად შეფასებული თითოეული სტატია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთ-ერთ თემას ეხებოდა.below.

იმიგრანტები, ლტოლვილები და მუსლიმები

სხვადასხვა თემებს შორის იმიგრაციის თემას ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა. აღნიშნული საკითხი 2014 წლიდან რეზონანსული იყო და ის ევროპაში საემიგრაციო კრიზისის შედეგად წარმოიშვა. კრიზისმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ დაკავებული პოზიციის შესაბამისად დაყოფა გამოიწვია. ვინაიდან აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა გადაჭრილი, ის ლტოლვილებთან, იმიგრანტებთან და მუსლიმებთან (როგორც მათთან გაიგივებულ ჯგუფთან) დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილებსა და იმიგრანტებს შორის უამრავი სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები არიან, პრობლემური მასალის ავტორების ყველა მათგანს მუსლიმად მოიაზრებდნენ.

უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციის ნარატივის შესწავლისას, როდესაც ცენტრალური თემა იმიგრაცია იყო, გამოიკვეთა რამდენიმე დონე, რომლებიც გამოკვლეული მედიის უმეტესობისთვის იდენტური იყო. ამ დონეებიდან პირველი იყო წევრი ქვეყნების მიერ ლტოლვილთა მიღების შესახებ ევროკავშირის მიერ სავალდებულო კვოტების საკითხის დაყენება. ყველა გამოკვლეულ შემთხვევაში, უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული ნარატივის გარდა, აღნიშნული თემა ასევე მოიცავს დეზინფორმაციას ევროკავშირის წინააღმდეგ. კერძოდ, პრობლემური სტატიები ეხებოდა „ბრიუსელის დიქტატს“ ან „ტოტალიტარიზმს“, რომელიც წევრ ქვეყნებს აიძულებს უარი თქვან თავიანთ სუვერენიტეტზე და მიიღონ ლტოლვილები სავალდებულო კვოტებით. მაგალითად, ვებგვერდ Hlavné správy-ის ერთ-ერთ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ კვოტებზე დათანხმება იყო „ქვეყნის ღალატი“.[20] მონიტორინგის ქვეშ მყოფმა ზოგიერთმა მედიამ მკითხველს მოუწოდა, არ დათანხმებოდა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის ლტოლვილების თუნდაც სოლიდარობის ჟესტის სახით მიღებას, იქნებოდა ეს დაკავშირებული ომის შედეგად ლტოლვილად ქცეულებთან თუ ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების შემთხვევაში.

ამგვარი ჟესტი ფასდებოდა, როგორც ე.წ. „იძულებითი სოლიდარობა". მიუხედავად იმისა, რომ ბლოგი Picus Capital პარტია Hlavné správy-ს მგავს მკაცრ განცხადებებს არ აკეთებდა, ხშირ შემთხვევაში, მის მიერ გამოქვეყნებული მასალა მკითხველებში სასურველი პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით მანიპულირებდა. ერთ-ერთი გამოქვეყნებული სტატიის ნაწყვეტი ამის კარგი საილუსტრაციო მაგალითია; სტატიის ავტორის მტკიცებით, „ვ. ორბანი არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგია, ხოლო მერკელი და მაკრონი არალეგალური იმიგრაციის მომხრეები არიან.“[21] თავად განცხადება არა მხოლოდ ყალბია, არამედ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი მხოლოდ „არალეგალურ” იმიგრაციას ეწინააღმდეგება (როგორც ჩანს, ლეგალურ იმიგრაციას ემხრობა (?)), ხოლო ევროპელი სახელმწიფოები „არალეგალურ” იმიგრაციას ემხრობიან. ამგვარად, ერთი მხრივ, ვ. ორბანი წარმოჩინდება როგორც სახელმწიფო მოხელე, რომელიც საკითხს კანონის შესაბამისად ეწინააღმდეგება, ხოლო, მეორე მხრივ, მაკრონი და მერკელი, წარმოჩინდებიან როგორც პოლიტიკოსები, რომლებიც გაურკვეველი მიზეზების გამო ემხრობიან კანონის გვერდის ავლას ან მის დარღვევასა და უკანონო ქმედებების განხორციელებას.

განხილულ სტატიებში იმიგრაციის თემა დაკავშირებული იყო მულტიკულტურალიზმის საკითხთან, ასევე სხვა ნარატივებსა და შეთქმულებებთან.

არაერთი ასეთი სტატიის მიხედვით, ევროპის საემიგრაციო კრიზისი არ არის „სპონტანურად“ შექმნილი კრიზისი, რომელიც გამოწვეულია სირიის ომით. მათი მტკიცებით, საემიგრაციო კრიზისი „ახალი მსოფლიო წესრიგის" ნაწილია, რომელშიც ნაციონალური სახელმწიფოების ადგილი აღარ იქნება. ჟურნალ Zem a vek-ის ავტორები თავიანთ სტატიებში წერდნენ, რომ „კისკოიდებისა და პროგრესული ლიბერალებისათვის ხმის მიცემის გზით, თქვენ მხარს დაუჭერთ სლოვაკი ერის დისკრიმინაციას”; მათივე მტკიცებით, „მუსლიმი იმიგრანტები დასავლურ ღირებულებებსა და ნამდვილი ევროპელების ცხოვრების წესს საფრთხეს უკვე უქმნიან”.

აღნიშნულ ნარატივთან მჭიდროდ დაკავშირებული თემაა იმიგრანტებისა და ლტოლვილების მიერ მიერ ჩადენილი დანაშაულები. ასეთი დანაშაულების მაგალითებად ხშირად მოჰყავთ მტკიცებები იტალიაში დაფიქსირებული სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ზოგიერთი სტატია საკითხს ობიექტურად აშუქებდა, რადგან მათში აღწერილი თავდასხმები მართლაც მოხდა. თუმცა, ბევრ მსგავს სტატიაში მოთხრობილი ამბავი ზუსტად არ აღწერდა მომხდარს, ან სრულ ფალსიფიკაციას წარმოადგენდა. ზოგიერთი წყაროს მტკიცებით, ევროპის ქვეყნების შესაბამისმა უწყებებმდა, თითქოს და, სოლიდარობის გამო, უარი თქვეს იმ ლტოლვილთა სამართლებრივ დევნაზე, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ატერორებდნენ - აღსანიშნავია, რომ მსგავსი სტატიების ავტორებს მოთხრობილი ამბის შესაბამისი არც ერთი კონკრეტული შემთხვევა არ განუხილავთ, რითაც დადასტურდეობდა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა დამნაშავის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ არ იმოქმედს, რომ დამნაშავეს იმიგრანტის, ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი ჰქონდა. საგულისხმოა, რომ უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული სტატიები რუსული მედიას, მაგალითად, stoletie.ru-ს ეყრდნობოდა.

ბოშები

მრავალი დეზინფორმაციული აქტორის სამიზნეში მოხვედრილ კიდევ ერთ უმცირესობას ბოშები წარმოადგენდნენ. აღნიშნული ჯგუფი სლოვაკეთის მოსახლეობის 2%-ს შეადგენს და მისი წევრები ქვეყანაში მცხოვრებ სიდიდით მესამე ეროვნული უმცირესობას შეადგენენ. ბოლო წლების განმავლობაში, ბოშების საკითხმა მრავალი რადიკალური პარტიისა და ასევე რადიკალური მოძრაობის ყურადღება მიიპყრო, რომელთაც საკუთარი პოლიტიკური წარმომადგენლობაც გააჩნიათ. აღნიშნული ძირითადად განპირობებული იმ ფაქტით, რომ სლოვაკეთის ბოშა მოსახლეობის ჯგუფები დიდი ხანია, რაც სათანადო განათლებისა და დასაქმების გარეშე, სიღარიბის ზღვარს მიღმა და შესაბამისად, თითქმის მთლიანად სახელმწიფოს მიერ აღმოჩენილი სოციალური დახმარებით ცხოვრობენ, რაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მათ მიმართ კრიტიკულად განწყობას. სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, სლოვაკების 80% თვლის, რომ ბოშა ჯგუფები „შეუსაბამოდ დიდ დახმარებას“ იღებენ, გამოკითხულთა 40% კი ამბობს, რომ ბოშური მოსახლეობის მიმართ მკაცრი პოლიტიკური დისკურსის მხარდამჭერია.[22] მსგავსი განწყობები ერთ-ერთი ის მიზეზია, რის გამოც ბოშებთან დაკავშირებული დამამცირებელი ან დეზინფორმაციული მასალა, როგორც წესი, „პოპულარობის მაღალი ხარისხით" სარგებლობს. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით მედიაში მთავარი თემა სლოვაკეთის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რ. ფიცოს რასისტული განცხადებებისა და ამასთან, Ľudové strana-naše Slovensko-ს პარტიის წევრების მიერ გაკეთებული მსგავსი განცხადებების მხარდაჭერა იყო. ეს თემა განსაკუთრებით

აქტუალური გახდა სლოვაკეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რომლის მიხედვითაც, მილან მაზურეკი, პარტიის Ľudové strana-naše Slovensko-ს წევრი, ერის, რასისა და რელიგიის ნიადაგზე განზრახ ცილისწამებისთვის დამნაშავედ იქნა ცნობილი. ამ გადაწყვეტილების შედეგად, მაზურეკმა სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოში საპარლამენტო მანდატი დაკარგა. აღნიშნულიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ, სლოვაკეთის რესპუბლიკის პროკურატურამ რ. ფიცოს ბოშათა რასის შეურაცხმყოფელი გამონათქვამის გამო ბრალი წარუდგინა. აღნიშნული განცხადებები, ისევე როგორც ავტორის სხვა კომენტარები, ხშირად ბოშებს „პარაზიტების" ჯგუფად წარმოაჩენდა, რომელიც კრიმინალის მაღალი მაჩვენებლის ხასიათდება და სახელმწიფო დახმარებებს ბოროტად იყენებს.

LGBTI ჯგუფები და სტამბოლის კონვენცია

ბოლო თემა, რომელზეც უმცირესობის წინააღმდეგ დეზინფორმაციის გამავრცელებელი მრავალი სტატია დაიწერა LGBTI თემს უკავშირდებოდა. ამ თემის წინააღმდეგ დეზინფორმაცია ხშირად ასოცირდებოდა „გენდერულ იდეოლოგიასთან" ან „ლიბერალურ იდეოლოგიასთან". მონიტორინგის ქვეშ მყოფი ონლაინ მედიები „გენდერულ იდეოლოგიას" წარმოაჩენდნენ როგორც ერთგვარ მავნე ლიბერალურ ფილოსოფიას, რომელიც „ტრადიციულ ოჯახს საფრთხეს უქმნის". პარტია Slovenské hnutie obrody საკუთარ ოფიციალურ განცხადებებში წერდა: „ჩვენ ვხედავთ დიდ საშიშროებას პოლიტიკური დღის წესრიგში მყოფ ორ საკითხში. ეს არის LGBTI და მულტიკულტურული დღის წესრიგი ამას შეგვიძლია პირდაპირ ვუწოდოთ კრიმინალური დღის წესრიგი".[23]

LGBTI ჯგუფთან დაკავშირებით ასევე გავრცელდა სატირული შინაარსის სხვადასხვა სტატია, რომლებიც მიზნად რადიკალურად არაორდინალური შემთხვევების გამოყენებით, მკითხველში აღნიშნული ჯგუფების წევრებისთვის სამოქალაქო უფლებების მინიჭების მოთხოვნის აბსურდულობის განცდის გაჩენას ისახავდა. მსგავსი სატირული და პროდიული შინაარსის სტატიები ძირითადად ვებგვერდმა Slobodný výber-მა გამოაქვეყნა.

ჰომოსექსუალური წყვილების მიერ ბავშვების შვილად აყვანა ხშირად განმეორებადი თემა იყო, რომლის ფარგლებშიც, ავტორები წყვილების მიერ შვილად აყვანის საკითხს პედოფილიად წარმოაჩენდნენ. სავარაუდოა, რომ აღნიშნული სტატიები ეხმაურება განცხადებებს, რომლებიც უნგრეთის პარლამენტის სპიკერის გააკეთა - მან ჰომოსექსუალი წყვილების მიერ ბავშვების აყვანა პედოფილიად საჯაროდ შეაფასა. ამავე საკითხს უკავშირდება დეზინფორმაცია, რომ, თითქოს, სკოლებში LGBTI ჯგუფებისა და გენდერული იდეოლოგიის პოპულარიზაცია მიმდინარეობს.

მრავალი მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ერთ-ერთი ყალბი ამბის მიხედვიტ, სლოვაკეთის პრეზიდენტმა ზუზანა ჩაპუტოვამ, საპრეზიდენტო სასახლის კედლები ცისარტყელას დროშის ფერებით გაანათა, რაც LGBTI ჯგუფების ერთ-ერთი სიმბოლოა. აღნიშნული მიზანმიმართულად შექმნილ დეზინფორმაციას წარმოადგენდა და მიზნად პრეზიდენტის ცილისწამებას ისახავდა, რადგან, სინამდვილეში, საპრეზიდენტო სასახლის ფასადზე ასახული ფერები შენობის საშობაო შუქის დეკორაციისთვის მიმდინარე ტექნიკური ტესტირების ნაწილი იყო.

საზოგადოების განხილვის კიდევ ერთ თემას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მათ წინააღმდეგ

ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენცია წარმოადგენდა, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „სტამბოლის კონვენცია“. რატიფიცირების შემდეგ, კონვენცია მიზნად ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ისახავდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, სხვადასხვა დეზინფორმაციულმა წყარომ კონვენციის ტექსტი სხვანაირად განმარტა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კონვენციის მეშვეობით სლოვაკეთის სამართლებრივ წესრიგში გენდერული იდეოლოგია „იძულებით“ შემოდიოდა. დეზინფორმაცია ევროკავშირის ძალადობრივი გენდერული იდეოლოგიის შესახებ აღნიშნული საერთაშორისო კონვენციის მიზანმიმართულად არასწორი ინტერპრეტაციით კუთხითაც გავრცელდა, რომლის თანახმადაც, თითქოს, დაბადების მოწმობაში ბავშვის სქესის მითითება შეუძლებელი გახდება, ხოლო „დედისა და „მამის“ ნაცვლად სავალდებულო ტერმინებად „მშობელი 1“ და „მშობელი 2“ გადაიქცევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული ნარატივი ძირითადად სამ დონეზე გამოვლინდა - ემიგრანტებზე თავდასხმის ჭრილში, ბოშების საწინააღმდეგო რიტორიკაში და LGBTI ჯგუფების საწინააღმდეგო დეზინფორმაციის ნაწილში. უმცირესობების საწინააღმდეგო ნარატივი პირველ რიგში ახლოს იყო პრო-ნაციონალისტურ პოლიტიკურ სუბიექტებთან და მათი რიტორიკის ნაწილს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც აღნიშნული აქტორები ლიბერალურ პოლიტიკურ პარტიებს თავს ესხმოდნენ.

წყაროები:

[18] სარედაქციო შენიშვნა: სლოვაკეთში ბოლო აღწერა ჩატარდა 2021 წელს, მაგრამ შედეგები არ გამოქვეყნებულა ამ ანგარიშის დაწერის დროს. SODB 2011 (statistics.sk). ხელმისაწვდომია: https://udaje.statis tics.sk/tabulky.html. ბოლო ვიზიტი: 24.05.2021

[19] ინფოვოჟნა. (2020). შიმკოვიჩოვა: ლგბტ იდეოლოგია გარყვნილებისგან ყველაზე გარყვნილია. სიტყვის თავისუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდულია სლოვაკეთში. სიმართლეს ტყუილად აჩენენ და სიცრუეს სიმართლეს (info vojna.sk). ხელმისაწვდომია: https://www.infovojna.sk/article/simkovicova-lgbt-ideologia-je-to-najzvrat enejsie-zo-zvrateneho-sloboda-prejavu-je-na-slovensku-vyznamne-obmedzena-a-pravda- ჯე-ვიდა ვანა-ზა-ლოზ-ა-ლოზ-ზა-პრავდუ. ბოლო ვიზიტი: 24.05.2021

[20] Hlavné správy. (2020) "ჩეხეთი მიიღებს ყველა ლტოლვილთა 3%-ს და მისცემს მათ დასავლურ სოციალურ შეღავათებს." Voľný აფრთხილებს ბრიუსელის დაპირების შეთანხმებას. ხელმისაწვდომია: https://www.hlavnespravy.sk/cr-prijme 3-vsetkych-utecencov-da-zapadne-socialne-davky-volny-varuje-pred-bruselskou-promigracnou dohodou/2006191. ბოლო ვიზიტი: 24.05.2021

[21] პიკუს კაპიტალი. (2020). ანდრეი ნოვაკი: მიგრანტები სლოვაკეთში! არ დაიჯერებთ სად დაიმალეს. წვდომა შეგიძლიათ მისამართზე: https://picuscapital.sk/migranti-na-slovensku-neuverite-kde-sa-skryvali/. ბოლო ვიზიტი: 24.05.2021

[22] Slovenská Akadémia Vied. (2020). ახალი ამბები - ბოშების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მტრულ პოლიტიკურ დისკურსს უკავშირდება. ხელმისაწვდომია: https://www.sav.sk/index.php?doc=services news&source_no=20&news_no=8688. ბოლო ვიზიტი: 24.05.2021

[23] Slovenské hnutie obrody. (2020). არჩევნები 2020. რობერტ შვეკი: არანაირი კომპრომისი მულტიკულტურალიზმთან და ლგბტი კრიმინალურ დღის წესრიგთან. ხელმისაწვდომია: https://sho.sk/volby-2020-robert-svec-pre-tasr-zi-adne kompromisy-so-zlocineckymi-agendami-multi-kulti-a-lgbti/. ბოლო ვიზიტი: 24.05.2021

უცხო ძალების მხარდამჭერი დეზინფორმაცია და რუსული პროპაგანდა

აღნიშნული ქვეთავი ყურადღებას ონლაინ მედიის მიერ გამოქვეყნებულ იმ ტიპის მასალაზე ამახვილებს, რომელიც უცხო ძალების ან რუსული პროპაგანდის სასარგებლო ნარატივებს ავრცელებს. წინამდებარე კვლევის კონტექსტში, ტერმინით - „უცხოური ძალის მხარდაჭერა“, იგულისხმება განზრახ გამოქვეყნებული ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. ამასთან, ამავე ტერმინით აღინიშნება შემთხვევები, როდესაც, ინფორმაციის შერჩევითად გავრცელება ხდება. ამგვარი მანიპულაცია მკითხველს მომხდარის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას ართმევს და მიზნად კონკრეტული ქვეყნის მიერ წარმოებული პოლიტიკის მხარდაჭერას ისახავს. ამავე კატეგორიაში შედის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მედიების მიერ გამოქვეყნებული იმ ტიპის მასალაც, რომელიც მეტოქე სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართული.

ტერმინი „რუსული პროპაგანდა”, რუსეთის ფედერაციასა და მის გარეთ, სხვადასხვა თემებთან მიმართებით, კრემლის პოლიტიკის გავრცელებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმებს გულისხმობს. რუსული პროპაგანდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი კომპონენტია, რომლის საშუალებითაც ის თავის ინტერესების მიღწევას ცდილობს. აღნიშნული ორი, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან კავშირის არ მქონე თემა კვლევაში ერთადაა მოცემული, რადგან სლოვაკეთში უცხოური გავლენის გაძლიერების ყველაზე ხშირ და ყველაზე მძაფრ მხარდაჭერას რუსეთის ფედერაცია სწორედ მიზანმიმართული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საშუალებით ახორციელებს.[24] ბოლო წლებში სლოვაკეთში ასევე იზრდება ჩინეთის გავლენებიც. თუმცა, ეს გავლენები, რუსეთის აგრესიულ ქმედებებთან შედარებით, ჯერ კიდევ მცირე მასშტაბისაა.

შემდგომი კვლევისა და ანალიზისათვის მასალების შერჩევა ანალიტიკური ხელსაწყოს - CrowdTangle-ის დახმარებითა და შემდეგი საკვანძო სიტყვების გამოყენებით მოხდა: არჩევნები, გამოკითხვები, ომი, აშშ (USA), აშშ (United States), ვაშინგტონი, ტრამპი, რუსეთი, პუტინი, სლავები, უკრაინა, ყირიმი, ნავალნი, ჩინეთი, და სი ძინპინი.

სლოვაკეთის რესპუბლიკა, როგორც ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ერთ-ერთი წევრი ქვეყანა, დიდი ხანია ევროატლანტიკური საზოგადოების მიერ გაზიარებული ღირებულებების ერთგული მხარდამჭერია, რაც ხელისუფლებამ „სლოვაკეთის მთავრობის 2020-2024 წლების პროგრამის“ საშუალებით კიდევ ერთხელ დაადასტურა. ერთი შეხედვით, შეიძლება ჩანდეს, რომ სლოვაკეთის გეოპოლიტიკური მიმართულება იმდენად მყარად განსაზღვრულია, რომ სხვა სახელმწიფოების გავლენები ან საგარეო პროპაგანდა წარუმატებლობისთვისაა განწირული. თუმცა, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალწლიანი გამოცდილება და ონლაინ მედიის მიერ გამოქვეყნებული მასალების მუდმივი მონიტორინგი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. აღნიშნულის გამო, მოცემული კვლევის ფარგლებში, უცხო ქვეყნების გავლენებთან დაკავშირებული ნარატივის ანალიზიც ხდება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სლოვაკეთის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რომელთა სოციალური ეფექტებიც სახეზეა და შესაძლოა ის საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალებად იქცეს. სლოვაკეთის სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოს დაარსებამდე, 1993 წელს, ქვეყნის ტერიტორია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც, თავის მხრივ, სოციალისტურ ბანაკს მიეკუთვნებოდა. იმის გამო, რომ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა ქვეყანაში მხოლოდ ცოტა ხნის წინ, 1989 წელს ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ მოხდა, სლოვაკეთში კვლავ გვხვდება უამრავი ადამიანი, რომლებსაც ძველი რეჟიმი ახსოვთ და მის მიმართ ნოსტალგიურად არიან განწყობილნი. ამასთან, გასულ საუკუნეში, საბჭოთა კავშირი წარმოჩენილი იყო როგორც ქვეყნის „უახლოესი მოკავშირე“, რის გამოც, განსაკუთრებით უფროს თაობაში, თანამედროვე რუსეთის ”დამცველად“, ხოლო შეერთებული შტატების სახით წარმოდგენილი დასავლეთის „საფრთხედ“ აღქმა კვლავ შეინიშნება.

მეორე მიზეზი, რის გამოც სლოვაკები ხშირად რუსეთის ან სხვა "სლავი ერების" მიმართ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე სიმპათიით არიან განწყობილნი, მათი საერთო ეთნიკური და ენობრივი კავშირებია. მსგავსი წარმოსახვითი კავშირის იდეა და სოლიდარობის გრძნობა, რომელიც ემოციებს ეფუძნება, საზოგადოების ნაკლებ სიფხიზლეს იწვევს და "ჩვენი ძმების“ (ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება სხვა სლავური სახელმწიფოების მიმართ) შესახებ უარყოფითი ინფორმაციის კრიტიკულად აღქმის შესაძლებლობას ამცირებს. სლოვაკეთისა და რუსეთის მოსახლეობის „საერთო ფესვებისადმი დაბრუნებისთვის" ხაზის გასმას რამდენიმე გაანალიზებულ წყაროში ვხვდებით. სლავური ენები იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ თარგმნა და თარგმნილი მასალის შემდგომი გამოყენება დიდ დროს, ფინანსებსა და ადამიანურ რესურსს არ მოითხოვს. ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც ძირითადად „სლავური" მოსახლეობისგან შედგება და სიდიდის მიხედვით, მცირედან საშუალო ზომამდე მერყეობს, უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს (მაგ. სლოვაკეთი, ჩეხეთი და პოლონეთი). ამ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გავრცელება და გაზიარება შედარებით სწრაფად და მარტივად მიმდინარეობს. კვლევის ფარგლებში, ჩვენს მიერ გამოვლინდა ჩეხურ ენაზე გამოქვეყნებული საკმაოდ დიდი რაოდენობის სტატია, რომლებიც რუსულენოვან წყაროს ეყრდნობოდა. ჩეხურ და სლოვაკურ ენებს შორის არსებული მცირე განსხვავების გამო, აღნიშნული სტატიების ჩეხურიდან თარგმნა საჭირო არ იყო აღმოჩნდა, რამაც მგავსი მასალის უფრო სწრაფად და ეფექტიანად გავრცელებისა და ფართო აუდიტორიასთან მიღწევის შესაძლებლობა გააჩინა.

ბოლო ფაქტორი, რომელიც სლოვაკეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების საქმიანობის კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს არის ის, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკა ევროკავშირისა და ნატოს აღმოსავლეთ საზღვრებზე მდებარეობს და ამგვარად სლოვაკეთის აღმოსავლეთი საზღვარი „დასავლეთისა" და „აღმოსავლეთის" გავლენებს შორის არსებული ერთ-ერთი წარმოსახვითი საზღვარია. ასეთ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან არეალში მცხოვრები საზოგადოების განწყობებზე გავლენის წარმატებით მოხდენა კი საკუთარი ინტერესებისა და საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის პოპულარიზაციის ძალზე ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მოსახლეობის აზრი და განწყობები კი მით უფრო კრიტიკულია, თუ ქვეყანა მომდევნო ოთხის წლის ვადით უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს ირჩევს. საზოგადოებრივი აზრის ამა თუ იმ მიმართულებით პოტენციურმა ცვლილებამ,

შესაძლოა, ცენტრალურ ევროპაში გეოპოლიტიკურ ძალთა განაწილებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედოს. ევროკავშირისა და ნატოსთან მიმართებით წევრ სახელმწიფოებს შორის უთანხმოების ჩამოვარდნის მხარდაჭერამ, შესაძლოა, თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავებისა ან პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების შესაძლებლობის სრული პარალიზება გამოიწვიოს. მეორე მხრივ, წევრი ქვეყნების ერთიანობა, უცხო ქვეყნების საწინააღმდეგოდ, ევროკავშირის ან ალიანსის მედეგობისა და წინააღმდეგობის შესაძლებლობების გაზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.



გრაფიკი 2: პრო-რუსული სენტიმენტები პრობლემატურ მასალებში

ზემოაღნიშნული დასტურდება კვლევის ერთ-ერთი დასკვნით, რომლის მიხედვითაც, უმეტეს შემთხვევაში, უცხო ძალების ან რუსეთის პროპაგანდის მხარდამჭერ ნარატივთან ერთად, გაანალიზებული მასალა ხელს უწყობდა ევროკავშირის ან ნატოს საწინააღმდეგო ნარატივის გავრცელებასაც (ნაჩვენებია ქვემოთ მოცემული დიაგრამით). მსგავსი მასალების შემთხვევაში, როგორც წესი, თუ სტატიის ავტორი სლოვაკეთისთვის ევროკავშირის ან ნატოს მიერ წარმოდგენილ რაიმე „საფრთხეზე“ საუბრობდა, სტატიაშივე მოცემული იყო გამოწვევის შესაძლო გადაწყვეტის გზა, რაც ყველაზე ხშირად რუსეთით, უფრო კონკრეტულად კი, რუსეთთან ალიანსის სახით იყო წარმოდგენილი. გაანალიზებული პრობლემური მასალის ფარგლებში, ტერმინი „NATO“ ხშირად ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაიგივებული იყო. ამგვარად, დეზინფორმაცია „ამერიკის” საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, შედეგად კი ქვეყანას ექსკლუზიურად ნეგატიურ ჭრილში წარმოაჩენდნენ. აღნიშნულის საპირისპიროდ, რუსეთი წარმოჩენილი იყო როგორც აშშ-ის საპირწონე ძალა, რომელზეც გაზვიადებულად დადებით ჭრილში საუბრობდნენ. დეზინფორმაციული სტატიების ავტორები სამყაროს შავ-თეთრი რუკის სახით წარმოაჩენდნენ, სადაც გარკვეულ ქვეყნებს, ევროკავშირსა და NATO-ს მხოლოდ უარყოფითად ასახავდნენ, ხოლო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი, პოზიტიურად აშუქებდნენ.

გაანალიზებული მრავალი სტატიის შინაარსი არ იქნა შეფასებული, როგორც ყალბი, რადგან მათში ზუსტი ინფორმაცია იყო მოცემული. ამავე მიზეზით, მსგავსი სტატიები

დეზინფორმაციულ მასალად არ არის კლასიფიცირებული, მაგრამ ვებგვერდების ზოგადი კონტენტის გაანალიზებამ ცხადყო, რომ საინფორმაციო ფილტრების გამოყენებით (filter bubbles), მედია ინფორმაციას სელექციურად ავრცელებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც მკითხველი ეცნობა კონკრეტული მოვლენის, თემის ან საკითხის შესახებ მხოლოდ ცალმხრივ ინფორმაციას, შესაძლოა, მას მსგავს საკითხზე სრულიად არასწორი წარმოდგენა შეექმნას. ამ მიზნით, სტატიების ავტორები ხშირად მიზანმიმართულად უსვამდნენ ხაზს „აღმოსავლეთ" და „დასავლეთ" ძალებს შორის არსებულ სხვაობებს, რაც მკითხველში აჩენდა განწყობას, რომ ერთ მხარეს არსებულ „სიკეთესა“ და მეორე მხარეს არსებულ „ბოროტებას" შორის არჩევანის გაკეთება აუცილებელია. საინფორმაციო ფილტრის (filter bubbles) გამოყენების აშკარა მაგალითია დეზინფორმაციულ სტატიებში რუსეთისა და რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის უარყოფით კონტექსტში არასდროს ხსენება - გაანალიზებული მასალა რუსეთსა და ვ. პუტინს ექსკლუზიურად დადებით ან ნეიტრალურ ჭრილში ასახავდა.

ყირიმი, ომი აღმოსავლეთ უკრაინაში და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მიმართული სანქციები

აღნიშნული კვლევის წინა თავების მსგავსად, უცხო ძალებისა და რუსული პროპაგანდის მხარდამჭერი ნარატივი რამდენიმე თემას აერთიანებდა. ერთ-ერთი განმეორებითი თემა სლოვაკეთის მეზობელ უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებები იყო. ევროკავშირის ყველა ქვეყნის მსგავსად, სლოვაკეთის რესპუბლიკამ რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ანექსიის შესახებ ჩატარებული რეფერენდუმი არ ცნო და სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის იძულებითი ანექსია აგრესიად და საერთაშორისო სამართლის დარღვევად მიიჩნია. მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტი უკრაინის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო, ეს თემა კვლავ ფართოდ განიხილება სლოვაკეთის პოლიტიკურ სცენაზე. ამ კუთხით, აქცენტი ძირითადად რუსეთის ფედერაციისთვის ევროკავშირის მიერ დაწესებულ სანქციებზე კეთდება, რაც პოლიტიკური დაგმობის ფორმას წარმოადგენს და რუსეთს შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებისა და სამშვიდობო შეთანხმებების შეუსრულებლობის გამო სჯის. აღნიშნული სანქციები დამტკიცებულია ევროპარლამენტის მიერ, რომელიც ყოველ ექვს თვეში წყვეტს, დარჩება თუ არა სანქციები ძალაში, ხოლო ძალაში დარჩენის შემთხვევაში, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს მათი გახანგრძლივება. რუსეთის წინააღმდეგ სანქციების თემის კუთხით სლოვაკეთის პოლიტიკური სპექტრი ისევე როგორც ამომრჩევლები ორადაა გაყოფილი. არსებული მოსაზრებები მეტად მრავალფეროვანია და მოიცავს, როგორც რუსეთის ოფიციალური პირების წინააღმდეგ მკაცრი და უკომპრომისო ქმედებების მომხრეებს, ისე სანქციების გაუქმებისა და ყირიმის ანექსიის მხარდამჭერებს.

მსგავსი კონტექსტის გათვალისწინებით, სამონიტორინგო პერიოდში გამოვლინდა არაერთი სტატია, რომელიც მკითხველს ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთის ფედერაციაში ჩართვის ლეგიტიმურობის შესახებ რუსეთის სასარგებლოდ განაწყობდა ან ამ კუთხით პირდაპირ დეზინფორმაციას ავრცელებდა - დეზინფორმაციული მედია საშუალებები ყირიმის რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ ჩატარებული რეფერენდუმისა და მის შედეგების უპირობოდ ცნობდა. ყირიმის რეფერენდუმის აღიარებას თავისი მომხრეები იმ ტიპის პოლიტიკურ პარტიებშიც კი ჰყავს, რომლებიც პატრიოტიზმზე აპელირებენ და ეროვნული ინტერესების დაცვას ქადაგებენ. დეზინფორმაციული სტატიების ავტორების აზრით, რეფერენდუმი იყო ლეგიტიმური,

რადგან ის საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე ჩატარდა და, შესაბამისად, ვალიდურია. თუმცა, დეზინფორმაციის გამავრცელებელ ვებგვერდებს შორის იმ კონკრეტულ მიზეზებთან დაკავშირებით, რამაც რეფერენდუმის ჩატარების დღის წესრიგში დადგომა და რუსეთის ინტერვენცია გამოიწვია, კონსენსუსის ნაკლებობა აღინიშნა. რამდენიმე ვებგვერდი კონკრეტული მოვლენების დასახელებისგან თავს იკავებდა და ცდილობდა ყირიმის ანექსია წარმოეჩინა მხოლოდ როგორც „ნებაყოფლობითი რეინტეგრაცია" ან „დაბრუნება" რუსეთის ფედერაციაში, რაც ამ ტერიტორიის მშვიდობიანად გადაცემის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ვებგვერდის slov-enskeslovo.sk-ს თანახმად, ყირიმის რუსეთთან შეერთების მიზეზი ისაა, რომ „ყირიმი ყოველთვის რუსული იყო". მსგავსი მიზანმიმართულად ბუნდოვანი ან მწვავე საკითხების ნაკლებად პრობლემურად წარმომჩენი მტკიცებები, შეცდომაში შემყვანი ტერმინები და მოვლენების მიკერძოებული აღწერა მკითხველისთვის ფაქტების ნამდვილობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

სტატიების კიდევ ერთი ნაწილი ყირიმის ანექსიას, სამხედრო გადატრიალების პოტენციური საფრთხის წინააღმდეგ, ნახევარკუნძულზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების თავდაცვის ფორმად წარმოაჩენს. ვებგვერდ ExtraPlus-ის თანახმად, „ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმი აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ კიევში ორგანიზებულ გადატრიალებაზე" რეაქცია იყო.[25] ანექსიის შემდეგ მრავალი ავტორი ასევე შეეხო ყირიმის მოსახლეობის ცხოვრების პირობებს და ცხოვრების დონის შედარება იმ პერიოდთან გაკეთდა, როდესაც ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში იყო. ამ კუთხით, გარდა ინფორმაციის ფილტრების გამოყენებისა და მოვლენების სელექციურად გაშუქებისა, რაც ყირიმის მოსახლეობის ცხოვრების პირობების მხოლოდ გაუმჯობესების ცნობებს ეხებოდა, დეზინფორმაციის რამდენიმე შემთხვევაც გამოვლინდა. დეზინფორმაციული მასალის დიდი ნაწილის მტკიცებით, ყირიმის მოსახლეობის „ფინანსურ კეთილდღეობას" რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაცია განაპირობებდა. მსგავსი სტატიები ქმნიდნენ შთაბეჭდილება, რომ რუსებმა რეგიონში წესრიგი და კეთილდღეობა შემოიტანეს. საპირისპიროდ კი, გაანალიზებულ მასალაში უკრაინის მთავრობა წარმოჩენილია როგორც მხარე, რომელიც ყირიმის ნახევარკუნძულის ეკონომიკის გაძლიერებითა და მისთვის მხარდაჭერის აღმოჩენით დაინტერესებული საერთოდ არაა, ან გაურკვეველი მიზეზების გამო, ამის გაკეთება საერთოდ არ შეუძლია. Extraplus-ის მტკიცებით, „როდესაც ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში იყო, ის გაუსაძლის მდგომარეობაში იყო", ამავე სტატიაში კი ვკითხულობთ, რომ რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ყირიმი, როგორც ჩანს, აყვავების გზას ადგას.

რუსულ პროპაგანდასთან, უცხო ძალების მხარდაჭერასა და უკრაინის საკითხთან დაკავშირებული თემების ბოლო ჯგუფი რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული ზემოთ უკვე ნახსენები სანქციებია. ისევე, როგორც სლოვაკეთის პოლიტიკურ სცენაზე არ არსებობს კონსენსუსი ამ საკითხთან დაკავშირებით, ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების პოლიტიკური ძალებიც სხვადასხვაგვარად ფიქრობენ. სანქციები ყოველთვის ფართო განხილვის საგანია და საბოლოო გადაწყვეტილება უმრავლესობის კონსენსუსის საფუძველზე მიიღება. დეზინფორმაციის გამავრცელებელი მედია საშუალებები დიდი ხანია სანქციების მიზანს, ეფექტიანობას და ამ კუთხით საერთო ევროპული პოზიციის რაციონალურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. აღნიშნულ საკითხზე გაანალიზებული ზოგიერთი რადიკალური მედიის რადიკალური ტიპის მტკიცების მიხედვით, სანქციები უფრო

მეტად საზიანოა არა რუსების, არამედ ევროპელთა ეკონომიკურ ინტერესებისთვის.

წყაროები:

[24] სლოვაკეთის დაზვერვის სამსახური. (2019). Pre Vás/ SIS აქტივობის ანგარიში 2019. (gov.sk). ხელმისაწვდომია: https://www.sis.gov.sk/pre-vas/sprava-o-cinnosti.html. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[25] ექსტრაპლუსი. (2019). ლენკა მაიეროვა: რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გაფუჭებულია. ხელმისაწვდომია: https://www.extraplus.sk/clanok/sankcny-tlak-na-rusko-je-v-troskach. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

ნატო-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

ნატო-ს შემთხვევაში ნარატივები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფაქტობრივად დაბალი ხარისხის ან არა ფაქტობრივი, რომელიც აწვდის აუდიტორიას ინფორმაციას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) შემადგენელი ნაწილების, ოპერაციების და ფუნქციონირების შესახებ. ამგვარმა ნარატივმა შეიძლება გამოიწვიოს სლოვაკეთის, როგორც ნატოს წევრი ქვეყნის, საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ფრაგმენტაცია. ამ კვლევის შემდგომი მონიტორინგისა და ანალიზისთვის ნატო-სთან დაკავშირებული დეზინფორმაციის შინაარსის ძიებისას გამოვიყენეთ შემდეგი საკვანძო სიტყვები: ნატო, მოკავშირეები, შეიარაღება, ომი, სტოლტენბერგი, აშშ, შეერთებული შტატები, ტრამპი. ამ საკვანძო სიტყვების შერჩევა მედიის მონიტორინგის წინა გამოცდილებით, აგრეთვე იმ თემების გამოკვლევით იყო განპირობებული, რომლებიც მონიტორინგის პერიოდში გამოჩნდა საინფორმაციო სივრცეში და წარმოადგენდა წინასაარჩევნო კამპანიის ინსტრუმენტულ ნაწილს.

რაც შეეხება კონკრეტულ შინაარსს, იგი ძირითადად მოიცავს ტექსტებს, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს სლოვაკეთის ნატოში წევრობის საჭიროებას, ან უფრო ზოგადად ქვეყნის მიკუთვნებულობას ევროატლანტიკური უსაფრთხოების ზონაში. ეს ინსტრუმენტული ნარატივი ხშირად ასოცირდება მოსაზრებასთან, რომ ნატო არ არის დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაცია, არამედ შეერთებული შტატების იარაღია მისი ინტერესების განსახორციელებლად. საკმაოდ ხშირად ჩნდებოდა პროპაგანდა ნატოს ეტაპობრივი გაფართოების შესახებ, რომელიც განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის რუსეთის უსაფრთხოებას და ინტერესებს; იგივე ნარატივი ვრცელდება უკრაინასა და საქართველოში მომხდარ კონფლიქტებზე, რასაც თან ახლავს პროპაგანდა სამხედრო ბაზების განლაგებაზე, ერთობლივი წვრთნებსა და ჯარების და ტექნიკის გადაყვანაზე. დეზინფორმაციის აქტორები შეგნებულად არ ასხვავებდნენ ერთმანეთისგან აშშ-სა და ნატოს და მათ მიმართ სლოვაკეთის რესპუბლიკის ვალდებულებებზე აკეთებდნენ აქცენტს. დეზინფორმაციული ნარატივი NATO-ს შესახებ კიდევ უფრო გაძლიერდა (პოპულარული გახდა) იმის გამო, რომ 2019 წელი იყო ალიანსის 70-ე წლისთავი და სლოვაკეთის ნატოში გაწევრიანების მე-15 წლისთავი. დეზინფორმაციულ ეკოსისტემაში ნატო წარმოდგენილი იყო, როგორც კრიმინალური ორგანიზაცია და სლოვაკეთის ეროვნული სუვერენიტეტის საფრთხე. ეს უკანასკნელი პირველ რიგში ეხება „არაპოპულარულ“ ვალდებულებებს, როგორიცაა წევრობის ფინანსური ასპექტები (თავდაცვის ხარჯები უნდა იყოს მშპ-ს 2%) ან პოტენციური დაპირისპირება მეგობრული აქტორების წინააღმდეგ. ამ ნარატივებს მხარს აქტიურად უჭერდნენ ამ კვლევის მონიტორინგიში მოხვედრილი პრობლემური შინაარსის ვებსაიტები, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს ასევე გამოიყენებოდა რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტის მიერ (განსაკუთრებით ნაციონალისტური პროგრამის მქონე პირების მიერ).

ნატო-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული ნარატივის ასპექტები

სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს (სლოვაკეთის საკანონმდებლო ორგანო) 2020 წლის არჩევნების კონტექსტში, ნატოს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული ნარატივები

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა, ვინაიდან ალიანსის წევრობა სლოვაკეთის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი საყრდენია და, არსებითად, გამოხატავს მის სოციალურ, ღირებულებით და, უპირველეს ყოვლისა, გეოპოლიტიკურ მისწრაფებებს. საარჩევნო კონტექსტში სწორედ ეს პარამეტრები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ამომრჩეველთა გადაწყვეტილებაზე ფუნდამენტური გავლენის მომხდენი ცვლადები. დასავლეთის ინსტიტუტების მიმართ პოზიტიური ან უარყოფითი დამოკიდებულება ამ კვლევაში განხილულია, როგორც არსებითი გამყოფი ხაზი პოლიტიკური სცენის სუბიექტების განსასხვავებლად და შეფასებისთვის. რამდენიმე პოლიტიკური აქტორი, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობდნენ, თავის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დღის წესრიგს ამყარებდა რიტორიკაზე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა დასავლურ ინტეგრაციასა და თავდაცვის ორგანიზაციებს, მათ შორის ნატოსა და ევროკავშირს.

ამ აქტორების უმეტესობა იყო ნაციონალისტური პარტიული სუბიექტები, რომლებიც მოსახლეობის იმ ნაწილს იღებდნენ სამიზნეში, რომელიც Globsec– ის მიერ ჩატარებული ყოველწლიური გამოკითხვების თანახმად, მერყეობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური ორიენტაციებს შორის. Globsec-ის Trends 2019-ის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 48%-მდე თვლიდა, რომ ისინი საკუთარ თავს მიაკუთვნებენ სადღაც დასავლეთის ინსტიტუტებსა და აღმოსავლეთს (რომელიც ძირითადად გულისხმობს რუსეთის ფედერაციას) შორის.[26] მსგავსი პრეფერენცირება შეიძლება უკავშირდებოდეს სლოვაკეთის, როგორც "ხიდის" იდეას, რომელიც მოქმედებს როგორც ურთიერთობების შუამავალი „წარმოსახვით“ მეტოქე ბლოკებს შორის. ამ იდეის საფუძველშია ორივე მხარესთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მცდელობა, რაც ორივე მხარისგან მაქსიმალური სარგებლის მიღების ოპორტუნისტულ წარმოდგენებს უკავშირდება. ამგვარი რიტორიკა წინასაარჩევნო პერიოდში სლოვაკეთის პარლამენტის პრეზიდენტის, ანდრეი დანკოსთვის ძალიან მიმზიდველი იყო, რომელიც სლოვაკეთის ნაციონალურ პარტიას (SNS) ხელმძღვანელობდა. ნეიტრალიტეტის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად გამოცხადებულმა მცდელობებმა, რომლებიც ხშირად ეროვნულ პოპულიზმთანაა მიბმული, ასევე ითამაშა თავისი როლი პროცესში.

პან-სლავიზმის იდეა და, შესაბამისად, ისტორიული რწმენა სლავური ერების ურთიერთკავშირის შესახებ (ეთნიკური სოლიდარობა), ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია და ბევრი სლოვაკისთვის გარკვეულწილად აფერხებს ნატოსა და სხვა დასავლურ ინსტიტუციებში ყოფნის განცდას. ამას გარდა, სლოვაკებს შორის არსებობს აღმოსავლეთისკენ მიდრეკილების ტენდენცია, რაც არა მხოლოდ გეოგრაფიულ და კულტურულ სიახლოვეს ეხება, არამედ სოციალიზმისა და საბჭოთა კავშირის საერთო ისტორიულ გამოცდილებას, რაც არსებითად ასოცირდება "უკეთესი დროის" ნოსტალგიასთან. Pew Research Center- ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები აჩვენებს სსრკ-ს დაცემის შემდეგ მოსახლეობის ნაწილში წარმოქმნილ იმედგაცრუებას, რადგან როგორც კვლევის შედეგებიდან ირკვევა, "რიგითი" სლოვაკებიის მხოლოდ 42% -მა განიცადა ან იცის კომუნიზმის დაშლის შედეგად მიღებული სარგებლის შესახებ.[27] მსგავსი შეუსაბამობა მოლოდინებსა (იდეალებს) და რეალობას შორის ასევე შესამჩნევია ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.

მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, გამოკვლეულ პერიოდში, სლოვაკეთი შეიძლება ჩაითვალოს

ერთიანობის ერთ-ერთ სუსტ წერტილად; Globsec Trends- ის ზემოხსენებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 56% მისცემდა ხმას სლოვაკეთს ნატო-ს შემადგენლობაში დარჩენას 2019 წელს.[28] მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცენტული მაჩვენებელი ნატო-ს შესახებ სლოვაკეთის პოზიტიურ ტენდენციას აღნიშნავს წინა წლებთან შედარებით (47% 2017 წელს), რაც შეიძლება სტრატეგიულ კომუნიკაციასა და #WeAreNATO- ს კამპანიის წარმატებაზე მიანიშნებდეს, ძლიერი პრორუსული განწყობაა ჯერ კიდევ არსებობს და რჩება სლოვაკეთის უსაფრთხოების გარემოს ერთ – ერთ მოწყვლად საკითხად. ამ შეფასებას ამყარებს ჩვენი კვლევის შედეგები, რომელიც აჩვენებს, რომ ნატოს წინააღმდეგ დეზინფორმაციული ნარატივების შესწავლისას გვხვდება კონტენტი, რომელიც, ერთი მხრივ, გამოხატავს უსაფუძვლო კრიტიკას ალიანსის მიმართ და, მეორე მხრივ, ამ კრიტიკას უპირისპირებს რუსეთის ფედერაციის მხარდამჭერ პროპაგანდას. ეს ურთიერთდამოკიდებულება ასევე მუშაობს აშშ-სა და რუსეთის შემთხვევაშიც საზოგადოების აღქმის ძირითად დონეზე - განსაკუთრებით იმ ნარატივის ფარგლებში, რომელიც ნატოს როგორც ამერიკული იმპერიალიზმის ინსტრუმენტს წარმოადგენს. ასეთი ნარატივის არსებობას და გავრცელებას მოწმობს წინასაარჩევნო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც გვაჩვენებს, რომ 2019 წელს, სლოვაკეთის 41% აღიქვამდა აშშ-ს საფრთხედ, ხოლო რუსეთის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი რესპოდენტებში მხოლოდ 26% იყო.[29]

ნატო ამერიკის კონტროლქვეშ

პრობლემური ან დეზინფორმაციული შინაარსის მქონე ვებ-გვერდების ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული თემა იყო ირანელი გენერლის, ქასიმ სულეიმანის მკვლელობა, რომელიც 2020 წლის 3 იანვარს განხორციელდა, აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ბრძანებით.[30] ამ ქმედების ლეგიტიმური კრიტიკის გარდა, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო აქტორისგან მოდიოდა, დეზინფორმაციული ფლანგიდან ისმოდა მოსაზრებები, რომლებიც სლოვაკეთის ნატო-დან გასვლას ითხოვდა და ამ ორგანიზაციასა და შეერთებული შტატებს კრიმინალად და საერთაშორისო სამართლის დარღვევად აფასებდა. ამ რიტორიკის თანახმად, 2004 წელს ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებით, სლოვაკეთი გახდა აგრესორი და თანამონაწილე გლობალური ტერორიზმისა.

ეს საკითხი ახალი ამბების ყურადღების ცენტრში ძირითადად იმიტომ მოექცა, რომ იმ პერიოდში შვიდი სლოვაკი ჯარისკაცი, რომლებიც მონაწილეობდნენ ნატოს ერაყის მისიაში, შუა აღმოსავლეთის რეგიონში იყვნენ განლაგებულნი. ადგილზე სიტუაციის ესკალაციის შემდეგ, სასწავლო მისიის საქმიანობა შეჩერდა და ჯარები დროებით ერაყის გარეთ გადაიყვანეს.[31] მიუხედავად ამისა, მათი უსაფრთხოების საკითხი, აშშ-ს ქმედებების მკაცრი დაგმობის მოწოდებებთან ერთად, 2020 წლის არჩევნების წინა პერიოდში აქტიურად გამოიყენეს ძირითადად იმ პოლიტიკურმა სუბიექტებმა, რომლებიც დიდი ხანია აკრიტიკებენ აშშ-ს საგარეო პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ სპექტრში მიღწეულ იქნა კონსენსუსი ამ საკითხთან დაკავშირებით (იქნებოდა ეს მმართველი კოალიცია, ოპოზიცია თუ არასაპარლამენტო პარტიები) და მათ ღიად დაგმეს აშშ-ს თავდასხმა, როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევა, ზოგიერთმა აქტორმა, განსაკუთრებით ნაციონალიზმისკენ მიდრეკილებმა, მათ წინასაარჩევნო კამპანიაში მაინც აქტიურად გამოიყენა ეს თემა. მათი გზავნილები იმდროინდელი მთავრობის კონსტრუქციული და დიპლომატიური მიდგომის კრიტიკით იყო დატვირთული. მსგავსი რიტორიკა მიმართული იყო პრეზიდენტის მიმართაც,

განსაკუთრებით იმ ნარატივის კონტექსტში, სადაც აშშ-ს თავდასხმა სლოვაკეთის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის საფრთხედ იყო წარმოჩენილი. პრობლემური შინაარსის ვებ-გვერდები სულ უფრო მეტად უსვამდნენ ხაზს სლოვაკეთის ნატოდან გასვლის საჭიროებას.

პარლამენტის უპარტიო წევრის, პ. მარეშეკის წინადადებამ რეფერენდუმის ჩატარების შესახებ (სლოვაკეთის რესპუბლიკის ნატოდან გასვლის შესახებ) გარკვეული მხარდაჭერა ჰპოვა საინფორმაციო სივრცეში. გარდა იმისა, რომ მარეშეკმა ნატო დაადანაშაულა ისტორიულ რევიზიონიზმში 1999 წლის იუგოსლავიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და მას „მესამე რაიხის“ გაგრძელება უწოდა, ის ასევე თავს ესხმოდა ყოფილ პრეზიდენტის ა. კისკას (რომელიც არჩევნების პერიოდში პარტიის ”ხალხისთვის” ლიდერი იყო) და ამჟამინდელ პრეზიდენტ ზ. ჩაპუტოვას და ორივეს აშშ-სგან მართულ ომის მოსურნეებს (war-mongers) უწოდებდა, რომლებიც თავიანთ ნამდვილ სახეს დასავლური ლიბერალიზმის საშიში იდეების მიღმა მალავდნენ. ამ კონტექსტში, გადამწყვეტი გახდა შეთქმულებები, რომლებიც ნატოს ვაშინგტონის ლაქიად რაცხავდნენ და იყენებდნენ ისეთ მცნებებს როგორებიცაა „სახელმწიფო სახელმწიფოში“ (Deep State) და „შეიარაღების ლობი“, რითაც ნატოს იმიჯის შელახვას ცდილობდნენ და მას არა როგორც მოკავშირეს, არამედ როგორც მტერს, არა კოლექტიური თავდაცვის, არამედ გენოციდების ერთობლივად ჩადენის იარაღს მოიხსენიებდნენ. ნატოსთან პარტნიორობის უარყოფასთან დაკავშირებული ნარატივები (რომელიც ხშირად აშშ-ს ინტერესებამდე დაიყვანებოდა) ძირითადად სუვერენიტეტის ან ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფაზე საუბრობდა, შვეიცარიის ან ავსტრიის მაგალითზე, რაც სლოვაკეთს „შეიარაღების ლობის“ ინტერესებისგან დაცულს გახდიდა. პ. მარშეკის წინადადება თანხვედრაში მოდიოდა ნატოს წინააღმდეგ დეზინფორმაციული აქტორების (მათ შორის პოლიტიკური აქტორების) მიერ არაერთხელ გავრცელებულ ნარატივებთან.[32] ქვემოთ განხილულია სხვა პოლიტიკური აქტორების მსგავსი არგუმენტები ნატოსთან დაკავშირებით.

NATO-ს აგრესიული ექსპანსია (Defender 2020)

ამავეს უკავშირდება პრობლემური შინაარსის მქონე მედიის კიდევ ერთი ტენდენცია. როგორც ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, შესწავლილ მედიაში ხშირად აზიარებდნენ რუსი პოლიტიკოსების განცხადებებს (განსაკუთრებით ვ. პუტინი, ს. ლავროვი, დ. პესკოვი და სხვები) ნატოს საქმიანობის შესახებ. მასალებს, რომლებიც შეიცავს ასეთ განცხადებებს, ხშირად არ იყო დაბალანსებული და ობიექტური. კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც კვლევის დროს შეგვხვდა, იყო ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებული მასალა ფაქტობრივად სწორი იყო, ხშირ შემთხვევაში, ის მხოლოდ NATO-ს კრიტიკას მოიცავდა, ან ინფორმაციას, რომელსაც აუდიტორია კონკრეტული "წინასწარი" განწყობების შესაბამისად გაუწევდა ინტერპრეტირებას. ყველაზე რეზონანსული თემები იყო უკრაინაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხები (მაგალითად, უკრაინის ნატოში ინტეგრაციის მცდელობების დისკრედიტაციის მცდელობები) და Defender 2020-ის დაგეგმილი სწავლება/წვრთნები.

დეზინფორმაციული ნარატივების თანახმად, ეს სწავლება ნატოს ევროპელი წევრების ფინანსური კონტრიბუციის გაზრდის მცდელობა იყო. დეზინფორმაციული აქტორები უსაფუძვლოდ ცდილობდნენ ალიანსის კოლექტიური თავდაცვის მზაობისა და მდგრადობის ოფიციალურად გაცხადებული მიზნების რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებისა და ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ

საფრთხედ ტრანსფორმირებას. უპირველეს ყოვლისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს სავარჯიშოების თავდაცვითი ხასიათი, და 20,000 კაციანი სამხედრო პერსონალი, ნატოს სამხედრო ტექნიკასთან ერთად, წარმოჩენილი იყო როგორც ამერიკული ძალისხმევა ევროპასა და შემდგომში რუსეთში შეჭრის მოსამზადებლად. ამ "უაზრო პროვოკაციაში" (როგორც ამას უწოდებდა მონიტორინგიში მოხვედრილი ზოგიერთი მედია) საქართველოსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. Hlavné správy- ს შემთხვევაში, გვხვდება ევგენ რუსნაკის სტატია (ნამდვილი სახელი ევგენიი პაშჩევი, HSP- ის და Zem & Vek-ის რედაქტორი რუსული პასპორტით), რომელშიც ის ინფორმაციას პირდაპირ ქართული ვებსაიტიდან Gruzinform (საქინფორმის რუსული გამოცემა) იღებს.[33]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატივი იყო რუსეთის პოტენციური უკმაყოფილება, რომელსაც, როგორც მსხვერპლს, მოუწევს ნატოს ჯარისა და ტექნიკის მიახლოების „ატანა“ მის უშუალო სამეზობლოში. ძირითადი სპეკულაციური დაშვება იყო, რომ წვრთნების შემდეგ ნატოს ჯარები მუდმივად დარჩებოდნენ. მსგავსი დაშვებები მუშაობს ლუგარის ლაბორატორიის ან ამერიკული ძალისხმევით, მომავალი არჩევნების "სამართლიანი" მიმდინარეობის უზრუნველყოფის შესახებ შეთქმულების ნარატივების გავრცელებისას. რთულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას საქართველოში, რომელიც დასავლეთის ინსტიტუტებში ინტეგრაციის მცდელობებსა და რუსულ საფრთხეს შორის გზაჯვარედინზე აღმოჩნდა, მკითხველს ძალიან სიმპლისტიკურად განუმარტავდნენ. პარალელურად მკითხველებს არწმუნებენ, რომ რუსეთის დომინირება არის სამართლიანი და „კეთილგანზრახული“, რადგან მას შეეძლო მთელი საქართველოს ანექსია 2008 წელს, მაგრამ ამის ნაცვლად "მხოლოდ" სამხრეთ ოსეთის რეგიონით შემოიფარგლა.[34] შექმნილი საინფორმაციო ტალღა მკითხველს ნათლად მიანიშნებს, რომ რუსეთი მხოლოდ მის ინტერესებს იცავს რეგიონში, რასაც აშშ (ნატოს ეგიდით) ემუქრება, როგორც არასასურველი აქტორი. ფაქტი, რომ საქართველო საკუთარი სურვილით არის ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ინიციატივის წევრი ქვეყანა და მისი ინტერესები ალიანსისას ემთხვევა, საერთოდ უგულებელყოფილია. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ რამდენიმე ვებსაიტზე მსგავსი ინფორმაცია შეიძლება მოიძებნოს NATO Defender 2020-ის დაგეგმილი წვრთნების შესახებაც. ეს ვებ-გვერდები, სწავლებების უკან ხედავენ/ხედავდნენ უსაფუძვლო საფრთხეებს, რომელიც რუსეთის ფედერაციას ემუქრება.

ანალოგიურად, კეთდებოდა მოთხოვნები უსაფრთხოების სტრატეგიაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც, ზოგიერთი პოლიტიკოსისა და პრობლემური ვებ-გვერდების აზრით, მოძველებულია და მხოლოდ ევრო-ატლანტიკური სივრცით შემოიფარგლება. სწორედ ამ თემაზე გამოიკვეთა ზემოთხსენებული ძალისხმევა ისეთი ამომრჩევლის მოსაზიდად, რომელიც არის და სურს დარჩეს გადაუწყვეტელი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბლოკებს შორის მის საგარეო პოლიტიკურ (გეოპოლიტიკურ) ორიენტაციაში. ამ შემთხვევაში, სლოვაკეთი არ განიხილება, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცის ნაწილი; პირიქით, მან თავისი ამბიციები უფრო მეტად რუსეთის ფედერაციისკენ უნდა მიმართოს, რომელიც განიხილება როგორც მოკავშირე და არა როგორც საფრთხე. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ის ტიპური ნარატივი, რომელშიც რუსეთი წარმოდგენილია, როგორც “წამებული“, ამერიკული ინტერესების მსხვერპლი, რასაც უნებლიეთ სლოვაკეთიც უწყობს ხელს. ეს ნარატივი არის იმდროინდელი სლოვაკეთის უსაფრთხოების სტრატეგიის ღიად უარყოფა, და ის პირველ რიგში ეყრდნობა არგუმენტს რუსეთთან

კონფლიქტში სლოვაკეთის იძულებითი მონაწილეობის შესახებ. სლოვაკეთი უნდა იყოს არსებითად პასიური და არააგრესიული; აგრესიული ეს მხოლოდ ნატოს მცდელობაა, მიუახლოვდეს რუსეთის საზღვარს.

სლოვაკეთის გასვლა NATO-დან და „ანტი-ლიბერალიზმი“

რამდენიმე სტატიასა და წინასაარჩევნო დებატებში ანტისისტემურმა აქტორებმა ნატო წარმოადგინეს, როგორც დისფუნქციური პროექტი, რომელიც უახლოეს მომავალში აუცილებლად დაიშლება. მაგალითად, პარტიის „Vlasť“ (სამშობლო) ლიდერის, შტეფან ჰარაბინის (რომელიც პრობლემურ ვებ – გვერდებზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა) განცხადების თანახმად, დადგა დრო უსაფრთხოების ახალი სისტემისთვის, რომელიც რუსეთს აღარ გამორიცხავს თავისი სტრუქტურიდან. ზემოაღნიშნული ასევე ასოცირდება რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტის ამბიციასთან, რომ მიაღწიონ სლოვაკეთის გასვლას NATO-დან. მსგავსი რიტორიკა გამოიყენეს, მაგალითად, Slovak-skému hnutiu obrody / სლოვაკეთის აღორძინების მოძრაობამ (SHO) და Slovaku-dová strana naše Slovensko / ჩვენი სლოვაკეთის სახალხო პარტიამ (ĽSNS), რომლის ლიდერმა, მარიან კოტლებამ, პრობლემური შინაარსის გამოცემასთან Hlavné správy ინტერვიუში, ამაყად განაცხადა, რომ ĽSNS ერთადერთი საპარლამენტო პარტია იყო, რომელიც მხარს უჭერდა სლოვაკეთის ”კრიმინალური ორგანიზაციიდან” NATO-დან გასვლას.[35] „სლოვაკი ერის ლეიბორისტული პარტიის“ (PSN) თავმჯდომარეს ე. ვესტენიცკის, რომელმაც ღიად და ყოველგვარი ფაქტების გარეშე განიხილავდა რუსეთის სამხედრო უპირატესობას, ასევე დაეთმო მოზრდილი სივრცე მედიაში. ვესტენიცკი ეჭვქვეშ აყენებდა NATO-ს, როგორც თავდაცვითი გაერთიანების მიზნებს, რომელიც სლოვაკეთის უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს და ამტკიცებდა, რომ, პირიქით, სწორედ სლოვაკეთი იცავს აშშ-ს ინტერესებს თავისი წევრობით ალიანსში. ამრიგად, ნატო-სთან დაკავშირებული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გარკვეული საინფორმაციო სიმბიოზი გაჩნდა მონიტორინგის ფარგლებში გამოკვლეული პრობლემური მედიის კონტენტსა და ზემოხსენებული პოლიტიკური სუბიექტების რიტორიკას შორის.

ნატოს წინააღმდეგ დეზინფორმაციული ნარატივი ძირითადად გამოიყენეს ნაციონალისტური სენტიმენტების მქონე პარტიებმა, რომლებიც დეკადენტური უცხოური კულტურის შემოტანისა და სლოვაკეთის სამხედრო კოლონიზაციის არგუმენტებით მანიპულირებდნენ. ნატოს (და ფართო გაგებით აშშ-ს) ინტერესები ხშირად პრობლემური აქტორების მიერ წარმოდგენილი იყო, როგორც უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე სლოვაკეთის ეროვნული ინტერესები, რათა შექმნან რეალობის დამახინჯებული სურათი, სადაც უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ NATO-ს და სლოვაკეთის (როგორც მისი წევრი სახელმწიფო) ინტერესები საერთო და გაზიარებულია. ამ ნარატივმა პოლიტიკური სცენა არსებითად ორ ბანაკად დაყო.

პრობლემური შინაარსის ვებ-გვერდები ხშირად ესხმოდნენ პროდასავლურ პოლიტიკოსებს ან პოლიტიკოსებს, რომლებიც სლოვაკეთის ნატოში დარჩენას ემხრობოდნენ და მათ ავტომატურად ამერიკული ინტერესების ლაქიებად ნათლავდნენ. ამგვარმა გამოცემებმა გადაიღეს ნაციონალისტური სენტიმენტების მქონე პოლიტიკური ჯგუფების რიტორიკა და მსგავსი კონტენტის შემქნა თავადაც დაიწყეს. მათი თავდასხმები ძირითადად მიმართული იყო მემარცხენე ცენტრის, ლიბერალური და მემარჯვენე პარტიებისკენ, განურჩევლად იმისა, იყვნენ ისინი საპარლამენტო პარტიები თუ ახალი პოლიტიკური სუბიექტები. რამდენიმე სახელმწიფო და არასახელმწიფო

აქტორი, რომლებიც "ლიბერალიზმის" საერთო და ყოვლისმომცველ კატეგორიას მიეკუთვნებიან და რომლებიც დეზინფორმაციული ნარატივების თანახმად წარმოადგენენ თანამედროვე ნეოფაშისტებსა თუ ლიბერალ ტერორისტებს, საკმაოდ მწვავე კრიტიკის ობიექტები გახდნენ (ზოგჯერ შეთქმულების ბუნებისაც კი). ასევე ხშირი იყო NATO-ს ცრუ იდენტიფიკაცია შეერთებულ შტატებთან, რასაც ნაკლებად პრო-ნაციონალისტური სენტიმენტების მქონე პოლიტიკოსებიც აქტიურად იმეორებდნენ.

ანტილიბერალური ნარატივი, რომელიც ნატოს წინააღმდეგ დეზინფორმაციას მოიცავდა, პირველ რიგში დაკავშირებული იყო ეროვნული სუვერენიტეტის აღკვეთის თემებსა და ეროვნულობის იდეებთან, როგორც ასეთი. ნარატივი ასევე სამიზნეში იღებდა პრეზიდენტ ზ. ჩაპუტოვას, რომელიც ხშირად ხვდებოდა დეზინფორმაციულ მასალებში, როგორც ე.წ. პროგრესული ელიტების ანტი-ეროვნული კამპანიის განსახიერება. იგივე ეხებოდა რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერს, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ პრეფერენციებს პროდასავლური ორიენტაციის მიმართ. ამ შემთხვევაში, ძირითადად სამიზნეში იღებდნენ ოპოზიციონერ და პარლამენტის გარეთ დარჩენილ პოლიტიკოსებს. NATO-ში სლოვაკეთის ყოფილი ელჩი თ. ვალაჩეკი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობა პარტია „ხალხისთვის“ კანდიდატად, ასევე დაადანაშაულეს ნატო-ს ინტერესების გატარებაში სლოვაკეთის პოლიტიკურ სცენაზე. ამასთან, ზოგიერთი თავდასხმა მიმართული იყო მმართველი კოალიციისკენაც, განსაკუთრებით მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ლაიჭაკს (SMER-SD პარტიის კანდიდატს) მისამართით, რომლის სახელიც პრობლემური ვებსაიტების მასალებში, ძირითადად, აშშ-სთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის პოლიტიკის დაცვას უკავშირდებოდა.[36] დეზინფორმაციის მრავალი აქტორისთვის (პოლიტიკოსი და არაპოლიტიკოსი) თემა ავტომატურად დაუკავშირდა ამერიკული ბაზების მშენებლობას ან სლოვაკეთში ამერიკული ჯარების ყოფნას. ღიად მტკიცება, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკისა და აშშ-ს ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაში იყო (მაგ., სლიასის აეროპორტის მოდერნიზაცია) ხშირად ირაცხებოდა, როგორც ანტი-სლოვაკური და შეთანხმების დადება წარმოჩენილი იყო, როგორც საფრთხე სლოვაკეთის სუვერენიტეტისთვის რაშიც თავად თავდაცვის სამინისტროსაც ადანაშაულებდნენ პ. გაიდოსის (SNS) ხელმძღვანელობით.

მსგავსი რიტორიკის მქონე სტატიები გამოქვეყნდა პრობლემური შინაარსის რამდენიმე ვებსაიტზე, რომლებიც ერთმანეთის მასალებსაც აზიარებდნენ. ისინი ხშირად ახსენებდნენ ე.წ. დასავლურ ან ლიბერალურ პროპაგანდას, რომელიც სავარაუდოდ მიზნად NATO-ს წარუმატებლობის, ფუნქციონირებისა და აგრესიულობის დამალვას ისახავდა. დეზინფორმაციული აქტორების თანახმად, ამ პროპაგანდის წყაროა გლობალური ელიტა ან აშშ, რომელთანაც სლოვაკეთი კოლონიის ან საგარეო ინტერესების ინსტრუმენტის პოზიციაში იმყოფება და პროდასავლური პოლიტიკოსების დახმარებით მათ მიზნებს ემსახურება.



გრაფიკი 3: პრო-რუსული სენტიმენტები NATO-სა და ევროკავშირის წინააღმდეგ გავრცელებულ დეზინფორმაციაში

ზოგადად, მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მონიტორინგში მოხვედრილი დეზინფორმაციული აქტორები უფრო მეტ ადგილს უთმობდნენ NATO-ს მიმართ კრიტიკულ (ფაქტობრივ თუ არაფაქტობრივ) ნარატივებს. ასეთი თემები მნიშვნელოვნად გამრავლდა მედიების საგამომცემლო საქმიანობის გაზრდით წინასაარჩევნო პერიოდში და არაპირდაპირი გზით დაეხმარა იმ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებიც არ მალავდნენ უარყოფით დამოკიდებულებას NATO-ს მიმართ. ძირითადად ეს იყო ნაციონალისტური და ანტისისტემური სუბიექტები. მათ შემთხვევაში, ნატო-ს საწინააღმდეგო ნარატივს ხშირად თან ახლდა პრორუსული განწყობების გაღვივების მცდელობა, რომლის გამოყენებითაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი წარმოადგენს დასავლური ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიან, რეალურ ალტერნატივას (შემთხვევათა დაახლოებით მესამედი). ამ პროცესში ძირითადი ინსტრუმენტი იყო რთული საკითხების გამარტივება, რითაც ამომრჩეველს მცდარ დილემებს უყენებდნენ: ან დეკადენტური და კრიმინალური ნატო ან სლოვაკეთის სუვერენული ინტერესები, რამაც გააძლიერა საზოგადოების ისედაც ფართო პოლარიზაცია წინასაარჩევნო პერიოდში.

წყაროები:

[26] Globsec Trends 2019. (2019). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა რკინის ფარდის დაცემიდან 30 წლის შემდეგ. ხელმისაწვდომია: https://www.globsec.org/wp-content/uploads/2017/05/GLOBSEC-Trends2019.pdf. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[27] პიუ კვლევითი ცენტრი. (2019). პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები კომუნიზმის დაცემის შემდეგ. ხელმისაწვდომია: https://www.pewresearch.org/global/2019/10/14/political-and-economic-changes-since the-fall-of-communism/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[28] Globsec Trends 2019. (2019). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა რკინის ფარდის დაცემიდან 30 წლის შემდეგ. ხელმისაწვდომია: https://www.globsec.org/wp-content/uploads/2017/05/GLOBSEC-Trends2019.pdf. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[29] Globsec Trends 2019. (2019). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა რკინის ფარდის დაცემიდან 30 წლის შემდეგ. ხელმისაწვდომია: https://www.globsec.org/wp-content/uploads/2017/05/GLOBSEC-Trends2019.pdf. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[30] მატუშ კრჩმარიკი. (2020). მან შექმნა ირანის გავლენა რეგიონში. ვინ იყო ის სოლემანი, რომლის მოკვლაც ტრამპმა ბრძანა? ხელმისაწვდომია: https://svet.sme.sk/c/22294539/iran-sulejmani-so-leimani-smrt-iran-kuds-quds profil.html. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[31] Denník N. (2020). სლოვაკეთის ჯარები ერაყის გარეთ გადაიყვანეს. ხელმისაწვდომია: https://den nikn.sk/minuta/1706167/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[32] ზემი&ვეკი. (2020). პარლამენტში სლოვაკეთის ნატოდან გასვლის წინადადება მოისმინეს. წვდომა შეგიძლიათ მისამართზე: https://zemavek.sk/v-parlamente-odznel-navrh-na-vystupenie-slovenska-z-nato/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[33] ვლადიმერ შნიდლი. (2020). Hlavné správy-ის პროპაგანდას წერს რუსი, რომელიც მიდის კრემლის სააგენტოში რჩევისთვის. ხელმისაწვდომია: https://dennikn.sk/1288348/propagandu-pre-hlavne-spravy-pise-rus-ktory-sa chodi-radit-do-agentury-kremla-odomknute/. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[34] Hlavné správy. (2020). გრუზინფორმი: "ნატოს პარადროპი საქართველოში - რუსეთზე თავდასხმის რეპეტიცია". ხელმისაწვდომია: https://www.hlavnespravy.sk/gruzinform-parasutisticky-vysadok-nato gruzinsku-nacvicovanie-utoku-proti-rusku/2029543. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[35] Hlavné správy. (2020). მარიან ქოთლება ნატოდან ან რომელიმე სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის კომპანიის დატოვების მომხრეა. ხელმისაწვდომია: https://www.hlavnespravy.sk/marian-kotleba-za-vystupenie-nato-ci-jednu statnu-zdravotnu-poistovnu/2051910. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[36] ინფოვოჟნა. (2020). ლაიჩაკის სამინისტრო აგრძელებს მოლაპარაკებებს აშშ-სთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.infovojna.sk/article/lajcakovo-ministerstvo-pokracuje-v-rokovaniach-o obrannej-spolupraci-s-usa. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

ევროკავშირის შემთხვევაში, გამოკვლეული ნარატივები განისაზღვრება, როგორც დაბალი ან არაფაქტობრივი ხარისხის ინფორმაცია, რომელიც ავრცელებს ცნობებს ევროკავშირის ინსტიტუტების, საქმიანობისა და ფუნქციონირების შესახებ. ამ ნარატივების გავლენას აქვს პოტენციალი შეარყიოს ფართო საზოგადოების ნდობა ამ ინტეგრაციული ორგანიზაციისადმი, რომლის წევრი სლოვაკეთი 2004 წელს გახდა. შედეგი, ასევე შეიძლება იყოს სლოვაკეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის ფრაგმენტაცია, რაც (როგორც ნატოს შემთხვევაში) არსებითად უკავშირდება მის საზოგადოებრივ, ღირებულებრივ და გეოპოლიტიკურ მისწრაფებებს. ევროკავშირის შესახებ დეზინფორმაციასთან დაკავშირებული შემდგომი მონიტორინგისა და ანალიზის შინაარსის ძიებისას გამოვიყენეთ შემდეგი საკვანძო სიტყვები: მოკავშირეები, ევროკავშირი, ბრიუსელი, დირექტივები, მერკელი, სალვინი, ლე პენი, სქესი, მიგრანტები, ლტოლვილები, მიგრაცია. საკვანძო სიტყვების შერჩევას საფუძვლად დაედო ევროკავშირთან დაკავშირებული წინასაარჩევნო თემების ანალიზი, რომელიც მოცემულია სამონიტორინგო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების განცხადებებში.

ისევე როგორც ნატოს შემთხვევაში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში, ევროკავშირის წინააღმდეგ დეზინფორმაციული ნარატივები მნიშვნელოვანი იყო ძირითადად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის თემასთან კავშირის გამო. ცალკეული პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო კამპანიების შინაარსი ორი მიმართულებით იხრებოდა - პირველი ჯგუფის ფოკუსირებული იყო პროდასავლურ, პროატლანტიკურ, პროევროპულ და ლიბერალურ საკითხებზე, ხოლო მეორე ჯგუფის ფოკუსში უფრო ევროსკეპტიკური, ანტილიბერალური, ანტიდასავლური და ნაციონალისტური საკითხები ექცეოდა. განხილული პერიოდის განმავლობაში, პრობლემური და დეზინფორმაციული შინაარსის მქონე მედია აქტიურად ცდილობდა პოლიტიკური სუბიექტების პირველი ჯგუფის და მათი ლიდერების და წარმომადგენლების დისკრედიტაციას (განსაკუთრებით პარტიის Progresívne Slovensko / პროგრესული სლოვაკეთი, Spolu / ერთად, Za ľudí / ხალხისთვის და KDH)) და, პირიქით, მნიშვნელოვანი ძალისხმევა იწეოდა მეორე ჯგუფის სუბიექტების (მათ შორის, პარტია Vlasť / სამშობლო, Slovenské hnutie obrody / სლოვაკეთის აღორძინების მოძრაობა, socialisti.sk და, ნაწილობრივ ასევე Slovenská národná strana / სლოვაკეთის ნაციონალური პარტიის, SMER-SD და Kotlebovci-Ľudová strana naše Slovensko / Kotlebovci- სახალხო პარტია ჩვენი სლოვაკეთი) მიერ წამოყენებული იდეების განდიდების მიზნით.

ეს კონფლიქტი ცივილიზაციურ და კულტურულ დონეზეც გადავიდა. მოსახლეობის ნაწილმა ნამდვილად გაითავისა ევროკავშირის კულტურული ელემენტები, კანონის უზენაესობის მაღალი ხარისხი, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა და ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებები. მეორეს მხრივ, არსებობდა და დღესაც არსებობს გარკვეული რეზერვაციები სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში თანამედროვე კულტურის ისტორიულ განვითარებასა და ბუნებაზე, რაც შეიძლება ერთანეთთან შეუთავსებლად იქნეს მიჩნეული და სუვერენული სახელმწიფოების თანამშრომლობის იდეის წახალისება მოხდეს ევროკავშირში თანამშრომლობის საპირისპიროდ. პრობლემური და დეზინფორმაციული შინაარსის მქონე

მედიის მიზანი იყო შესაბამისი ნარატივების გამოყენება საზოგადოების პოლარიზაციისთვის ევროკავშირში წევრობასა და მისი ინსტიტუციების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. სპეციალურად დამიზნებული ნარატივები მოიცავდა ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების მიღების ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენებას, მიგრანტთა გადანაწილების კვოტების გაუქმებას, კულტურული შეუთავსებლობის არგუმენტების საფუძველზე სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებაზე უარის თქმას და ე.წ. „ბრიუსელის დიქტატების“ უარყოფას. აქ შეგვიძლია დავინახოთ რამდენიმე მსგავსება გარე ფაქტორებთან მიმართებაში, რომლებიც აღვწერეთ NATO-ს წინააღმდეგ დეზინფორმაციული ნარატივების შემთხვევაში. ამასთან, NATO-სთან შედარებით, ევროკავშირი უკეთეს მდგომარეობაშია საზოგადოების თვალში - საზოგადოებაში მისი აღქმა მკაცრად არ არის დაკავშირებული დასავლეთის კატეგორიასთან, როგორც ასეთი, და შეიძლება ითქვას, რომ 2019 წელს იგი უფრო განიხილებოდა სლოვაკეთის მხრიდან სასურველად ვიდრე ნატო. „გლობსეკის“ კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 62% ევროკავშირის ღირებულებებს სლოვაკეთის ღირებულებთან თანმხვედრად მიიჩნევდა. სლოვაკეთის ევროკავშირში წევრობის მომავლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, სლოვაკეთის 71%-მა გადაწყვეტდა დარჩენილიყო წევრ სახელმწიფოდ, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც პოზიტიური ტენდენცია 2017 წელთან შედარებით (59%)[37]. ამრიგად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროსკეპტიციზმის პრო-ნაციონალისტური ტენდენციების (სუბიექტების) სასარგებლოდ დეზინფორმაციული მცდელობების მანევრის ადგილი მნიშვნელოვნად მცირე იყო, ვიდრე NATO-ს შემთხვევაში.

გამოხატვის თავისუფლება

შესწავლილი პერიოდის განმავლობაში, ბევრი სტატია ეხებოდა ევროკავშირის მიერ გამოხატვის თავისუფლების სავარაუდო ჩახშობის მცდელობებს, რომელიც, კანონმდებლობის გამოყენებით, მიზნად ისახავდა მისი ოპონენტებისა და კრიტიკოსების ცენზურას და ზოგადად ნებისმიერი ისეთი აზრის, რომელიც ლიბერალურ მსოფლმხედველობასთან შეუსაბამობაში მოდის. ამრიგად, იყო მცდელობები პოლარიზებულიყო ევროკავშირისადმი დამოკიდებულება, რომელიც წარმოჩენილი იყო როგორც წევრი სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტის შემზღუდავი, რომელიც ტოტალიტარიზმის დამყარებას ცდილობდა გამოხატვის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით[38]. ხშირად ხდებოდა აქცენტირება ევროკავშირის ძალისხმევაზე ექსტრემიზმის, სიძულვილის ენისა და ძალადობის წაქეზების წინააღმდეგ ბრძოლაში. პრობლემური და დეზინფორმაციული შინაარსის მქონე მედიამ ეს მცდელობები შეაფასა, როგორც გამოხატვის თავისუფლების აღკვეთისკენ გადადგმული ნაბიჯები და შესაბამისად აუდიტორიას მიაწოდა მცდარი დასკვნები ტოტალიტარული სისტემის შექმნის მცდელობების შესახებ. გარდა ამისა, ამ მედიაში ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი წარმოდგენილი იყო, როგორც საზოგადოებრივი აზრის ინდოქტრინაციისა და კონტროლის მცდელობა, რათა მხოლოდ ლიბერალურ იდეებს მიმხრობოდნენ.

ბრიუსელის ლიბერალური „დიქტატურა“

ე.წ. ”ბრიუსელის დიქტატურის” ნარატივი დიდი ხანია არსებობს სლოვაკეთის საინფორმაციო სივრცეში. ეს გულისხმობს ევროკავშირის ქმედებების და მიღებულ კანონმდებლობის დამახინჯებულ აღქმას, რომელიც თითქოს ეროვნული

სუვერენიტეტის შემცირებას ისახავს მიზნად. ამ მიზნით, ევროკავშირი სავარაუდოდ იყენებს "LGBTI პროპაგანდას", "გენდერულ იდეოლოგიას", ლიბერალურ პროპაგანდას, ცენზურას, ოპოზიციური ჯგუფების ჩახშობას, მწვანე დღის წესრიგის პოპულარიზაციასა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას[39]. დეზინფორმაციული ვებსაიტების თანახმად, ევროკავშირი წარმოადგენს დეკადენტურ დასავლურ კულტურას, რომელიც დამანგრეველად მოქმედებს ეროვნულ "ტრადიციულ" კულტურაზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ეროვნულ, ქრისტიანულ, ზნეობრივ და უნივერსალურ ადამიანურ ფასეულობებს. ამ ნარატივის მიხედვით, ევროკავშირი ცდილობს აღკვეთოს ნაციონალისტური ძალები ცალკეულ წევრ ქვეყნებში და შექმნას ლიბერალური მედია ტერორი. გამოხატვის თავისუფლების აღკვეთის შესახებ ამ ნარატივების თანახმად, ნაციონალისტური მიდრეკილების მქონე პირებს, სავარაუდოდ, ჩაგრავენ და ადგილს ართმევენ ლიბერალ-პროგრესული ელიტები, რომლებიც საზოგადოებრივ მედიაში დომინირებენ. ეს მიზნად ისახავს რეალური პლურალიზმის თავიდან აცილებას, რასაც ევროკავშირის მიერ ლიბერალური დემოკრატიის ტოტალიტარიზმამდე მივყავართ. ევროკავშირი არის წარმოდგენილი როგორც ევროლიბერალიზმისა და გლობალიზმის ელემენტი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დაფინანსებით ხორციელდება.

2020 წლის არჩევნებამდე ზემოხსენებული არგუმენტები ძალზე ძლიერად იყო წარმოდგენილი პრობლემური და დეზინფორმაციული შინაარსის მქონე შესწავლილ მედიაში, რომლებიც პირდაპირ მოუწოდებდნენ საზოგადოებას ნაციონალისტური მიდრეკილების მქონე პარტიების არჩევის აუცილებლობაზე. ამას თავიდან უნდა აეცილებინა შემდგომი ლიბერალიზაცია და ეროვნული სუვერენიტეტის შელახვა. ასევე, გაჩნდა მოწოდებები ევროკავშირის დატოვების აუცილებლობის შესახებ Brexit- ის მაგალითზე.

ხშირად აზიარებდნენ ბრექსიტის პარტიის ლიდერის, ნაიჯელ ფარაჯის განცხადებებს, რომლებიც ამტკიცებდა, რომ ევროკავშირი არის "ანტიდემოკრატიული" და რომ გაერთიანებული სამეფოსთვის გაერთიანებიდან გასვლა ყველაზე გადამწყვეტი მომენტი იყო მას შემდეგ, რაც ჰენრი VIII- მ მხარი დაუჭირა რომის კათოლიკური ეკლესიისგან ჩამოშორებას[40]. ევროსკეპტიციზმის პოპულარიზაციას ხელი ასევე შეუწყო ყალბი დილემის შექმნამ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობასა და ევროკავშირისა და ევროკომისიის ხელმძღვანელობით თანამშრომლობის არჩევანს შორის. დეზინფორმაციული მედიის მხრიდან საკმაოდ მასშტაბური რეაგირება გამოიწვია EP-ს ყოფილი ლიბერალური ფრაქციის თავჯდომარის გი ვერჰოფსტადტის განცხადებამ, რომელმაც ისაუბრა Brexit- ზე, როგორც მოვლენაზე, საიდანაც ევროკავშირმა უნდა ისწავლოს გაკვეთილი და უფრო ღრმა ინტეგრაციისკენ წავიდეს[41]. გაანალიზებული სტატიების თანახმად, ინტეგრაციის სულისკვეთებით ევროკავშირის მიზანი დემოკრატიული პრინციპების მოშორება და სახელმწიფოებისგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების პრევენციაა, მაგალითად, ერთსულოვნების (ზოგიერთი გადაწყვეტილების კონსენსუსით მიღების) პრინციპიდან და ვეტოს უფლებამოსილებისგან თანდათანობით დაშორებით. შედეგად ვერჰოფსტადტს მოიხსენიებდნენ როგორც ფაშისტს, ხოლო ცალკეული გამოცემები მკითხველებს მოუწოდებდნენ არჩევნებში ევროსკეპტიკური პოლიტიკური სუბიექტებისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა.

ეროვნული სუვერენიტეტი და მიგრანტების კრიზისი

ფედერალიზმისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხი ასევე აქტიურად განიხილებოდა წინასაარჩევნო პერიოდში ვიშეგრადის ოთხეულის (V4) და ევროკავშირის მიერ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპების (რომლებიც ევროკავშირის ერთ-ერთი ქვაკუთხედია) დარღვევის გამო უნგრეთის კრიტიკის კონტექსტში. იმ პერიოდში, უნგრეთის პრემიერ მინისტრი ვიქტორ ორბანი ასევე გააკრიტიკა სლოვაკეთის პრეზიდენტმა ზუზანა ჩაპუტოვამ, რომელმაც ხაზი გაუსვა ევროკავშირთან თანამშრომლობის საჭიროებას რეგიონული თანამშრომლობის ნაცვლად და სლოვაკეთის რესპუბლიკის მხრიდან კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების ხელის შეწყობის ძალისხმევის გაძლიერებას V4–ს ფორმატში ამ ძალისხმევის დაბლოკვის მცდელობების საპირისპიროდ. პრობლემური და დეზინფორმაციული შინაარსის მქონე მედიამ ვიქტორ ორბანის მხარე დაიჭირა, რომლის განდიდებაც შერწყმული იყო მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სასამართლო სისტემის თავისუფლების დონის გასაუმჯობესებლად ევროკავშირის „ზეწოლის“ დაგმობასთან[42]. ისინი აქვეყნებდნენ კრიტიკულ ინფორმაციას ევროკავშირისა და ევროკომისიის მიმართ, რომლებიც უნგრეთს უჩივიან კანონის უზენაესობის დარღვევის გამო. საპირისპიროდ კი ვიქტორ ორბანს, აქებდნენ ლიბერალური დემოკრატიის და ევროკავშირის საყრდენების (pillars) მიმართ წინააღმდეგობის გამო.

გამოკვლეულ პერიოდში პრობლემური და დეზინფორმაციული შინაარსის მქონე მედია ევროკავშირის ინსტიტუტებთან და კანონმდებლობასთან დაკავშირებულ რამდენიმე რეზონანსულ თემას იყენებდა. ერთ-ერთი უცვლელი და არაერთგზის გამოყენებული თემა იყო ე.წ. მიგრანტების კრიზისის შედეგები და ევროკავშირის წინადადებები მიგრანტების ცალკეულ წევრ ქვეყნებზე გადანაწილების შესახებ. ამ კონტექსტში, მედია ხშირად ურევდა ტერმინებს ერთმანეთში, როგორიცაა მიგრანტები, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები და მიგრაციის საკითხებს ისეთ ნეგატიურ მოვლენებს უკავშირებდნენ, როგორებიცაა კრიმინალი და ისლამური ტერორიზმი. დეზინფორმაციული მედია მიზნად მიგრაციის შესახებ ისეთ გაშუქებას ისახავდა, რომ მას უარყოფითი ასოციაციები გამოეწვია, რომლებიც შეუწყნარებლობას, ქსენოფობიას და წინააღმდეგობას წარმოქმნიდა ევროკავშირის მიმართ, რომელმაც, დეზინფორმაციული აქტორების აზრით, მოახერხა და განზრახ გააძლიერა მიგრაცია ღია კარის პოლიტიკის საშუალებით და ამით ნაციონალური სახელმწიფოების სუვერენიტეტი შეარყია[43].

მიგრაციასთან ნეგატიური ასოციაციების ეფექტის გასაძლიერებლად ვრცელდებოდა დეზინფორმაცია რომელიც ამახინჯებდა მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვებს, უარყოფით კონოტაციის ფრაზები (მულტიკულტურალიზმი, ისლამისტები, ისლამური ტერორიზმი, მიგრანტების ტალღა, მიგრანტების ძალადობრივი თავდასხმები და ა.შ.) ან შეცვლილი ფოტოები და მიგრანტების ვიდეოები, რომლებიც თითქოს ადასტურებენ მათ უუნარობას შეგუებოდნენ მასპინძელ საზოგადოებასთან თანაცხოვრებას. ეს მეთოდები, რომლებიც მიზნად მიგრაციის საკითხზე საზოგადოების აზრის პოლარიზაციას ისახავდა, გამოყენებული იქნა ევროკავშირისა და მისი წარმომადგენლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის პროვოცირებისთვის. პრობლემური და დეზინფორმაციული შინაარსის მედიის თანახმად, მათ (ევროკავშირმა და მისმა წარმომადგენლებმა), ხელი შეუწყვეს მიგრაციას წევრ ქვეყნებში მიგრანტების მოწვევითა და მათთვის ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნით. ამ გზით, ამ მედიის თანახმად, ცალკეული

სახელმწიფოების ტრადიციული კულტურა უნდა განადგურებულიყო, რათა ჩანაცვლებულიყო არასწორად ინტერპრეტირებული და სტერეოტიპული ისლამური კულტურით, რომელიც ძალადობასთან ან შარიას კანონებთან ასოცირდება. ეს თემები ხშირად მიგრაციის შესახებ კონსპირაციულ ნარატივებთან იყო დაკავშირებული, რომელსაც ფარულად მართავდნენ გარკვეული პირები ან ჯგუფები, მაგალითად ჯორჯ სოროსი და არასამთავრობო ორგანიზაციები.[44]

წყაროები:

[37] Globsec-ის ტრენდები 2019. (2019). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა რკინის ფარდის დაცემიდან 30 წლის შემდეგ. ხელმისაწვდომია: https://www.globsec.org/wp-content/uploads/2017/05/GLOBSEC-Trends2019.pdf. ბოლო შეხვედრა: 25.05.2021

[38] ზემი&ვეკი. (2020). "სიტყვის თავისუფლებას აქვს თავისი საზღვრები!" მერკელი ცენზურისკენ მოუწოდებს. ხელმისაწვდომია: https://zemavek.sk/sloboda-prejavu-ma-svoje-limity-vola-merkelova-po-cenzure/. ბოლო ვიზიტი: 24.05.2021

[39] ნადჰად. (2021). Smer-SD და SNS გაგვწირავენ თავიანთ იდეოლოგიას?. ხელმისაწვდომია: http://nadhlad.com/content/obetuju-nas-smer-sd-sns-svojej-ideologii. ბოლო ვიზიტი: 25.05.2021

[40] Hlavné správy. (2020). Brexit: ევროპარლამენტმა არ გაუმკლავდა ფარაჟის დასკვნით სიტყვას და ბრიტანეთის დროშების ფრიალს. „მოხსენით ეს დროშები, წადით და თან წაიღეთ!“ – უპასუხა თავმჯდომარემ. ხელმისაწვდომია: www.hlavnespravy.sk/brexit-europarlamente-neuniesli-zaverecnu-rec-faragea-mavanie britskymi-vlajkami-odstrante-tie-vlajky-chodte-berte-so-sebou-reagovala-predsedajuca/. ბოლო ვიზიტი: 26.05.2021

[41] Slobodný vysielač. (2020). ევროკრატი გაი ვერჰოფშტადი: Brexit-ის გაკვეთილი არის ის, რომ ჩვენ გვჭირდება ევროკავშირის ქვეყნების სუვერენიტეტის კიდევ უფრო ჩამორთმევა და ძალაუფლების ცენტრალიზება ბრიუსელში. ხელმისაწვდომია: https://slobodnyvysielac.sk/2020/02/01/eurokrat-guy-verhofstadt-ponaucenie-z-brexitu-je-ze-musime-krajiny-eu este-viac-zbavit-suverenity-a-centralizovat -მოკ-ვ-ბრუსელი/. ბოლო ვიზიტი: 23.05.2021

[42] ინფოვოჟნა. (2020). ჩაპუტოვა: V4 არ უნდა შეაფერხოს ევროკავშირის პრობლემების გადაწყვეტას. სლოვაკეთმა ასევე უნდა შექმნას სხვა ალიანსები კავშირში. ხელმისაწვდომია: https://www.infovojna.sk/article/caputova-v4-by-nemala brzdit-riesenie-problemov-eu-slovensko-musi-v-unii-budovat-aj-ine-spojenectva. ბოლო ვიზიტი: 27.05.2021

[43] ინფოვოჟნა. (2020). ისლამისტების წყალდიდობა სამხრეთ ევროპაში. მიგრანტები თავს ესხმიან და ძალადობა იზრდება მათი რაოდენობის პროპორციულად. ხელმისაწვდომია: https://www.infovojna.sk/article/zaplava-islamist-v-jizni-evrope-migranti-utoci-a nasili-pribyva-umerne-s-jejich-poctem ბოლო ვიზიტი: 23.05.2021

[44] Hlavné správy. (2020). ვიქტორ ორბანმა ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკას „სერიოზულ შეცდომად“ უწოდა. "წინ რთული წელი გველის. სოროსს სურს ევროპა შერეული კულტურების კონტინენტად აქციოს". ხელმისაწვდომია: https://www.hlavnespravy.sk/viktor-orban-nazval-migracnu-politiku-eu-zavaznou-chybou-caka-nas tazky-rok-soros-chce-zmenit-europo-kontinent-zmiesanych-kultur/ ბოლო ვიზიტი: 24.05.2021

საქართველო

ანგარიშის საქართველოს ნაწილში, სულ 1876 სტატიაა გაანალიზებული, რის საფუძველზეც გამოვლენილია 23 ონლაინ მედიასაშუალება, რომლებიც ყალბი ან სხვაგვარად შეცდომაში შემყვანი შინაარსის ინფორმაციებს ავრცელებდა 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით.



* გრაფიკი 4 ანტიდასავლური და პრორუსული შინაარსის მასალების გამავრცელებელი ყველაზე აქტიური წყაროები*

სტატიების უდიდესი ნაწილი (25%) მიზნად ევროკავშირის დისკრედიტაციას ისახავდა და ამით ცდილობდა არჩევნებში ევროკავშირის მომხრე დღის წესრიგით მონაწილე პოლიტიკური პარტიების საზოგადოებრივი მხარდაჭერა შეემცირებინა; მეორეს მხრივ, პრობლემური შინაარსის მქონე ონლაინ მედიასაშუალებების ერთ-ერთი მთავარი მიზანი პრორუსული გზავნილებისა და ნარატივების გავრცელება და პროდასავლური პარტიების საწინააღმდეგოდ პრორუსული პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერის გაზრდა იყო (23%); სტატიების დიდი ნაწილი (20%) ქვეყნის შიდა მოვლენებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა შეცდომაში შეყვანაზე იყო ფოკუსირებული, მათ შორის პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციით, მათი განცხადებების გაყალბებით და ა.შ.; მთელ რიგ სტატიებში (13%), დეზინფორმაციული აქტორები ანტითურქული განწყობების გაღვივებას ცდილობდნენ, რომლის მიზანიც თურქეთის "ნამდვილ" ოკუპანტად წარმოჩენის გზით რუსული ოკუპაციისგან ყურადღების გადატანა იყო. ასევე, ეს მცდელობები მიზნად ისახავდა რუსეთის, როგორც თურქეთისგან მომავალი "გარდაუვალი" აგრესიისგან დამცველად წარმოჩენას; ასევე ხორციელდებოდა ონლაინ კამპანიები, რომლებიც საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს - შეერთებულ შტატებს იღებდა სამიზნეში, საქართველოს მიმართ მისი "აგრესიული" საგარეო პოლიტიკისა და "კოლონიალური დამოკიდებულების" გამო (10%); ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო კამპანიების ფარგლებში, სხვადასხვა დეზინფორმაციული წყარო არაერთხელ დაესხა თავს ნატო-საც (9%).



გრაფიკი 5: დეზინფორმაციული ნარატივები სამიზნეების მიხედვით

დეზინფორმაცია ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე

კვლევის აღნიშნულ თავში მიმოხილულია ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების შესახებ არჩევნების კონტექსტში გავრცელებული დეზინფორმაცია და სხვადასხვა პროპაგანდისტული კამპანია. მონიტორინგის ფარგლებში, ამ მხრივ, პოლიტიკური პარტიებისა და დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციისა და ინფორმაციის მანიპულაციურად გამავრცელებელი ათობით ონლაინ მედია და Facebook გვერდი გამოიკვეთა. აღნიშნული აქტორები საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენასა და პოლიტიკური სუბიექტების დისკრედიტაციას ცდილობდნენ.

დეზინფორმაცია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო

2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში და უშუალოდ არჩევნების დღეს, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო წარმოებული პროპაგანდისტული კამპანიის ინტენსივობის ხარისხის გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხი არჩევნების კონტექსტში განსახილველ ერთ-ერთ ყველაზე მნიშნელოვან თემას წარმოადგენს.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ქართული ისტორიული ძეგლი და ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის რელიგიურ სიწმინდეა, 16 ობიექტისგან შედგება.[1] კომპლექსის 13 ობიექტი, ყველა ცნობილი რუკის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. 2 ობიექტის, ჩიჩხიტურისა და უდაბნოს მონაკვეთი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის შეუთანხმებელია და მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუ სად გაიაროს საზღვარმა. კიდევ ერთი ობიექტი კი, ბერთუბანი, ყველა ცნობილი რუკით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ორ სტრატეგიულ პარტნიორ სახელმწიფოს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული საზღვრის აღნიშნული შეუთანხმებელი მონაკვეთის საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა არჩევნების წინ შეიძინა და მსგავსი სენსიტიური თემით მანიპულირების საშუალება სხვადასხვა აქტორს მიეცა. კერძოდ, არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე (17 აგვისტოს), საქართველოს პროკურატურამ უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართული მოქმედების განხორციელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.[2] საქმის ფარგლებში კი, 7 ოქტომბერს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შელახვის მცდელობის ბრალდებით (მუხლი 308), სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ორი წევრი, ივერი მელაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი, და ნატალია ილიჩოვა, საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი, დააკავეს.[3]

„კარტოგრაფების საქმეზე“ პოლიტიკურად მოტივირებული[4] გამოძიების დაწყების პარალელურად, რომლის მიზანსაც, გავრცელებული შეფასებით, წინასაარჩევნოდ მოსახლეობის რელიგიური გრძნობებით მანიპულირება წარმოადგენდა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა საკითხზე უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით პოპულისტური განცხადებები გააკეთეს. კერძოდ, პროსახელისუფლებო ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში დავით

გარეჯის დელიმიტაცია-დემარკაციაზე საუბრისას,[5] საქართველოს მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა და ამაჟამად პრემიერ-მინისტრის პოსტზე მყოფმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა,[6] რომ ღალატი ჩაიდინა, ვინც 2006-2007 წლებში საზღვრის თემაზე მუშაობდა და ისინი „კოლექტიური სააკაშვილები არიან". ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ოპოზიციის საწინააღმდეგო საინფორმაციო კამპანიის წარმოებაში პროსამთავრობო მედია აქტიურად იყო ჩართული - წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს,[7] ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში მუდმივად ჩანდა წარწერა „გარეჯი საქართველოა“, ეს კი მაშინ, როდესაც არცერთ ქართველ პოლიტიკოსს აღნიშნული საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დაუყენებია.

წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მიერ პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიების დაწყებისა და პროსახელისუფლებო მედიების მიერ საქმის მიკერძოებულად გაშუქების პარალელურად, დავით გარეჯის საკითხისადმი განსაკუთრებული ძალისხმევის მიმართვა პრორუსული გვერდებისა და ანტიდასავლური აქტორების მიერაც გამოიკვეთა. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ დავით გარეჯის საკითხზე პრორუსული/ანტიდასავლური აქტორებისა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პოზიციები ერთმანეთს დიდწილად ემთხვეოდა.

ანტიდასავლურმა გვერდმა „კარდჰუმ“,[8] „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას ბრალი დავით გარეჯის „გაყიდვაში“ დასდო, ხოლო საკითხის გარშემო ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში ბიზნესმენ დავით ხიდაშელის როლი, რომლის მიერ რუსეთიდან ჩამოტანილი გახმაურებული რუკა საზღვრის დამდგენი კომისიის ორი თანამშრომლის დაკავების საფუძველი გახდა, დადებითად შეაფასა. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აზერბაიჯანისა და პირადად ალიევისთვის „ჩუქებისთვის“ „ნაციონალურ მოძრაობის“ ხელისუფლებას ბრალი კიდევ არაერთმა ანტიდასავლურმა Facebook-გვერდმა თუ ონლაინ მედიამ დასდო, მათ შორისაა: „საქართველო უპირველეს ყოვლისა“,[9] „საერთო გაზეთი“,[10] მსოფლიო საოჯახო კონგრესი“,[11] „ანტილიბერალური დოქტრინა“ და „თვალსაზრისი“.[12] ამასთან, სანდრო ბრეგაძემ, რომელიც ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტია „ქართული მარშის“ ლიდერია, გარეჯის საქმეზე დაკავებულ ნატალია ილიჩოვას, „ქართველთმოძულე დავერბოვკებული აგენტი“ უწოდა, რომელმაც „სავარაუდოდ, ფულიც აიღო სოკარისგან“. ბრეგაძის მიხედვით, ილიჩოვამ არსებული რუკები „დამალა“, რითაც „დავითგარეჯი აზერბაიჯანის საზღვრებში მოაქცია“. ანტიდასავლური პოლიტიკური პარტიის ლიდერის მტკიცებით, დავით გარეჯი საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის და მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას, ამას გარდა, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგოლ ვაშაძისა და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიგა ბოკერიას დავალებით „გაყიდეს”.[13]

აღსანიშნავია, რომ არჩევნების წინ, დავით გარეჯის საკითხის კონტექსტში, დეზინფორმაცია კონკრეტული ოპოზიციონერი პოლიტიკოსების წინააღმდეგაც გავრცელდა. კერძოდ, Face-book გვერდმა - „ნაცია-ადამიანი?!,[14] გაავრცელა დეზინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გრიგოლ ვაშაძემ, თითქოს, განაცხადა, რომ „დავით-გარეჯი არ არის საქართველოს ტერიტორია“. იდენტური შინაარსის შემცველი დეზინფორმაცია კიდევ ერთმა Facebook-გვერდმა - „ამხილე“,[15] „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიაში მყოფი გუბაზ სანიკიძის შესახებაც გაავრცელა.

დავით გარეჯის საკითხის გარშემო გავრცელებული პროპაგანდული გზავნილების ანალიზი არასამთავრობო ორგანიზაცია ISFED-ის მიერ გამოქვეყნებულ („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“) საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სოციალური მედიის მონიტორინგის ანგარიშშიც[16] მოხვდა. ანგარიშში, ვკითხულობთ, რომ „დავითგარეჯის თემის ირგვლივ დისკრედიტაციის სამიზნეებს წარმოადგენდნენ, როგორც ოპოზიციური პარტიები, ისე არასამთავრობო სექტორი და მედიის წარმომადგენლებიც. გავრცელებული გზავნილები, ერთი მხრივ, ნაციონალისტური მოტივებით ყოფილი ხელისუფლების, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, დისკრედიტაციას ემსახურებოდა და მათ მოღალატეებად და გამყიდველებად წარმოაჩენდა. მეორე მხრივ, გამოქვეყნებული პოსტები, პატრიოტულ მოტივებზე, საზოგადოების ორ ნაწილად გაყოფას ემსახურებოდა. გვერდებზე საზოგადოების ნაწილში გავრცელებული მოსაზრება, რომ საკითხი შესაძლოა, ატარებდეს პოლიტიკურ სარჩულს, უკუგდებული იყო“.

ოპოზიციის საწინააღმდეგო კამპანია 2008 წლის აგვისტოს ომის საკითხის გარშემო

წინასაარჩევნო პერიოდში ანტიდასავლური და პრორუსული Facebook გვერდებისა და ონლაინმედიის მიერ ოპოზიციის კრიტიკის კიდევ ერთი მიმართულება რუსეთ-საქართველოს ომის კონტექსტში, წინა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმართული პროპაგანდისტული კამპანია აღმოჩნდა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოცემებმა: „ნიუსფრონტი“, „საქართველო და მსოფლიო“, „თვალსაზრისი“, „დედაქალაქი“, „ალტინფო“ - „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას ბრალი რუსეთის მიერ დაგებულ მახეში გაბმასა და პროვოკაციაზე წამოგებაში ან პირდაპირ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გაჩაღებაში დასდეს. კერძოდ, “ნიუსფრონტმა“[17] და „საქართველო და მსოფლიომ“[18] საქართველო და ქვეყნის მესამე პრეზიდენტი ომის დაწყებაში პირდაპირ დაადანაშაულეს. „თვალსაზრისის“[19] მიხედვით, სააკაშვილმა, რომელიც რუსეთთან ერთად საქართველოს „თანაოკუპანტი პარტიის ლიდერია“, რუსეთს „წითელი ხალიჩა დაუგო“ და მათ სამხედრო ძალებს საქართველოში „შემოუძღვა“. Facebook გვერდმა „დედაქალაქი“,[20] სოსო მანჯავიძის, პრორუსული პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ყოფილი ლიდერის, მოსაზრება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ რუსეთთან მიმართებაში გადადგმული ყველა ნაბიჯი „რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის სცენარით იყო გაწერილი“, ხოლო „ალტ-ინფომ“ ომის დროინდელ ხელისუფლებას ბრალი აგვისტოს ომის წინა პერიოდში რუსეთისგან მომავალი აგრესიის საკითხის საერთაშორისო პარტნიორებთან არდაყენაბასა და რუსეთის საწინააღმდეგოდ თავიდანვე მკაცრი რიტორიკის არქონაში დაადანაშაულა.

ცენტრი „დოსიეს“ მიერ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშები

2020 წლის აგვისტოში, ყოფილი რუსი პოლიტპატიმრის, მიხაილ ხოდორკოვსკის დაარსებულმა საგამოძიებო ჟურნალისტურმა პლატფორმამ - „დოსიე“, მოიპოვა დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც, პრორუსული პოლიტიკურ პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ წინასაარჩევნოდ კონსულტაციებს რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირები უწევდნენ, მათ საქმიანობაზე ანგარიშს კი სახელმწიფო სტრუქტურებს აბარებდნენ.

აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ოპოზიციონერმა დეპუტატობის კანდიდატმა, ელენე ხოშტარიამ „პატრიოტთა ალიანსის“ რუსეთიდან შესაძლო

დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურას გამოძიების მოთხოვნით ოფიციალურად მიმართა,[21] რის შემდეგაც პროკურატურამ აღნიშნული მოთხოვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, როგორც პოლიტიკური პარტიების ფინანსურ-სამართლებრივ საკითხებზე პასუხისმგებელ ორგანოსთან, გადაამისამართა.[22] ცენტრი „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და ხოშტარიას მიერ გამოძიების მოთხოვნას მალევე ადგილობრივი პრორუსული აქტორები გამოეხმაურნენ. კერძოდ, პრორუსული გამოცემა „თვალსაზრისი“ ამტკიცებდა, რომ ცენტრი „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები „აიტიშნიკის მიერ კლავიატურაზე ნაკაკუნები ნაბოდვარია“,[23] რის გამოც, „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსების საკითხის გამოძიების შესახებ ოპოზიციონერი პარლამენტარის, ელენე ხოშტარიას მიერ პროკურატურისთვის მიმართვას „არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა“ და „მგიმოელი ხოშტარიას“ ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

2020 წლის 2 ოქტომბერს, ცენტრი „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით, ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა სახელმწიფო უწყებებს ერთობლივი განცხადებით მიმართეს[24] და ხელისუფლებას „დოსიეს“ მიერ გასაჯაროვებულ ინფორმაციაზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდეს. არასამთავრობო ორგანიზაციების საპასუხოდ კი, პრორუსული პროპაგანდის ღიად გამავრცელებელი ტელევიზიის, „ობიექტივის“ ეთერში აღნიშნული ორგანიზაციების მადისკრედიტირებელი 14 წუთიანი სიუჟეტი გავიდა.[25] სიუჟეტში ანტიდასავლურმა ტელევიზიამ „საქართველოს რეფორმების ასოციაციას“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ და სხვა ორგანიზაციებს, ბრალი საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში დასდო.

არასამთავრობო ორგანიზაციების საწინააღმდეგო ამ კამპანიის გარდა, ადგილობრივმა პრორუსულმა ძალებმა „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების ავთენტურობა აბსურდად მიიჩნიეს და „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდასაჭერი არაერთი განცხადება გაკეთეს. კერძოდ, გამოცემა „საქინფორმმა“ საკითხს მრავალი[26] სტატია[27] მიუძღვნა,[28] რომლებშიც „საქინფორმის“ რედაქტორი, არნო ხიდირბეგიშვილი „პატრიოტთა ალიანსს“ იცავდა[29] და აცხადებდა, რომ ხოდორკოვსკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალები პარტიის მიმართ „ცილისწამების ერთ-ერთი ეპიზოდია“. ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, იმის გამო, რომ ანგარიშში მითითებული კომპანია „POLITSECRETS", რომელიც, „დოსიეს“ მიხედვით, „პატრიოტთა ალიანსთან“ თანამშრომლობდა, „უკვე სამ წელიწადზე მეტია იურიდიულად და ფიზიკურად აღარ არსებობს“, „პატრიოტთა ალიანსი“ რუსეთის ფედერაციისგან თანხას ვერ აიღებდა. თავის მხრივ, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი და დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, დიმიტრი ლორთქიფანიძე ამტკიცებდა, რომ „არანაირი რუსული პროპაგანდა საქართველოში არ არსებობს“,[30] ხოლო საქართველოს არჩევნებში რუსული ჩარევის საფრთხე „მოგონილია იმისთვის, რომ არჩევნებში რაც შეიძლება ფართო სპექტრით გაამარჯვებინონ ლიბერალურ ძალებს”.

არჩევნების წინ ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ფილიალის დაყაჩაღება

წინასაარჩევნო პერიოდში გავრცელებულ დეზინფორმაციებს შორის აღსანიშნავია, თუ როგორ გამოეხმაურნენ ანტიდასავლური აქტორები, 21 ოქტომბერს, არჩევნებამდე

რამდენიმე დღით ადრე ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი ფილიალის დაყაჩაღების ფაქტს - აღნიშნულმა ჯგუფებმა მომხდარში ოპოზიციის კვალი დაინახეს. მათ მიერ გავრცელებული განცხადებების მიხედვით, მძევლები და დაყაჩაღებაში მონაწილე თავდამსხმელი, რომელიც მძევლად აყვანილი პირების გამოსასყიდის სახით 500 ათას აშშ დოლარს ითხოვდა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობდნენ. დეზინფორმაციის მიხედვით, სინამდვილეში თავდასხმას ადგილი არ ჰქონია და ის უბრალოდ დადგმული სპექტაკლი იყო, რაც მიზნად საზოგადოების დაზაფვრას ისახავდა. პრორუსული „თვალსაზრისის“ მიერ გავრცელებული[31] ინფორმაციით, ბანკში „ტერორისტების შეჭრა მძევლებთან წინასწარ იყო შეთანხმებული“. აღნიშნული ნარატივი სოციალურ ქსელში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრმა და პრორუსული ტელეკომპანია „ობიექტივის“ მთავარმა რედაქტორმა, ბონდო მძინარაშვილმაც[32] გაავრცელა. მისი მიხედვით, ბანკის დაყაჩაღება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დადგმული სპექტაკლი იყო და მას პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქსელში გავრცელდა საპირისპირო[33] ნარატივიც, რომ „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე განხორციელებული თავდასხმა არა „ნაციონალური მოძრაობის“, არამედ „ქართული ოცნების“ მიერ მოწყობილ სპექტაკლს წარმოადგენდა.

ოპოზიციონერი ლიდერების საწინააღმდეგო კამპანია წინასაარჩევნო პერიოდში

ანგარიშში უკვე განხილული საკითხების პარალელურად, წინასაარჩევნო პერიოდში ანტიდასავლურმა გამოცემებმა და სხვადასხვა Facebook გვერდმა სხვადასხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მადისკრედიტებელი ფართო კამპანიაც წარმართეს. პრორუსული გამოცემა „საქინფორმი“ ამტკიცებდა,[34] რომ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვებისა და პრემიერ-მინისტრად მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემთხვევაში, აფხაზეთთან და ცხინვალთან არსებული „გამჭვირვალე საზღვრები მთლიანად ჩაიკეტება; უკვე სრულფასოვანი საზღვრების დაცვა გაორმაგდება; ჟენევის ფორმატი აღარ იარსებებს - ცხინვალისა და სოხუმის წარმომადგენლები არასდროს დასხდებიან მოლაპარაკებების მაგიდასთან პრემიერ-მინისტრ სააკაშვილის წარმომადგენლებთან“. „საქინფორმის“ მიხედვით, არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხებისა და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლის შემთხვევაში, „წარსულს ჩაბარდება არა მხოლოდ აფხაზებსა და სამხრეთ ოსებთან შერიგებისა და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების, არამედ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების იმედებიც“, რადგან გამოცემის მტკიცებით, ქვეყანაში არასტაბილურობა დაისადგურებს, რის გამოც მისგან თავს ყველა შორს დაიჭერს.

„საქინფორმის“ რედაქტორის, არნო ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, ანტიდასავლური გამოცემების ტრადიციული სამიზნე - ჯორჯ სოროსი,[35] საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში სახელისუფლებლო პარტია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მოქმედებდა. ხიდირბეგიშვილის მიხედვით, სოროსი ქვეყანაში პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად ოპოზიციურ პარტიებს აფინანსებს, რასაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ბიუჯეტის გავლით ახდენს. სტატიაში პრორუსული გამოცემის რედაქტორი ამტკიცებდა, რომ „საქინფორმს“ საკითხზე ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა მიაწოდა. სტატიის მიხედვით, აღნიშნული კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, 2019 წლის ზაფხულში „გავრილოვის ღამის“ შემდეგ „ქართული ოპოზიციის ლიდერებმა საპროტესტო აქციების ორგანიზებისთვის

უზარმაზარი თანხები მიიღეს“. ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, ჯორჯ სოროსი „ქუჩის საპროტესტო აქციებს მასიურად პროვოცირებს“. ამასთან, „საქინფორმის“ რედაქტორი სოროსის კვალს იმ ახალგაზრდული მოძრაობების („სირცხვილიას“, „გაბედეს“, „შეცვალეს“) შექმნაში ხედავდა, რომლებიც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ხშირად საპროტესტო აქციებს ატარებენ.

პოლიტიკოსების დისკრედიტაციის კონტექსტში, სხვადასხვა Facebook-გვერდი და გამოცემა აქტიურობდა და მათ სამიზნეში ოპოზიციის არაერთი წევრი მოხვდა. გამოცემა „საქინფორმის“ მტკიცებით,[36] საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხელ სააკაშვილი ნარკოტიკებს რეგულარულად მოიხმარს და გადაწყვეტილება ვიდეო რგოლის ჩაწერის შესახებ, რომელშიც ის საქართველოში ჩამოსვლას აანონსებს, „კოკაინის დიდი დოზის ქვეშ მიიღო“.

საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, Facebook-გვერდ „მნიუსის“[37] მიერ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას შესახებ გავრცელებული ვიდეო რგოლის მიხედვით კი, „სასტიკი და დაუნდობელი, ემპათიის არ მქონე“ ბოკერია ქართული ეკლესიის მიმართ „აგრესიული“ და „შეუწყნარებელია“, და ის ჟურნალისტ დავით პაიჭაძესთან ერთად, „გლდანის ეკლესიიის მრევლზე თავდასხმაში მონაწილეობდა“. ამასთან, „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო აქციაზე ბუბა კიკაბიძის მიერ სიმღერა „თბილისოს“ რუსულად შესრულების შემდეგ, სოციალურ ქსელში ოპოზიციური პარტიის პირველი ნომრის საწინააღმდეგო კამპანია[38] წარიმართა. სხვადასხვა წყარო ბუბა კიკაბიძეს „მოღალატეს“ უწოდებდა, ხოლო კრიტიკის ერთ-ერთ „არგუმენტად“ რუსი ოპოზიციონერის, სერგეი გავრილოვის მიერ „თბილისოს“ რუსულად შესრულებაზე არ არსებული „გამოხმაურება“ მოჰყავდათ.

სოციალურ ქსელში წინასაარჩევნოდ დეზინფორმაცია ოთარ კახიძის,[39] „ევროპული საქართველოს“ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისა და ნიკა მელიას,[40] „ნაციონალური მოძრაობის“ გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შესახებაც გავრცელდა. კერძოდ, ყალბი ამბების მიხედვით, ოთარ კახიძე საარჩევნო კამპანიას კორონავირუსით ინფიცირების შემდეგაც აგრძელებდა და ამომრჩევლების ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აგდებდა, ხოლო ნიკა მელიასთან დაკავშირებით გავრცელებული დეზინფორმაციის მიხედვით, მელიას შტაბის წევრებს კორონავირუსი დაუდასტურდათ, რის გამოც შტაბი დაიკეტა.

წინასაარჩევნოდ საინფორმაციო შეტევა პარტია „ლელოს“ ლიდერებზეც განხორციელდა. გამოცემა „თვალსაზრისმა“ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის[41] საწინააღმდეგო გზავნილის გასავრცელებლად მათი ბიზნეს სექტორში მუშაობის გამოცდილება გამოიყენა და „ლელოს“ ლიდერებს „მევახშეთა კლასტერი“ უწოდა, რომელთაც „ბოკერია-სააკაშვილების მწამებელ კლასტერზე არანაკლები დანაშაული აქვთ ჩადენილი“. ნარატივის მიხედვით, მაშინ, როდესაც „მიშა არბევდა, აწამებდა, არეკეტებდა, დევნიდა, ავიწროვებდა, ხაზარაძე-ჯაფარიძე ქართულ ოჯახებს ღია ცისქვეშ ტოვებდა და მათ გაღატაკება-გაღარიბებაში თავისი წვლილი გულმოდგინედ შეჰქონდათ“. ამასთან, Facebook გვერდმა „მევახშეთა ლიგა“, სოციალურ ქსელში „ლელოს“ კიდევ ერთო ლიდერის, გრიგოლ გეგელიას[42] ყალბი ციტატა გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, გეგელიამ, თითქოს, განაცხადა: „ქართველ ხალხს მოუწევს ერთსქესიანთა ქორწინებას შეეგუოს, ლელო იქნება სექსუალური უმცირესობების უფლებების დამცველი“.

ოპოზიციონერების მადისკრედიტირებელი კამპანიის კიდევ ერთი მაგალითი კი, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარის,

ხათუნა სამნიძის ყალბი ციტატაა, რომელიც Facebook-გვერდის „ანტილიბერალური დოქტრინის“ მიერ გავრცელდა. გაყალბებული ციტატის მიხედვით, სამნიძე ამბობს: „ნაცებს მარტო ეს ჰომოსექსუალური პარტია ვაკლდით და ჩვენც დავემატეთ, ახლა შეგიძლიათ გვანდოთ ქვეყანა“. ამასთან, შედარებით მცირე მასშტაბით, მადისკრედიტირებელი მასალა „ქართული ოცნების“ წევრების შესახებაც გავრცელდა. კერძოდ, ვებგვერდ publishers.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიაში[43] „ბიძინა ივანიშვილის მიერ პატრიარქ ილია მეორეს კომპრომატებით შანტაჟის“ შესახებ ვკითხულობთ, ხოლო გამოცემა alia.ge-ის სტატიის მიხედვით კი, ეკატერინე ტიკარაძის[44] უწყებაში სამინისტროს ორი თანამშრომლის კორონავირუსით ინფიცირებას „მკაცრად ასაიდუმლოებდნენ“. ამასთან, უშუალოდ არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით ერთ-ერთი დეზინფორმაცია ნაციონალური მოძრაობის აქტივისტის მიერ არჩევნების დღეს, 31 ოქტომბერს, გავრცელდა[45] - ყალბი ამბის მიხედვით, ავღანეთში მდებარე ქართულ სამხედრო ბაზებზე გამართულ არჩევნებში გამარჯვება ოპოზიციამ, უფრო კონკრეტულად კი, ნაციონალურმა მოძრაობამ მოიპოვა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის ზოგიერთი[46] სასულიერო პირი, რომელიც ანტიდასავლური გზავნილების გავრცელებაშია შემჩნეული, წინასაარჩევნო პროცესში აქტიურად იყო ჩართული და მათი მხარდაჭერით ანტიდასავლურ პარტია, „ქართულ იდეა“ სარგებლობდა.[47]

*ანტიდასავლური/პრორუსული ონლაინ მედიისა და **Facebook** გვერდების დამოკიდებულება მმართველი „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის მიმართ*

მიუხედავად იმისა, რომ დავით გარეჯისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე პრორუსული/ანტიდასავლური აქტორებისა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პოზიციები ერთმანეთს დიდწილად ემთხვეოდა, მონიტორინგის ფარგლებში ისიც გამოიკვეთა, რომ ამ ტიპის აქტორები „ქართულ ოცნებას“ ხშირად „ზედმეტ ლიბერალიზმში“ ადანაშაულებდნენ[48] და ზოგიერთ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსად,[49] მიუღებელ[50] პოლიტიკურ ძალადაც მოიხსენიებდნენ. თუმცა, ამის პარალელურად, მსგავსი გამოცემები არჩევნების კონტექსტში „ქართული ოცნებისადმი“ პირდაპირ თუ ირიბ მხარდაჭერასაც ავლენენ. მაგალითად, პრორუსული და ანტიამერიკული[51] გამოცემის, საქინფორმის მთავარი რედაქტორი, არნო ხიდირბეგიშვილი, 1 აგვისტოს გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაში ამტკიცებდა,[52] რომ აშშ-ის ინტერესებში, არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება და მთავრობის დამოუკიდებლად შექმნა არ შედის, ხოლო ოპოზიციის წარმატება და მრავალპარტიული, კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება ვაშინგტონისთვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“. ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, აღნიშნულს განაპირობებს აშშ-ში არსებული რწმენა, რომლის მიხედვითაც, „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, ვაშინგტონის თხოვნა ირანის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო კამპანიის განმავლობაში საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ, არ დააკმაყოფილოს, რაც მრავალპარტიული ხელისუფლების შემთხვევაში, პრორუსი ხიდირბეგიშვილის აზრით, ნაკლებად სავარაუდოა. კიდევ ერთ სტატიაში კი, „საქინფორმი“, ღიად გამოხატავდა[53] სურვილს, რომ საპარლამენტო არჩევნებში პირველ ადგილზე პარტია „ქართული ოცნება“, ხოლო მეორეზე - „პატრიოტთა ალიანსი“ გასულიყო.

საარჩევნო სუბიექტების წინააღმდეგ მიმართული ნეგატიური კამპანიის ანალიზის შედეგად, მსგავს დასკვნამდე მიდის ISFED-იც. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სოციალური მედიის მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, „მმართველი პარტიის მიმართ დადებითი განწყობა გამოიხატებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ აზერბაიჯანთან დაუდგენელი საზღვრის შესახებ რუკის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით...პროპაგანდისტულ გვერდებზე პოლიტიკური პარტიების შესახებ ნეგატიური პოსტების უმრავლესობა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ეხებოდა. ამის პარალელურად, პოსტების ნაწილში გამოიხატებოდა უარყოფითი განწყობა „ქართული ოცნების“ მიმართ...“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ISFED-ის ანგარიშის თანახმად,

- „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერ გზავნილებს აქტიურად ავრცელებდა ღიად პრორუსული ორი გვერდი - „ანტილიბერალური დოქტრინა“ და „რესპუბლიკა“
- „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ზვიად ტომარაძის სასარგებლო აგიტაციას ეწეოდა ნაციონალისტური და ანტილიბერალური განწყობების გამაღვივებელი ორი ურთიერთდაკავშირებული დაკავშირებული გვერდი - „ყბადაღებული საზოგადოება“ და „ქართული ძალა“.
- „ქართულ იდეის“ მხარდამჭერ გზავნილებს ორი კოორდინირებული გვერდი ეწეოდა -„პოლიტიკური ნაკვალევი“ და “ლიბერალიზმი კლავს“.
- „ქართული მარშის“, „ქართული იდეისა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერ გზავნილებს“ კოორდინირებულად ავრცელებდა ულტრანაციონალისტური ტიპის ორი გვერდი - „ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო“ და “ეროვნული ფრონტი/National Front of Georgia“.
- პარტია „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობის“ სასარგებლოდ მოქმედებდა რუსეთიდან მართული, პრორუსული განწყობების გამავრცელებელი გვერდი „Beka news”.
- დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის, „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ ხელმძღვანელის, დიმიტრი ლორთქიფანიძისა და საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის” ლიდერის, ზვიად ტომარაძის, მხარდასაჭერ გზავნილებს ავრცელებდა გვერდი - „საქართველო უპირველეს ყოვლისა“
- „ქართული ოცნების“ მხარს განსაკუთრებით უჭერდნენ გვერდები - „iNews“ და „დედაქალაქი“.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში, მაშინ, როდესაც ოპოზიციამ არჩევნების ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, პრორუსული მედიის მიერ არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლების პოზიციის მხარდამჭერი გზავნილები ვრცელდებოდა.[54] ანტიდასავლური სააგენტოების საინფორმაციო ბადეში არჩევნების შემდეგ ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გარდაცვალებაც მოხვდა, რაზეც მათ პასუხისმგებლობა ოპოზიციას[55] დააკისრეს.[56] ამასთან, აღნიშნულმა ჯგუფებმა ოპოზიციის მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ცესკოს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას გადადგომისა და ხელახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით გამართულ აქციას წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია უწოდეს. ამასთან, რადგან აქციის „საბოლოო მიზანი სახელმწიფო გადატრიალება“ იყო, ხელისუფლების მიერ მომიტინგეების წყლის ჭავლით დარბევაც ერთადერთ სწორ ქმედებად შეაფასეს.[57] აღსანიშნავია, რომ ოპოზიციის მიერ არჩევნების შემდეგ გამართულ აქციებს პრორუსული მედიისგან

კრიტიკა პანდემიის კონტექსტშიც მოჰყვა. კერძოდ, რუსული ნარატივის გამავრცელებელი სააგენტოების მიერ ხაზი აქციების შედეგად ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დამძიმების შესაძლებლობას გაესვა.[58]

არჩევნების შემდეგ პრორუსული ჯგუფების ნაწილი იმასაც ამტკიცებდა, რომ, არჩევნები გაყალბდა, თუმცა შედეგების გაყალბება არა „ლიბერალური ოპოზიციის“, არამედ ისეთი პოლიტიკური პარტიების საწინააღმდეგოდ მოხდა, როგორებიცაა:[59] „პატრიოტთა ალიანსი“, „ქართული მარში“, „ქართული დასი“ და „ქართული იდეა“. საგულისხმოა, რომ პრორუსული აქტორები ხშირად „ქართულ ოცნებას“ ისეთივე მიუღებელ[60] პოლიტიკურ ძალად წარმოაჩენდნენ, როგორც სხვა პარტიებს, თუმცა მათთვის „ცუდსა და უარესს შორის“ უარესი,[61] როგორც წესი, ოპოზიცია, უფრო კონკრეტულად კი, „ნაციონალური მოძრაობა“ და სხვა პროდასავლური, ლიბერალური ღირებულებების მხარდამჭერი პარტიებია.

წყაროები:

[1] მალხაზ რეხვიაშვილი. (2021). დეზინფორმაცია: სსრკ-ს გენშტაბის რუკაზე დავით-გარეჯის კომპლექსი მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზეა. მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/39051 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[2] საქართველოს პროკურატურა. (2021). საქართველოს პროკურატურის განცხადება. მოძიებულია: https://bit.ly/3yBBFGj ბოლო ნახვა: 05.25.2021

[3] ონ.ჯი. (2020). აზერბაიჯანთან საზღვრის საქმეზე კომისიის ყოფილი წევრები ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა დააკავეს. მოძიებულია: https://bit.ly/3fJC2WH ბოლო ნახვა: 05.25.2021

[4] საერთაშორისო გამჭვრივალობა-საქართველო. (2020). კარტოგრაფების საქმე - პოლიტიკურად მოტივირებული ახალი გამოძიება. მოძიებულია: https://bit.ly/3hNRhk4 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[5] ონ.ჯი. (2020). ისინი, ვინც ეს ღალატი ჩაიდინა, კოლექტიური ააკაშვილები არიან — ღარიბაშვილი საზღვარზე. მოძიებულია: http://go.on.ge/1umb ბოლო ნახვა: 05.25.2021

[6] YouTube. (2020). დავითგარეჯის საქმე ირაკლი ღარიბაშვილი გადაცემაში ნამდვილი რიცხვები ნაწილი 1. მოძიებულია: https://www.youtube.com/watch?v=syPlKd-h2uk ბოლო ნახვა: 05.25.2021

[7] ნასტასია არაბული. (2020). "გარეჯი საქართველოა!" - კარტოგრაფების საქმე არჩევნების შემდეგ. მოძიებულია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30930499.html ბოლო ნახვა: 05.25.2021

[8] კარდჰუ. (2020). ადამიანი, რომელმაც სამშობლოს ჩამოუტანა მტკიცებულება... მოძიებულია: https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=937408236785906&amp%3Bid=217114512148619&amp%3B__tn__=%2CO*F ბოლო ნახვა: 05.25.2021

[9] საქართველო უპირველეს ყოვლისა. (2020). ბატონებო, არ მინდოდა ჩემი მწარე შეფასება გამეკეთებინა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს... მოძიებულია: https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=675768603051161&amp%3Bid=328255007802524 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[10] საერთო გაზეთი. (2020). მანქურთები, ნაცებს სამშობლო არ აქვთ... მოძიებულია: https://www.facebook.com/saertogazeti.ge/posts/4082393518442775 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[11] მსოფლიო საოჯახო კონგრესი. (2020). როგორ ყიდდნენ გარეჯს - ეპიზოდი #1. მოძიებულია: https://www.facebook.com/wcf10/posts/1275565946141928 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[12] თვალსაზრისი. (2020). „ვცხოვრობთ პერიოდში, სადაც პედოფილს შეუძლია დააბრალოს ყველაზე წესიერ ადამიანს პედოფილობა, სადაც ქვეყნის გამყიდველები იჩემებენ პატრიოტიზმს და ნამდვილ პატრიოტებს აბრალებენ რუსეთის აგენტობას“ – ნუკრი შოშიაშვილი. მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/ვცხოვრობთ-პერიოდში-სად/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[13] პრაიმ ტაიმ. (2020). Live: დავით გარეჯის საქმეზე სანდრო ბრეგაძე განცხადებას აკეთებს. მოძიებულია: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=640403996625122 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[14] სალომე მარგველაშვილი. (2020). დეზინფორმაცია: გრიგოლ ვაშაძე დავით გარეჯის მონასტერს საქართველოს ტერიტორიად არ მიიჩნევს. მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/38681 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[15] სალომე მარგველაშვილი. (2020). დეზინფორმაცია: გუბაზ სანიკიძე დავით გარეჯს საქართველოს ტერიტორიად არ მიიჩნევს. მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/38698 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[16] ნინო დოლიძე, ნინო რიჟამაძე და სხვები. (2021). საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სოციალური მედიის მონიტორინგის საბოლოო ანგარიში. მოძიებულია: https://drive.google.com/file/d/10ddKtet_sP6cz4M75aTrNlghuUQXNRTf/view ბოლო ნახვა: 05.25.2021

[17] ნიუსფრონტი. (2020). რუსეთის დაზვერვის გენერალი სააკაშვილზე: “ვისხედით და ვამბობდით – გამო*… თუ რა ჭირს?!” მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/08/12/rusethis-dazvervis-analitikuri-samsakhuris-qhophili-uphrosi-saakashvilze-viskhedith-da-vambobdith-gamo-thu-ra-tchirs/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[18] საქართველო და მსოფლიო. (2020). თამარ კიკნაძე: დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პათოსიდან მხოლოდ ხსოვნაზე გადავედით. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/თამარ-კიკნაძე-დაკარგული/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[19] თვალსაზრისი. (2020). სამარცხვინო დემაგოგიაა თანაოკუპანტების პარტიული ტელევიზიებიდან კოლექტიური ყიჟინი რუსეთი ოკუპანტია. მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/სამარცხვინო-დემაგოგიაა-თ/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[20] დედაქალაქი. (2020). ვერანაირ ტერიტორიას ვერ დავიბრუნებთ, სანამ არ დავსჯით მათ ვინც ჩააბარა ისინი - სოსო მანჯავიძე. მოძიებულია: https://www.facebook.com/de-dakalaki/posts/3448051815239255 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[21] პირველი არხი. (2020). ელენე ხოშტარიამ „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსების საკითხის გამოძიების მოთხოვნით პროკურატურას მიმართა. მოძიებულია: https://1tv.ge/news/elene-khoshta-riam-patriotta-aliansis-dafinansebis-sakitkhis-gamodziebis-motkhovnit-prokuraturas-mimarta/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[22] საქართველოს პროკურატურა. (2020). პროკურატურამ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს დაფინანსების კანონიერების ფაქტზე შემოსული განცხადება განიხილა. მოძიებულია:

https://pog.gov.ge/news/prokuraturam-saqarTvelos-patriotTa-aliansi-s-dafinansebis-kanonierebis-faqtze-shemosuli-gancxadeba ბოლო ნახვა: 05.25.2021

[23] თვალსაზრისი. (2020). ჰელენე ხოშტარია ისე გამობუნძულდა პროკურატურიდან როგორც მიბუნძულდა. მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/ჰელენე-ხოშტარია-ისე-გამო/

[24] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო. (2020). არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს საგამოძიებო და უსაფრთხოების უწყებებს, ასევე აუდიტის სამსახურს „პატრიოტთა ალიანსის“ შესახებ „დოსიეს“ მიერ გასაჯაროვებულ ინფორმაციაზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდებენ. მოძიებულია: https://www.transparency.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-sa-kartvelos-sagamoziebo-da-usaprtxoebis-ucqebebs-aseve-auditis ბოლო ნახვა: 05.25.2021

[25] მედია კავშირი ობიექტივი. (2020). არასამთავრობო ორგანიზაციების როლი კრამერის, სააკაშვილის და ბოკერიას სამოქმედო გეგმაში. მოძიებულია: https://www.face-book.com/watch/?v=349855229662003 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[26] საქინფორმი. (2020). ხიდირბეგიშვილი მართალი აღმოჩნდა - ხოდორკოვსკი იტყუება, ინაშვილსა და თარხან-მოურავს რუსეთიდან ფული არ მიუღიათ! მოძიებულია: http://saqin-form.ge/news/47861/xidirbegishvili+marTali+aRmochnda+-+xodorkovski+ityueba%2C+inash-vilsa+da+Tarxan-mouravs+ruseTidan+fuli+ar+miuRiaT%21+-+saqinformi.html ბოლო ნახვა: 05.25.2021

[27] საქინფორმი. (2020). არნო ხიდირბეგიშვილი: ხოდორკოვსკის სურს თქვას, რომ საქართველოს პარლამენტის ვიცე–სპიკერი ირმა ინაშვილი რუსეთის აგენტია?! მოძიებულია: http://saqin-form.ge/news/47827/arno+xidirbegishvili%3A+xodorkovskis+surs+Tqvas%2C+rom+saqarTvelos+par-lamentis+vice%E2%80%93spikeri+irma+inashvili+ruseTis+agentia%3F%21.html?fbclid=IwAR3OsvI-VGKJaF5lenu_7NvwPC4jxUrAvAd9flPmO_YWEC0k2l_PHOAhwpqg ბოლო ნახვა: 05.25.2021

[28] საქინფორმი. (2020). არნო ხიდირბეგიშვილი - ირმა ინაშვილზე, დავით თარხან-მოურავსა და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსზე“ მიხეილ ხოდორკოვსკის „დოსიეს“ შესახებ. მოძიებულია: http://saqinform.ge/news/47748/arno+xidirbegishvili+-+irma+inashvilze%2C+daviT+Tarxan-mouravsa+da+%E2%80%9EsaqarTvelos+patriotTa+aliansze%E2%80%9C+mixeil+xodorkov-skis+%E2%80%9Edo-sies%E2%80%9C+shesaxeb.html?fbclid=IwAR0Xxy4PFrdvJpDJ3p8IEpmRQrZc9ZDqu6HgMqz1Ayj5lS8fpsREScrnSYo ბოლო ნახვა: 05.25.2021

[29] საქინფორმი. (2020). თუ „პატრიოტთა ალიანსის“ ნაცვლად, „ოცნების“ შემდეგ მეორე ადგილს „ნაცმოძრაობა“ დაიკავებს, კაპიკია ასეთი არჩევნების ფასი! – არნო ხიდირბეგიშვილი. მოძიებულია: http://saqinform.ge/news/47964/Tu+%E2%80%9EpatriotTa+alian-sis%E2%80%9C+nacvlad%2C+%E2%80%9Eoc-nebis%E2%80%9C+shemdeg+meore+adgils+%E2%80%9EnacmoZ-raoba%E2%80%9C+daikavebs%2C+ka-pikia+aseTi+archevnebis+fasi%21+%E2%80%93+arno+xidirbegishvili.html ბოლო ნახვა: 05.25.2021

[30] ჯაბა ჟვანია. (2020). დიმიტრი ლორთქიფანიძე: ე.წ. რუსული ჩარევა მოგონილია იმისთვის, რომ არჩევნებში რაც შეიძლება ფართო სპექტრით გაამარჯვებინონ ლიბერალურ ძალებს. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/დიმიტრი-ლორთქიფანიძე-ე-წ/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[31] თვალსაზრისი. (2020). ვიდეო: „მძევალს მესიჯები დატყვევებამდე დაუგზავნია?!“ – გიორგი გიორგაძე. მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/ვიდე-მძევალს-მესიჯები/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[32] ფაქტ-მეტრი. (2020). დეზინფორმაცია: ზუგდიდში, ბანკის შენობაში მყოფი მძევლები „ტერორ-სპექტაკლის“ მონაწილეები არიან. მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/38710 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[33] ფაქტ-მეტრი. (2020). დეზინფორმაცია: ზუგდიდში ბანკის შენობის დაყაჩაღება „ქართული ოცნების“ მიერ დადგმული სპექტაკლია. მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/38718 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[34] საქინფორმი. (2020). საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, საქართველო სამუდამოდ დაივიწყებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს - საქინფორმი. მოძიებულია: http://saqinform.ge/news/48403/saparlamento+archevnebshi+opozi-ciis+gamarhvebis+shemTxvevashi%2C+saqarTvelo+samudamod+daiviwyebs+afxazeTsa+da+sa-machablos+-+saqinformi.html%22 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[35] საქინფორმი. (2020). ჯორჯ სოროსი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ერთვება – საქინფორმი. მოძიებულია: http://saqin-form.ge/news/48415/horh+sorosi+saqarTvelos+saparlamento+archevneb-shi+%E2%80%9EqarTuli+ocnebis%E2%80%9C+winaaRmdeg+erTveba+%E2%80%93+saqin-formi.html?fbclid=IwAR3fvXX5J5I07u3dxFl3qV_cCKeMhUWIGgptEjx0rzuht9Ja0BJJDQQbfZQ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[36] საქინფორმი. (2020). არნო ხიდირბეგიშვილი: სააკაშვილი პატრიარქსა და აშშ-ის ელჩს სთხოვს მას „უკანასკნელად დაეხმარონ“. მოძიებულია: http://saqinform.ge/news/47798/arno+xidirbegish-vili:+saakashvili+patriarqsa+da+ashsh-is+elchs+sTxovs+mas+%E2%80%9Eu-kanasknelad+daexmaron%E2%80%9C.html ბოლო ნახვა: 05.25.2021

[37] მნიუსი. (2020). ვინ არის გიგა ბოკერია? მოძიებულია: https://www.facebook.com/MnewsMn/vid-eos/840262836516219/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[38]მარიამ ტალახაძე. (2020). გამოეხმაურა თუ არა გავრილოვი ბუბა კიკაბიძის რუსულ სიმღერას ფეისბუკზე? მოძიებულია: https://www.mythdetector.ge/ka/myth/gamoekhmaura-tu-ara-gavrilovi-buba-kikabidzis-rusul-simgheras-peisbukze?fbclid=IwAR1W5OG_wxaTSGRMv9BNzK3ckVz-pXSmuYpkXw0_zlk-0n5l60tjFkH8o4w ბოლო ნახვა: 05.25.2021

[39] მარიამ წიწიკაშვილი. (2020). დეზინფორმაცია: ინფიცირებული ოთარ კახიძე კამპანიას აგრძელებს. მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/38729 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[40] ლიზი სამნაშვილი. (2020). დეზინფორმაცია: ნიკა მელიას შტაბის წევრებს კორონავირუსი დაუდასტურდათ. მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/38706 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[41] თვალსაზრისი. (2020). ბოკერია სააკაშვილების მწამებელ ”კლასტერზე” არანაკლებ დამნაშავეა ხაზარაძე ჯაფარიძის მევახშეთა ”კლასტერი”. მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/ბოკერია-სააკაშვილების/მწ/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[42] სალომე მარგველაშვილი. (2020). Facebook-ზე გრიგოლ გეგელიას ყალბი ციტატა გავრცელდა. მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/38717 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[43] Publisher.ge. (2020). სკანდალური ინფორმაცია მთელი საქართველოსათვის რა კომპრომატებით აშანტაჟებდა ივანიშვილი პატრიარქს. მოძიებულია: https://publishers.ge/politika/414--.html ბოლო ნახვა: 05.25.2021

[44] თიკა მამადაშვილი. (2020). დეზინფორმაცია: ჯანდაცვის სამინისტრო თანამშრომლების ინფიცირების ფაქტს მალავს. მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/38638 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[45] მითების დეტექტორი. (2020). ვინ გაავრცელა ყალბი ინფორმაცია ავღანეთის ბაზაზე ოპოზიციის გამარჯვების შესახებ? მოძიებულია: https://www.mythdetector.ge/ka/myth/vin-gaavrtsela-qalbi-inpormatsia-avghanetis-bazaze-opozitsiis-gamarjvebis-shesakheb ბოლო ნახვა: 05.25.2021

[46] თამარ კინწურაშვილი, სოფო გელავა. (2019). ანტიდასავლური პროპაგანდა 2019. მოძიებულია: http://mdfgeorgia.ge/uploads/library/173/file/AntiWest-Booklet-GEO.pdf ბოლო ნახვა: 05.25.2021

[47] ქართული იდეა. 2020. მოძღვრების წინასაარჩევნო მოწოდება - ხმა მიეცით "ქართულ იდეა"-ს 44 ✍. მოძიებულია: https://www.facebook.com/100181678019290/videos/772097543639868 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[48] სტალინი. (2020). ოცნების მხარდამჭერები სტალინის გვერდს ტალახს ესვრიან და ნაციონალების ტროლს იძახიან... მოძიებულია: https://www.facebook.com/1510968955872507/photos/a.1510978569204879/2398236473812413/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[49] საქართველო უპირველეს ყოვლისა. (2020). მე მცდარ აზრად მიმაჩნია, რომ სახალხო ლიდერები უნდა გაერთიანდენ ბუნებრივად ოცნების კოალიციაში, ნაც. მოძრაობის წინააღმდეგ. მოძიებულია: https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=656664628294892&id=328255007802524 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[50] სტალინი. (2020). საქართველოსთვის ორივე მოღალატე მტერია და ორივე ძალა #მართულია ამერიკიდან!... მოძიებულია: https://www.facebook.com/1510968955872507/photos/a.1510978569204879/2428454120790648/?type=3 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[51] საქინფორმი. (2020). არნო ხიდირბეგიშვილი: რატომ ჩამოიხსნა ნიღაბი ამერიკის ელჩმა? მოძიებულია: http://saqinform.ge/news/47828/arno+xidirbegishvili%3A+ratom+chamoixsna+niRabi+amerikis+elchma%3F.html ბოლო ნახვა: 05.25.2021

[52] საქინფორმი. (2020). არნო ხიდირბეგიშვილი: საქართველოს ომისთვის ამზადებენ - აშშ-ში ღია მუქარაზე გადავიდნენ (NEWS FRONT). მოძიებულია: http://saqinform.ge/news/47400/arno+xidirbegishvili%3A+saqarTvelos+omisTvis+amzadeben+-+ashshshi+Ria+muqaraze+gadavidnen+%28NEWS+FRONT%29.html?fbclid=IwAR3qTm3a--loODGByhAstN7KAmuBqRXEtUDcSlA2AMufSh1aQpXF29pSM-E ბოლო ნახვა: 05.25.2021

[53] საქინფორმი. (2020). თუ „პატრიოტთა ალიანსის“ ნაცვლად, „ოცნების“ შემდეგ მეორე ადგილს „ნაცმოძრაობა“ დაიკავებს, კაპიკია ასეთი არჩევნების ფასი! – არნო ხიდირბეგიშვილი. მოძიებულია:

http://saqinform.ge/news/47964/Tu+%E2%80%9EpatriotTa+alian-sis%E2%80%9C+nacvlad%2C+%E2%80%9Eoc-nebis%E2%80%9C+shemdeg+meore+adgils+%E2%80%9EnacmoZ-raoba%E2%80%9C+daikavebs%2C+ka-pikia+aseTi+archevnebis+fasi%21+%E2%80%93+arno+xidirbegishvili.html ბოლო ნახვა: 05.25.2021

[54] თვალსაზრისი. (2020). "არცერთი დახარვეზებული ოქმი, რომელსაც დაარბენინებენ Facebook-ზე კედელ-კედელ, არ არის ასახული ოფიციალურ შედეგებში" - ლადო ბოჟაძე. მოძიებულია: https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=2864648813817060&id=2370440083237938 ბოლო ნახვა: 05.25.2021

[55] თვალსაზრისი. (2020). "ახლა ერთ რამეს ვიტყვი და პოლიტკორექტულებმა თავი შეიკავეთ! ისნის საოლქოს თავმჯდომარეს არ ვიცნობდი, მაგრამ ნამდვილად გულიანი კაცი ყოფილა" – გია გაბრიჭიძე. მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/ახლა-ერთ-რამეს-ვიტყვი-და-პ/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[56] თვალსაზრისი. (2020). ლადო ბოჟაძე: „ნაცმოძრაობის ბულინგს და ზეწოლას ისნის საოლქოს თავმჯდომარე ემსხვერპლა". მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/ლადო-ბოჟაძე-ნაცმოძრაობ/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[57] საქართველო და მსოფლიო (2020). ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ! მოძიებულია: http://ge-world.ge/ge/ყველაფერში-დამნაშავე-შენ/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[58] ბესო ბარბაქაძე. (2020). ხელისუფლებას დემოკრატია ლობიოს ჭამაში აერია. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ხელისუფლებას-დემოკრატია/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[59] სტალინი. (2020). არჩევნები გაყალბდა, მაგრამ ლიბერასტებს არ გაუყალბეს... მოძიებულია: https://www.facebook.com/1510968955872507/photos/a.1510978569204879/2458521937783866/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[60] ჯაბა ჟვანია. (2020). ნანა კაკაბაძე: დარწმუნებული ვარ, შემდეგ არჩევნებამდე არაერთ ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კანონს მიიღებენ. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ნანა-კაკაბაძედარწმუნებუ ბოლო ნახვა: 05.25.2021

[61] ბესო ბარბაქაძე. (2020). ცოცხის სინდრომი და არჩევნების დასავლური ლეგიტიმაცია. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ცოცხის-სინდრომი-და-არჩევ/ ბოლო ნახვა: 05.25.2021

პრორუსული დეზინფორმაცია და რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა

საქართველოში პრორუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მთავარ ამოცანას ქვეყნის დეკლალირებული დასავლური კურსის შესუსტება, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ამ კურსის ცვლილება და რუსეთის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად კრემლი აქტიურად იყენებს მის ჰიბრიდული არსენალში არსებულ ყველა ინსტრუმენტს და ამ პროცესში თავისი დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი როლი დეზინფორმაციასა და პროპაგანდას უკავია.

მონიტორინგის ფარგლებში, პრორუსული გამოცემებისა და Facebook გვერდების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდის ათეულობით შემთხვევა დაფიქსირდა. ისინი ყურადღებას კვლავ საქართველოს მიერ რუსეთთან ურთიერთობების განახლების მნიშვნელობაზე, საქართველოს კონტექსტში დასავლეთთან მიმართებით რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ უპირატესობებსა და რუსებისა და ქართველების ერთმანეთისადმი კეთილგანწყობაზე ამახვილებდნენ. რუსული ოკუპაციის ნიველირება და მოსკოვის საქართველოს დასავლელ პარტნიორებთან გათანაბრება პრორუსული პროპაგანდის კიდევ ერთი მიმართულება იყო.

წინასაარჩევნო პერიოდში, რუსული პროპაგანდის ტრადიციულ თემებს შორის, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის ნარატივს ანტიდასავლური და პრორუსული გამოცემები განსაკუთრებით ადვოკატირებდნენ, რითაც, ერთგვარად, საზოგადოებრივი მხარდაჭერის პრორსუსული ან რუსეთისადმი ნაკლებად მტრულად განწყობილი პარტიების მიმართ მობილიზებას ცდილობდნენ. მათი მტკიცებით, უგუნურება იქნება, რომ საქართველომ რუსეთთან დიალოგი არ დაიწყოს, რადგან „საქართველოს ყველა პრობლემის გასაღები რუსეთშია“ და „რუსეთის გარეშე აფხაზეთთან და ოსეთთან არანაირი ურთიერთობა არ გამოვა[168]“. თავის მხრივ, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ ქართული მხარე მოლაპარაკებების დაწყებისკენ მიმართულ ნაბიჯს დასავლეთიდან მიღებული ინსტრუქციების გამო ვერ დგამს. „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის“ წევრის, გიორგი შერვაშიძის მიერ გაზეთ საქართველო და მსოფლიოსთვის“ 19 აგვისტოს მიცემულ ინტერვიუში ვკითხულობთ, რომ „დასავლეთის, და, უწინარესად, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში არ არის ის, რომ საქართველომ კონფლიქტები მშვიდობიანად მოაგვაროს, რადგან ეს თავისთავად გამოიწვევს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას[169]“. სწორედ ამიტომ, რუსული პროპაგანდის ადგილობრივი გამტარებლების მიხედვით, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტი, რომელიც მოსკოვთან[170] შეთანხმებით განხორციელდა, სავსებით პოზიტიური[171] მოვლენა[172] იყო. აღნიშნული ნარატივის მხარდასაჭერად, პრორუსული ძალები IRI-ის მიერ ჩატარებული კვლევის იმ ნაწილს იხმობენ, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 75% რუსეთთან დიალოგის მომხრეა[173] (სინამდვილეში მოსახლეობა დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობის პარალელურად რუსეთთან ზომიერი დიალოგის მომხრეა და

არა პრორუსული აქტორების მიერ შემოთავაზებული კაპიტულანტური, ასიმეტრიული დიალოგის). იმავე კვლევით, მოსახლეობის 78% NATO-ში გაწევრიანებას უჭერს[174] მხარს, რასაც კრემლის აპოლოგეტები არ ეთანხმებიან). გარდა ამისა, პრორუსული გამოცემები აქცენტს რუსეთის სამხედრო[175] და ეკონომიკურ[176] სიძლიერეზეც აკეთებდნენ, რაც, მათი თქმით, თბილისის მიერ მოსკოვთან ურთიერთობების ხელახლა დამყარების აუცილებლობაზე მეტყველებს. ამავე ნარატივის მიხედვით, მიუხედავად დაპირისპირებისა და უთანხმოებებისა, პანდემიის პერიოდში, საქართველოს „მაშველი რგოლი[177]“ ისევ რუსეთმა გადმოუგდო. არგუმენტად კი ქართული პროდუქტის რუსეთში ექსპორტი მოჰყავდათ: „მოსავლის 90%-ზე მეტი სწორედ რუსეთში გადის და იქ იყიდება“, და ზოგადად, „საქართველო რუსეთის ხარჯზე[178] ცხოვრობს“ - აცხადებდნენ „საქართველო და მსოფლიო“ და „საქინფორმი“.

მონიტორინგის პერიოდში, პრორუსული გამოცემები რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის უგულებელყოფისკენ ძალისხმევის მიმართვას კვლავ აგრძელებდნენ. პრორუსული ორგანიზაცია „ევრაზიული ინსტიტუტის“ დამფუძნებლის, გულბაათ რცხილაძის მიხედვით, „რუსეთთან ურთიერთობების არევაში დანაშაულის დაახლოებით 70% ჩვენი წილია[179]“. აღნიშნული ნარატივის ერთ-ერთ მაგალითს რუსეთის დუმის დეპუტატის, სერგეი გავრილოვის მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის დაკავებით გამოწვეული საპროტესტო ტალღის იმგვარი შეფასება წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, „ოპოზიციის პროვოკაცია გავრილოვის ღამეს არა ანტირუსული, არამედ ანტიქართული“ იყო, რადგან საბოლოო ჯამში, სწორედ საქართველოს მოქალაქეები დაზარალდნენ[180]. პრორუსული გამოცემები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად ქართველი ხალხისადმი რუსეთის ხელისუფლების „კეთილგანწყობისა“, „[კრემლი] ვალდებულია, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები და მოსახლეობა საფრთხეებისგან დაიცვას“. ამ პროპაგანდისტული ნარატივის მიხედვით, „რუსეთი იძულებული გახდა, [საქართველოს ოკუპაციით] დაეცვა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელსაც დასავლური აგრესიული წრეების მარიონეტად ქცეული საქართველო ჯიუტად არ ითვალისწინებდა[181]“. რუსული პროპაგანდის ადგილობრივი გამტარებლები ამტკიცებდნენ, რომ ეს შესანიშნავად ესმის რუსეთისადმი სიმპათიით განწყობილი ქართველი ხალხის[182] დიდ ნაწილს, რომელზეც „რუსოფობიური“ განწყობების თავსმოხვევა ხელოვნურად[183] ხდება. ამას გარდა, რუსული პროპაგანდა იმასაც ქადაგებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობაში პრობლემა საკუთრივ საქართველოშია[184], რადგან „[ქართულმა მხარემ] 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ყველა სიტყვიერი, წერილობითი და ხელშეკრულების ფორმით არსებული შეთახმება დაარღვია“, ხოლო „გადაჭარბებული ნაციონალიზმით, შოვინიზმით და არათანმიმდევრულობით წლობით ნაშენები ურთიერთობები და საათივით აწყობილი ცხოვრება დაანგრია“. პრორუსული სენტიმენტებით გამორჩეული პროფესორი თამარ კიკნაძე უფრო შორსაც წავიდა და ამტკიცებდა, რომ 2008 წლის ომი საქართველოს ხელისუფლებამ იმისთვის გააჩაღა, რომ ლიბერალური დასავლეთისთვის რუსეთის წინააღმდეგ კიდევ ერთი „კოზირი“ მიეცათ საერთაშორისო არენაზე.

მონიტორინგის ფარგლებში პრორუსული მედიის მიერ დასავლეთის გლობალურ აგრესორად, ხოლო რუსეთის თავდაცვითი პოზიციიდან მოქმედ აქტორად გაშუქება წინა საარჩევნო პერიოდშიც გამოიკვეთა. მაგალითად, „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, რომ 2008 წლის აგვისტოში აშშ-

მა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყება უბრძანა[185], რასაც რუსეთმა პასუხი გასცა და შედეგები თბილისისთვის სავალალო აღმოჩნდა. „ნიუსფრონტის“ მიხედვით, კი რუსი ოპოზიციონერი, ალექსეი ნავალნი არა კრემლის, არამედ დასავლეთის მიერ იქნა მოწამლული[186], რათა რუსეთში პოლიტიკური დაძაბულობა, ან, უკეთეს შემთხვევაში, არეულობა და რევოლუცია მოეწყოთ. „საქართველო და მსოფლიო“ კი წერდა, რომ ამერიკის მიერ საქართველოსადმი გაცემული დავალება რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან პროვოკაციების[187] მოწყობაა და ეს იმის ფონზე როდესაც „საქართველოს ეკონომიკაში რუსული კაპიტალის წილი ყველა ქვეყნისას (ერთად აღებულს) აჭარბებს“. აქედან გამომდინარე, პრორუსული აქტორები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი ისეთ მტრულ გარემოცვაში არასდროს მოქცეულა, როგორშიც ის ახლაა და ამიტომ, მოსკოვი იძულებულია შესაბამისი საპასუხო ზომები მიიღოს[188].

მსგავსი პროპაგანდისტული ნარატივების პარალელურად, პრორუსული მედია კრემლს კვლავაც ტრადიციული ღირებულებების დამცველ ძალად წარმოაჩენს, რის გამოც, მათი მოსაზრებით, მოსკოვთან ურთიერთობების ნორმალიზება საქართველოსთვის პრიორიტეტი უნდა გამხდარიყო. კერძოდ, „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, „მსოფლიო საზოგადოებრიობა მიხვდა, რომ ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების ერთადერთი ძლიერი დამცველი დედამიწის 1/6-ზე გადაჭიმული რუსეთი და მისი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია და ამიტომაც ეიმედება[189] მისი უბრალო ხალხს.“ ნარატივის მიხედვით, იმის ფონზე, როდესაც ევროპას მიგრანტების ახალ-ახალი ტალღები უტევს და ადგილობრივ მოსახლეობას რაოდენობით, მალე აფრიკელი და აზიელი იმიგრანტები გადაუსწრებენ, „რუსეთის პრეზიდენტი პრევენციულ[190] ზომებს იღებს: მას სურს, გარშემო მყოფი ქვეყნებიდან მიიზიდოს კულტურულად და მენტალურად, აგრეთვე, როგორც ქართველების შემთხვევაშია, რელიგიურად ახლობელი ხალხების წარმომადგენლები და შეუქმნას იმაზე უკეთესი პირობები, ვიდრე ამერიკასა და ევროპაშია“. იმავე სტატიაში, „ევრაზიული კავშირის“ დირექტორი გულბაათ რცხილაძე აცხადებს, რომ „საქართველო აღარ არის დსთ–ის წევრი ქვეყანა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის პრეზიდენტს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ქართველების მიმართ“ და შესაბამისად, ის აუცილებლად მისცემს ქართველებს რუსეთში ლეგალურად დასაქმების საშუალებას.

ამ ყველაფერთან ერთად კი, რუსული პროპაგანდა წინასაარჩევნო პერიოდში საბჭოთა კავშირის გაიდეალებასა და ნოსტალგიის გაღვივებას განაგრძობდა. ნარატივის მიხედვით, საბჭოთა პერიოდში „საქართველო ყვაოდა[191]“, „გენიალური[192]“ ლიდერი, სტალინი, რომელმაც „მსოფლიო დააჩოქა[193]“, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დიდი ქომაგი[194] იყო, ხოლო საკუთრივ საბჭოთა კავშირი „დედამიწის ერთ დიდ ნაწილში ექსპლუატაციისგან მშრომელთა განთავისუფლების[195] შედეგად შექმნილ ერთობას“ წარმოადგენდა. პრორუსული გამოცემების მიერ გავრცელებული გზავნილების მიხედვით, საბჭოთა კავშირში ლატვია ცხოვრების დონით „მეორე ადგილზე იყო“, ხოლო დღეს „ევროპაში ბოლოდან მეორე ადგილზეა“. ამასთან, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს, „200 წლის განმავლობაში, ქართველი პირველობას არავის უთმობდა[196]“. პრორუსული გამოცემები საბჭოთა კავშირის დანგრევას უარყოფით მოვლენად წარმოაჩენდნენ, რადგან მას უკანსვლა სხვადასხვა მიმართულებით მოჰყვა. მათი მტკიცებით, საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად, „დავანგრიეთ განათლების სისტემა, რომელიც უძლიერესი იყო მსოფლიოში და რომელმაც მსოფლიო

მნიშვნელობის არაერთი ქართველი მეცნიერი თუ აკადემიკოსი აღზარდა[197]“, ხოლო „ავადსახსენებელი კომუნიზმის დროს ხალხი მატერიალურად უკეთ ცხოვრობდა[198]“.

რაც შეეხება უახლეს მოვლენებს, საგულისხმოა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა ჟურნალისტ თინა კანდელაკთან ინტერვიუში[199] განაცხადა, რომ საქარველოში რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მომხრე პატარა პარტიები არსებობენ და ის დარწმუნებულია, რომ „გაიმარჯვებს ჩვენი [რუსეთისა და საქართველოს] ტრადიციული ისტორიული სიახლოვე და ურთიერთმიზიდულობა“. ლავროვის აღნიშნულ განცხადებას გამოხმაურება ადგილობრივ პრორუსულ გამოცემებშიც მოჰყვა, კერძოდ, „ნიუსფრონტის“ ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნულ ინტერვიუში საქართველოსთან მიმართებით „მიამიტობით და ცოტაოდენი აღტაცებით“ საუბრობდა[200], რაც იმაზე მიანიშნებს, რომ „რუსეთში ჯანსაღ ქართულ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობის მზადყოფნა არსებობს“. ამის გამო, სტატიის ავტორის, გულბაათ რცხილაძის მტკიცებით, 2008 წლის ომიდან დღემდე არსებულ „უნაყოფო, კონტრპროდუქტიულ“ საგარეო პოლიტიკურ ვექტორსა და რუსეთის ოკუპანტად მოხსენიებაზე უარი უნდა ითქვას, ხოლო მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასთან დაკავშირებით, „ფართომასშტაბიანი ასიმეტრიული მოლაპარაკებები“ დაიწყოს[201], რომლებზეც რუსეთის მხრიდან ხელისუფლების წევრები იქნებიან წარმოდგენილნი, საქართველოს მხრიდან კი, ლავროვის მიერ აღნიშნული პარტიებისა და „კეთილგანწყობილი ქართული საზოგადოების წარმომადგენლები“. აღსანიშნავია, რომ სოხუმთან და ცხინვალთან დიალოგი, საგამოძიებო ცენტრ „დოსიეს“ ანგარიშების მთავარი ობიექტის, „პატრიოტთა ალიანსის“ ოფიციალური საარჩევნო პროგრამის ნაწილია[202], რასაც პარტიაში „ჩატეხილი ხიდების აღდგენას“ უწოდებენ და დღემდე აქტიურად ლობირებენ.

„საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, ქართველები ზედმეტი სიმწვავით ეკიდებიან ყველაფერს რაც რუსეთთანაა დაკავშირებული, ამის მაგალითად კი გამოცემას საქართველოს დედაქალაქში „თბილისის დინამოსა“ და „მოსკოვის დინამოს“ შორის გამართული საფეხბურთო მატჩი მოჰყავს[203]. პრორუსული გამოცემის მიხედვით, ქართველ გულშემატკივარს შეხვედრაზე ფიზიკურად დასწრება იმისათვის უნდოდა, რომ რუსი ფეხბურთელებისთვის სიტყვერი შეურაცხყოფა მიეყენებინა, ხოლო ამის საპირისპიროდ, რუსი გულშემატკივარი „იმაზე წუწუნებდა, ფრენები რომ იყოს და სტადიონზე შესვლაც შეიძლებოდეს, საქართველოში წავიდოდით, თბილისს ვნახავდით, დავისვენებდით, ძველ მეგობრებს ჩავეხუტებოდითო“.

ისევე როგორც გასულ თვეებში, პრორუსული გამოცემები და პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ წინასაარჩევნო პერიოდშიც ავრცელებდა ნარატივს, რომლის მიხედვითაც, იმისათვის, რომ საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს და სხვა ქვეყნების სამხედრო პლაცდარმი არ გახდეს, ქვეყანამ სამხედრო მიუმხრობლობა, ან ნეიტრალიტეტი უნდა გამოაცხადოს[204]. პრორუსული გამოცემები კიდევ უფრო ინტენსიურად ავრცელებდნენ შედარებით რადიკალურ გზავნილს რუსეთთან მაქსიმალური დაახლოების შესახებ. მაგალითად, გამოცემა „ნიუსფრონტი“ ამტკიცებდა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის შემდგომი განვითარება არა ნეიტრალიტეტის გამოცხადების, არამედ მხოლოდ რუსეთთან დაახლოების და სამხედრო-სტრატეგიული კავშირის[205] შექმნის შემთხვევაშია შესაძლებელი. გავრცელებული გზავნილების

მიხედვით, „საქართველოს ერთიანობის გასაღები[206] მოსკოვში დევს“, რის გამოც „რუსეთთან მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს“ და „მოსკოვთან ულტიმატუმის ენით საუბარი უნდა დასრულდეს[207]“. ამ ნარატივის მიხედვით, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების ყველა მცდელობა უტოპია, თუ თავად რუსეთი არ გამოიჩენს კეთილ ნებას. ამ კეთილ ნებას კი საპასუხოდ ქართული მხარისგან შემხვედრი ნაბიჯები სჭირდება.

რუსეთთან „ასიმეტრიული მოლაპარაკებების“ დაწყების აუცილებლობას პრორუსული გამოცემები სხვადასხვა „არგუმენტის“ მოშველიებით ხსნიდნენ. პრორუსული პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატი ვიქტორ ცაავა, „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში ავითარებდა მოსაზრებას, რომ საქართველო არა მხოლოდ რუსეთის, არამედ რამდენიმე[208] ქვეყნის მიერ არის ოკუპირებული. მსგავსი გზავნილი რუსული ოკუპაციის ნიველირების მცდელობაა, რომელიც რუსეთსა და საქართველოს მოკავშირეებს ათანაბრებს. ცაავას მიხედვით, საქართველოს სხვადასხვა ოკუპანტ ქვეყანას შორის, რუსეთი ერთადერთია, რომელსაც პრობლემების გადაჭრა ძალუძს. „ჩვენი საზოგადოება ორად არის გახლეჩილი, თუმცა უდიდესი ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება არის ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთდერთი გზა“. ამის სადემონსტრაციოდ, რუსული პროპაგანდის ადგილობრივი გამტარებლები აქცენტს კრემლის სამხედრო-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და რუსეთის სუპერ სახელმწიფოდ წარმოჩენაზე აკეთებდნენ. მათი მტკიცებით, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მიმდინარე დაპირისპირებაში რუსეთის მოქმედებებმა ნათელი გახადა[209], თუ რა მასშტაბის გავლენას ახდენს მოსკოვი რეგიონზე. რუსეთის უძლეველობის ნარტივის ფარგლებში კვლავ გავრცელდა გზავნილები, რომ რუსეთს დასავლურმა სანქციებმა ვერაფერი დააკლო და სანქციების დაწესების შემდეგ კრემლი უფრო მეტად გაძლიერდა[210], რადგან ქვეყანაში ადგილობრივი წარმოება გაიზარდა. პრორუსული გამოცემების მიხედვით, ამის პარალელურად, რუსეთი საქართველოსთვის შეუცვლელ სავაჭრო პარტნიორად რჩება, ტურისტების დიდ ნაწილს რუსები წარმოადგენენ და შემოსავლის ძირითადი წყაროც რუსეთია, რის გამოც მოსკოვს შეუძლია ქართველებს შიმშილობა დააწყებინოს[211], რაც, ნარატივის მიხედვით, კრემლთან ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობას ცხადს ხდის.

რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობაზე საუბრისას, პრორუსული ჯგუფები დასავლეთს, ტრადიციულად, ამორალურ სივრცედ, ხოლო რუსეთს მორალურობის ბასტიონად წარმოაჩენდნენ. ამდენად, ანტიდასავლური გამოცემების მიხედვით, საქართველოს არჩევანის გაკეთება „ლიბერასტ, უღმერთო“ დასავლეთსა და „ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ“ რუსეთს შორის უწევს[212]. აღნიშნული გამოცემები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოსთვის უარყოფითი სტატუს-კვოს შესაცვლელად, თბილისს მოსკოვთან ერთი ერთზე კომუნიკაციისა და დაახლოების შესაძლებლობას სწორედ დასავლეთი არ აძლევს, რადგან რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირების შემთხვევაში, დასავლეთი საქართველოზე კონტროლს დაკარგავს[213]. რასაკვირველია, დასავლეთს ბრალდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებიც. ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია „საქართველო და მსოფლიოში“ ამტკიცებდა[214], რომ 2008 წლის ომი სააკაშვილმა აშშ-ის უშუალო დავალებით დაიწყო, რადგან ვაშინგტონს სურდა, რომ მოსკოვს უმკაცრესად ეპასუხა, რითიც ქართველებსა და რუსებს შორის ერთმანეთთან მისასველელი ხიდები

დაინგრეოდა. ნარატივის მიხედვით, „რუსეთი აიძულეს, გადაედგა ნაბიჯი, რომელიც კატასტროფული შედეგის მომტანია, როგორც საქართველოსთვის, ასევე რუსეთისთვისაც, მაგრამ მას სხვა გზა არ რჩებოდა. რუსეთმა გადაკვეთა წითელი ხაზი და ხელი მოაწერა საქართველოს დაშლის აქტს“.

გზავნილების ნაწილი მკითხველს სტალინის „სიდიადეს“ და მის საქართველოსთის გაკეთებულ კეთილ საქმეებს ახსენებდა. პრორუსული გამოცემების მტკიცებით, თავად სტალინი მორალური ფასეულობების[215] ერთგული იყო, ხოლო საბჭოთა კავშირის დასავლეთზე „უპირატესობას“ ამერიკელი დიპლომატის, ჰენრი კისინჯერის გაყალბებული ციტატის მეშვეობით ხსნიდნენ[216], რომლის მიხედვითაც, „საბჭოთა ადამიანი ჩვენზე [ამერიკელებზე] ერთი საფეხურით მაღლა იდგა“.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ პრორუსული და ანტიდასავლური წყაროების გზავნილები წინასაარჩევნო პერიოდში ფაქტობრივად თანხვედრაში მოდიოდა და ხშირად ზედმიწევნით იმეორებდა პრორუსული პოლიტიკური ჯგუფების გზავნილებს. აღსანიშნავია, რომ რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გამავრცელებელი მედიების წარმომადგენლები საარჩევნო პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებში წევრიანდებიან და ხოლმე და უკვე პოლიტიკური ტრიბუნიდან ცდილობენ საზოგადოებისთვის რუსული პროპაგანდის თავს მოხვევას. ამ პრაქტიკას კარგად იყენებდა „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებული პრორუსული ტელევიზია „ობიექტივი“. არჩევნების შემდეგ კი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და სწრაფად მზარდი ულტრა-მემარჯვენე და პრორუსული მედია ჯგუფი, ალტ-ინფო (რომლის არაავთენტური ქსელი Facebook-მა საკუთარი პლატფორმიდან არაერთხელ წაშალა) რუსული სენტიმენტებით გამორჩეული ქართველი ბიზნესმენის - ლევან ვასაძის ახლად შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას შეუერთდა და მისი მედია მხარდამჭერიც გახდა[217].

წყაროები:

[168] ეკა ნასყოდაშვილი, „თამარ კიკნაძე: საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ რუსეთის გარეშე აფხაზებსა და ოსებთან არანაირი ურთიერთობა არ გამოვა“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/თამარ-კიკნაძე-საქართველ-2/

[169] ჯაბა ჟვანია, „გიორგი შერვაშიძე: დიალოგი თუ არ გაიმართება, გამოდის, რომ ქართულ მხარეს არ სურს ურთიერთობა აფხაზურ მხარესთან, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/გიორგი-შერვაშიძე-დიალოგ/

[170] „საქართველოს გუშაგი“-ს ნიუსლეთერის მე-10 გამოცემა

[171] ირა გოგოსაშვილი, „ირმა ინაშვილი აფხაზეთშია! მიზანი? დიალოგის დაწყება!“, თალსაზრისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/ირა-გოგოსაშვილი-ირმა-ინა/

[172] თვალსაზრისი: „რამაზ გაგნიძე: მივესალმები აფხაზებთან დიალოგის დაწყებას და სოლიდარობას ვუცხადებ ირმა ინაშვილს!“, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/რამაზ-გაგნიძე-მივესალმე/

[173] საქინფორმი, „რატომ ალაპარაკდნენ ამერიკელები და საქინფორმის მთავარ რედაქტორს არნო ხიდირბეგიშვილს მხარი დაუჭირეს?“, 2020, ხელმისაწვდომია: http://saqin-form.ge/news/47549/ratom+alaparakdnen+amerikelebi+da+saqinformis+mTavar+redaq-tors+arno+xidirbegishvils+mxari+dauWires%3F+.html

[174] მიხეილ გვამაბია, „უმრავლესობას ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორად აშშ მიაჩნია, ყველაზე დიდ საფრთხედ – რუსეთი: IRI“, ნეტგაზეთი, 2020, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/474287/

[175] ირაკლი ჯანყარაშვილი, „ევროპისთვის მთავარ საფრთხეს რუსული საზღვაო ფლოტი განსაკუთრებით კი წყალქვეშა ნავები წარმოადგენს“, თვალსაზრისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/ევროპისთვის/მთავარ-საფრთ/

[176] საქართველო და მსოფლიო, „“დაწყევლილი პერსპექტივა” თუ ახალი მსოფლიოს მშენებლობის წინადღე“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/დაწყევლილი-პერსპექტივა/

[177] ბესო ბარბაქაძე, „ხელისუფლების გაუკუღმართებული ლოგიკა: რუსეთთან ვაჭრობა და ფულის კეთება გვინდა, მოლაპარაკებები და დიალოგი – არა“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ხელისუფლების-გაუკუღმართ/

[178] საქინფორმი, „არნო ხიდირბეგიშვილი: თურქულმა ფაქტორმა აშშ-ს აღიარებინა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთისკენ მიისწრაფვის“, 2020, ხელმისაწვდომია: http://saqinform.ge/news/47579/arno+xidirbegishvili:+Turqulma+faqtorma+ashsh-s+aRiare-bina,+rom+saqarTvelos+mosaxleobis+umravlesoba+ruseTisken+miiswrafvis.html

[179] ნიუსფრონტი, „რუსეთთან ურთიერთობების არევაში დანაშაულის დაახლოებით 70% ჩვენი წილია, 30% – რუსების (და სხვების)- გულბაათ რცხილაძე“, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/09/18/ruseththan-urthierthobebis-arevashi-danashaulis-daakhloebith-70-chveni-tsilia-30-rusebis-da-skhvebis-gulbaath-rtskhiladze/

[180] არნო ხიდირბეგიშვილი, „საქართველოში არასდროს ყოფილა იმდენი რუსეთი, რამდენიც სააკაშვილის დროს!“, საქინფორმი, 2020, ხელმისაწვდომია: http://saqin-form.ge/news/47984/arno+xidirbegishvili:+saqarTveloshi+arasdros+yofila+imdeni+ruseTi,+ram-denic+saakashvilis+dros!.html

[181] ზაზა დავითაია, „რუსეთს თუ დაველაპარაკებით, ჯერ კიდევ შესაძლებელია, ისეთი ფორმაციის შექმნა, რომელიც საქართველოს გააერთიანებს – ვლადიმერ ხომერიკი“, თვალსაზრისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/რუსეთს-თუ-დაველაპარაკები/

[182] საქინფორმი, „რატომ ალაპარაკდნენ ამერიკელები და საქინფორმის მთავარ რედაქტორს არნო ხიდირბეგიშვილს მხარი დაუჭირეს?“, 2020, ხელმისაწვდომია: http://saqin-form.ge/news/47549/ratom+alaparakdnen+amerikelebi+da+saqinformis+mTavar+redaq-tors+arno+xidirbegishvils+mxari+dauWires%3F+.html

[183] ირაკლი ჯანყარაშვილი, „ახალგაზრდა თაობის ყველა წარმომადგენელი როდი გახლავთ იდიოტი რუსოფობი!“, თვალსაზრისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/ახალგაზრდა-ტაობის-ყველა/

[184] ნიუსფრონტი, „რუსოფობებო, ქართველო მედროვეებო, ჩვენში ხომ არაა პრობლემა რამე რუსეთთან ურთიერთობაში“, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/08/06/ruso-phobebo-qarthvelo-medroveebo-chvenshi-khom-araa-problema-rame-rusethhan-urthierthobashi/

[185] ეკა ნასყიდაშვილი, „გულბაათ რცხილაძე: ახალ ხელისუფლებას, რომელიც ხალხის დიდი ნდობით სარგებლობდა, საჯაროდ უნდა ეთქვა, რომ 2008 წლის ომი სააკაშვილმა დაიწყო და ჩაიდინა დანაშაული“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://ge-world.ge/ge/გულბაათ-რცხილაძე-ახალ-ხე/

[186] ნიუსფრონტი, „თუ ვარაუდობენ, რომ ნავალნი მოწამლულია, რატომ რუსულმა და არა დასავლურმა სპეცსამსახურებმა გააკეთეს ეს, პროვოკაციის, არეულობის და დაძაბულობის მიზნით?!-რევაზ კილასონია“, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/08/22/thu-na-valni-motsmlulia-ratom-rusulma-da-ara-dasavlurma-spetssamsakhurebma-gaakethes-provokatsiis-areulobis-da-dadzabulobis-miznith-revaz-kilasonia/

[187] ომარ მარგველაშვილი, „შეშლილი ამერიკა“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/შეშლილი-ამერიკა/

[188] არმაზ სანებლიძე, „პრობლემა, რომელიც რუსეთსაც აწუხებს და საქართველოსაც“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/პრობლემა-რომელიც-რუსეთს/

[189] დავით მხეიძე, „ვის და რატომ უყვარს ან პირიქით _ სძულს რუსეთის პრეზიდენტი და ვის და რატომ ეშინია “პუტინის რუსეთის”, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://ge-world.ge/ge/ვის-და-რატომ-უყვარს-ან-პირ/

[190] ეკა ნასყიდაშვილი, „საზოგადოებრივ აქტივისტთა ჯგუფმა წინადადება წამოაყენა, ქართველებს მიეცეთ რუსეთში ლეგალურად დასაქმების საშუალება. ამ წინადადებას რუსეთში ოფიციალურად განიხილავენ“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://ge-world.ge/ge/საზოგადოებრივ/აქტივისთ/

[191] თვალსაზრისი, „საჭოთა პერიოდში საქართველო ყვაოდა – ნიკოლოზ მჟავანაძე ციფრებს იმოწმებს, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/საბჭოთა-პერიოდში-საქართვე/

[192] ნიუსფრონტი, „მტრების ჯიბრზე! ზესტაფონში გენიალური სტალინის ძეგლი ამაყად დგას, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/07/28/mtrebis-jibrze-zestaphonshi-genialuri-stalinis-dzegli-amaqhad-dgas/

[193] ნიუსფრონტი, „ა კაცი, მსოფლიო დააჩოქა, ერთადერთი, რომლის შემოსვლაზე რუზველტი და ჩერჩილი ფეხზე დგებოდნენ- ლალი კიკნაველიძე“, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/08/07/a-katsi-msophlio-daachoqa-erthaderthi-romlis-shemosvlaze-ruzvelti-da-cherchili-phekhze-dgebodnen-lali-kiknavelidze/?fbclid=IwAR22GcxRTPW87usF-5Rt2jt6I28jnYfHe-6G_rDz_83eMQ6cTRi-ssTEy-8

[194] გრიგოლ ონიანი, „როგორ “დევნიდა” სტალინი მეცნიერებასა და კულტურას“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/როგორ-დევნიდა-სტალინი/

[195] ვალერი კვარაცხელია, „“ოქროს კვეთა”, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ოქროს-კვეთა-15/

[196] დავით მხეიძე, „კიდევ ერთხელ და, მგონი, უკანასკნელად _ ლიბერასტი უღმერთო დასავლეთი თუ ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/კიდევ-ერთხელ-და-მგონი-უკანა/

[197] ბესო ბარბაქაძე, „სამარცხვინო ანომალია“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/სამარცხვინო-ანომალია/

[198] ბესო ბარბაქაძე, „როგორ და რატომ დაგვემატა ერთ თვეში 2 მლრდ ლარის ვალი“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/როგორ-და-რატომ-დაგვემატა/

[199] სიმონ კილაძე, „"არასდროს არაფერი გვქონია განზრახული ქართველი ხალხის წინააღმდეგ" - რა განაცხადა ლავროვმა საქართველოზე, ბელარუსზე და ნავალნიზე კანდელაკთან ინტერვიუში“, კვირის პალიტრა, 2020, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/69038-qarasdros-araferi-gvqonia-ganzrakhuli-qarthveli-khalkhis-tsinaaghmdegq-ra-ganackhada-lavrovma-saqarthveloze-belarusze-da-navalnize-kandelakthan-interviushi/

[200] ნიუსფრონტი, „სერგეი ლავროვი: “ქართველი ხალხი ბრძენია, ქართველებს უყვართ სიცოცხლე, ჩვენს შორის ბევრი თანხვედრაა!”, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/09/17/sergei-lavrovi-qarthveli-khalkhi-brdzenia-qarthvelebs-uqhvarth-sitsotskhle-chvens-shoris-bevri-thankhvedraa/?fbclid=IwAR152xezhmoCNja9ZXprwZi1eA-SxtwmiovBOpdARVN37hk4fuV0NQHhdbE

[201] ნიუსფრონტი, „რუსეთიდან კვლავ გვთავაზობენ ურთიერთობის ნორმალიზებას, ჩვენ კი ველოდებით დასავლეთიდან მორიგი ინსტრუქციების მიღებას!... მოტყუებული საქართველოს გარდა ყველას კარგი დამოკიდებულება აქვს რუსეთთან!- ნონა შარაბიძე“, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/09/21/rusethidan-kvlav-gvthavazoben-urthierthobis-normalizebas-chven-ki-velodebith-dasavlethidan-morigi-instruqtsiebis-mighebas-motqhuebuli-saqarthvelos-garda-qhvelas-kargi-damokidebuleba-aqvs-ruseththa/?fbclid=IwAR0nC_vzo3FCT0t8oKoUiU4izo6d5DfvjYqYkhXiPvyQRaOdrlgVV7TrPE4

[202] ლუკა პერტაია, „რას ჰპირდება ამომრჩველს „პატრიოტთა ალიანსი“ | არჩევნები 2020“, ნეტგაზეთი, 2020, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/493178/

[203] ბესო ბარბაქაძე, „სამარცხვინო ანომალია“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/სამარცხვინო-ანომალია/

[204] ირაკლი ჯანყარაშვილი, „შემდეგ იყო არაღიარების პოლიტიკა, რომელიც გადაიფარა ნატოს კარის ძებნის და “მაპის” მოპოვების გაუთავებელ მცდელობებში“, თვალსაზრისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/შემდეგ-იყო-არაღიარების-პ/

[205] ნიუსფრონტი, „საქართველოს გამთლიანება და მშვიდობიანი განვითარება, მხოლოდ რუსეთთან სტრატეგიულ, მათ შორის სამხედრო კავშირშია- ვასო კოტაშვილი, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/09/01/saqarthvelos-gamthlianeba-da-mshvidobiani-ganvithareba-mkholod-ruseththa-strategiul-math-shoris-samkhedro-kavshirshia-vaso-kotashvili/

[206] ნიუსფრონტი, „სოროსელი ჭინკა თალაკვაძე ანტიქართულ პროვოკაციას განაგრძობს – ქოცმონებო, გონს მოდით!“, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/09/19/soroseli-tchinka-thalakvadze-antiqarthul-provokatsias-ganagrdzobs-qotsmonebo-gons-modith/

[207] დავით მხეიძე, „“გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!”, “კოკოითი, ფანდარასტ!” და… მსოფლიო დიდი ომის მოლოდინში“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://ge-world.ge/ge/გამარჯობა-აფხაზეთო-შენ/

[208] ეკა ნასყიდაშვილი, „ვიქტორ ცაავა: საქართველო ორი, სამი თუ მეტი ქვეყნის მიერაა ოკუპირებული და ეს სიმართლეა, სიმართლე, რომელზეც არავინ არ საუბრობს. საქართველო კოლონიაა“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ვიქტორ-ცაავა-საქართველო/

[209] ბესო ბარბაქაძე, „აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოლაპარაკების გამართვამ დაგვანახვა, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია“, საქართველოდ და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/აზერბაიჯანსა-და-სომხეთს/

[210] ბესო ბარბაქაძე, „არ ვიცით, რა გვინდა, არ ვიცით, საით მივდივართ“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/არ-ვიცით-რა-გვინდა-არ-ვიცი/

[211] ბესო ბარბაქაძე, „ჰონკონგის 100 კგ ვაშლი “ჩხრიალებს”, რუსეთის 466 ტონა _ არა?“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ჰონგკონგი-100-კგ-ვაშლი-ჩხრი/

[212] დავით მხეიძე, „კიდევ ერთხელ და, მგონი, უკანასკნელად _ ლიბერასტი უღმერთო დასავლეთი თუ ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/კიდევ-ერთხელ-და-მგონი-უკა/

[213] ბესო ბარბაქაძე, „რატომ გვაძალებს დასავლეთი კოალიციური მთავრობის შექმნას და რატომ გვიკრძალავს რუსეთთან ერთი ერთზე ლაპარაკს“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/რატომ-გვაძალებს-დასავლეთ/

[214] ვალერი კვარაცხელია, “ოქროს კვეთა”, საქართველო და მსოფლიო, ხელმისაწვდომია: http://ge-world.ge/ge/ოქროს-კვეთა-19/

[215] გრიგოლ ონიანი, „სტალინი, ტრადიციები და ოჯახი“. საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/სტალინი-ტრადიციები-და-ოჯ/

[216] მითების დეტექტორი, „ეკუთვნის თუ არა კისინჯერს სიტყვები: “ჩვენ გვქონდა მხოლოდ სექსი, მათ კი (საბჭოთა ადამიანებს) ჰქონდათ სიყვარული", 2020, ხელმისაწვდომია: https://www.mythdetector.ge/ka/myth/ekutvnis-tu-ara-kisinjers-sitqvebi-chven-gvkonda-mkholod-seksi-mat-ki-sabchota-adamianebs

[217] ნინო ჩიჩუა, „ლევან ვასაძე პოლიტიკაში მოდის“, ნეტგაზეთი, 2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/540265/

NATO-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია და პროპაგანდა

მოცემულ თავში განხილული იქნება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში NATO-ს საწინააღმდეგოდ გავრცელებული დეზინფორმაცია და პროპაგანდა. საქართველოში პრორუსული პროპაგანდის მთავარი სტრატეგიული მიმართულება სწორედ NATO-ს დისკრედიტაციაა.

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ ამოცანას ჩრდილოატლანტიკური ალიანსში (NATO) გაწევრიანება წარმოადგენს. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ი) მიხედვით[82], საქართველოს მთავარ გამოწვევას რუსული ოკუპაცია წარმოადგენს[83]. ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედის ოკუპაციის პარალელურად რუსეთი უკანონო ბორდერიზაციასაც ახორციელებს. ამასთან, სუს-ის ანგარიშში ოკუპირებულ ტერიტორიების მილიტარიზაცია და სამხედრო წვრთნების ჩატარება ერთ-ერთ მთავარ საფრთხედაა მიჩნეული. რუსეთისგან მომდინარე უსაფრთხოების გამოწვევასთან გასამკლავებლად საქართველოს არჩევანი NATO-ში გაწევრიანებაა. დასახელებული მიზანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონსტიტუციის[84] 78-ე მუხლი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას შეეხება, სადაც აღნიშნულია, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ასევე ევროკავშირში) „სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“ „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში“ ყველა ზომა უნდა მიიღონ. მეორე მხრივ, საქართველოსთან მიმართებით რუსეთის სტრატეგიული ამოცანაა, რომ საქართველო NATO-ს წევრი არ გახდეს. მაგალითად, 2008 წლის NATO-ს ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში გაკეთებულ ჩანაწერს, რომ საქართველო (და უკრაინა) NATO-ს წევრი გახდებოდა, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრა, აგვისტოს ომი, ტერიტორიების ოკუპაცია და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) დამოუკიდებლობის აღიარება მოჰყვა. ამ ყოველივეს ერთ-ერთი მიზანი სწორედ NATO-ში გაწევრიანებისკენ სწრაფვისთვის საქართველოს დასჯა და ტერიტორიების ოკუპირების საშუალებით საქართველოს NATO-ში გაწევრების პროცესის შეფერხება/შეჩერება იყო. მიუხედავად ამისა, 2008 წლის შემდეგ საქართველომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობები კიდევ უფრო გააღრმავა და ინტეგრაციის პროცესი განაგრძო. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის განწყობა საქართველოს NATO-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებით საკმაოდ დადებითი იყო - 2008 წელს პლებისციტზე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებას ამომრჩეველთა 77%-მა დაუჭირა მხარი.[85] მას შემდეგ NATO-ში ინტეგრაციას მხარდაჭერა კვლავ მაღალია, რასაც საზოგადოებრივი აზრის კვლევები ადასტურებს. მაგალითად, NDI-ს გამოკითხვების[86] მიხედვით, არჩევნებამდე ჩატარებული ბოლო გამოკითხვით (სატელეფონო) „საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს NATO-ს წევრი“ მისაღები 69%-სთვის იყო (მიუღებელი - 19%-სთვის), ხოლო არჩევნებამდე ჩატარებული ბოლო პირისპირ გამოკითხვით 74%-სთვის (მიუღებელი -

14%-სთვის), ხოლო არჩევნებამდე ჩატარებული IRI-ს გამოკითხვის მიხედვით[87], NATO-ში საქართველოს გაწევრიანებას სრულად ან ნაწილობრივ 78% უჭერდა. შესაბამისად, მიზნის განსახორციელებლად, რომ საქართველო NATO-ს წევრი არ გახდეს, რუსეთის ინტერესი საქართველოს მოსახლეობაში NATO-ს საწინააღმდეგო განწყობების გაღვივებაა.

მოცემული მხარდაჭერის შესამცირებლად და საქართველოს NATO-სთან ინტეგრაციის შესაფერხებლად რუსეთი საქართველოში NATO-ს საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევა. რასაკვირველია, აღნიშნული შინაარსის პროპაგანდისტული კამპანია საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე უკანასკნელი სამი თვის პერიოდშიც გამოვლინდა.

პრორუსული პროპაგანდის NATO-ს საწინააღმდეგო ერთ-ერთი მთავარი ნარატივის თანახმად, NATO-სთან თანამშრომლობის შემთხვევაში საქართველო რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებამდე მივა. მაგალითად, პრორუსული ვებგვერდი „პატრიოტი TV“ ამტკიცებდა[88], რომ NATO-ს ეგიდით საქართველოში სამხედრო წვრთნები ტარდება, რათა საქართველო სამხედრო პოლიგონად გადააქციონ, რისი საბოლოო მიზანიც საქართველოს დამორჩილებაა. ხოლო კრემლის პროპაგანდის ერთ-ერთი წყარო, „ნიუსფრონტი“ წერდა[89], რომ რუსეთის გაღიზიანება საქართველომ ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაიწყო, როდესაც ქვეყანამ NATO-ში ინტეგრაციის კურსი აირჩია, რამაც ქვეყანა დააზარალა. ხოლო შემდეგ, „ნიუსფრონტის“ აზრით, აშშ-ის წაქეზებულმა სააკაშვილმა რუსეთთან პროვოკაცია და ომი დაიწყო. „ნიუსფრონტი“ ამტკიცებდა, რომ NATO-ში ინტეგრაციისადმი სწრაფვის პოლიტიკა დღემდე უშედეგოდ გრძელდება, რაც ქვეყანას ვერც შველის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსსაც არ აძლევს. შესაბამისად, გარდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის რუსეთთან პროვოკაციად განხილვისა, მოცემულ სტატიაში „ნიუსფრონტი“ რუსული პროპაგანდის კიდევ ორ მესიჯს ავრცელებდა:

1. საქართველო NATO-ში ვერ წევრიანდება, რადგან მას ალიანსი დიდი ხანია არ იღებს და არც მომავალში მიიღებს მის რიგებში. ასევე, მაგალითად, „საქართველო და მსოფლიოს“ NATO-ში გაწევრიანებისკენ მიმართული საგარეო პოლიტიკა შეცდომად მიაჩნია[90], რადგან ალიანსში არ მიგვიღებენ. გაზეთის თანახმად, NATO საქართველოს გაწევრიანებას სხვადასხვა კრიტერიუმის წაყენების მეთოდით აჩერებს და 1994 წლიდან საქართველოს მიმართ მხოლოდ ცრუ დაპირებებს გასცემს.[91] ხოლო კიდევ ერთი ვებგვერდი - TVM.ge წერს[92], რომ მიუხედავად დასავლეთის განცხადებებისა, რომ საქართველოს NATO-ში არ მიიღებენ, ხელისუფლება მაინც არჩეულ საგარეო პოლიტიკურ კურსს აგრძელებს. მსგავს ნარატივს ავრცელებდა „ალტ-ინფოც“, რომლის მიხედვითაც, ტერიტორიული კონფლიქტების გამო NATO საქართველოს არ მიიღებს, ხოლო გაწევრიანების დღის წესრიგში რეალურად დაყენების შემთხვევაში რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მორიგ სამხედრო აგრესიას განახორციელებს.
2. NATO-ში ინტეგრაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში არათუ ეხმარება, არამედ ხელს უშლის. ამავე ნარატივს იმეორებს „საქართველო და მსოფლიოც“, რომელიც NATO-ს წევრობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უარის თქმას უტოლებს.10

NATO-სთან თანამშრომლობის შემთხვევაში საქართველოს რუსეთთან დაპირისპირების შესახებ მანიპულაციური ინფორმაციების გავრცელების გარდა, ანტიდასავლური

წყაროები NATO-ს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველადაც მიიჩნევენ. ონლაინ სააგენტო „თვალსაზრისის“ აზრით[93], შავ ზღვაში სამხედრო წვრთნების სახით NATO რუსეთს პროვოკაციებს უწყობს და რუსეთის საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას ცდილობს. ამასთან, NATO-ს რუსეთთან შედარებით სუსტ ძალად წარმოაჩენენ.

NATO-ს დისკრედიტაციისკენ მიმართული კიდევ ერთი ნარატივი სწორედ მისი სუსტ და უუნარო ორგანიზაციად წარმოჩენის მცდელობაა. მაგალითად, პრორუსული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა[94], რომ NATO მისი არსებობის ისტორიაში ყველაზე სერიოზულ კრიზისს განიცდის, რადგან მისი შექმნის მიზანი - საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აშშ-ის ირგვლივ გაერთიანება - აღარ არსებობდა, ხოლო, მეორე მხრივ, NATO-ში შიდა კონფლიქტი მიმდინარეობდა. კონკრეტულად, „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, რომ NATO-ში თავდაცვის ხარჯების ოდენობაზე, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობასთან და რუსეთისთვის სანქციების დაწესებასთან დაკავშირებული დაპირისპირებების გამო აშშ NATO-ს დატოვებდა, რაც ევროპაში ომს გამოიწვევდა, რომელშიც აშშ ევროპულ სახელმწიფოებს მხოლოდ ფინანსურად დაეხმარებოდა. ასევე, NATO-ს სისუსტის დასამტკიცებლად „საქართველო და მსოფლიო“ წერდა[95], რომ მუდმივი ალიანსები არ არსებობს და NATO-ს დაშლის პროცესი უკვე დაწყებულია, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც თურქეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაპირისპირებაა. აშშ-თურქეთისა და ევროკავშირი-თურქეთის დაძაბულობის გარდა, NATO-ს სისუსტისა და არამდგარობის წარმოსაჩენად წყაროები თურქეთ-საბერძნეთის კონფლიქტზეც აპელირებდნენ და წერდნენ, რომ ორი NATO-ს წევრი სახელმწიფო ერთმანეთთან ომისთვის ემზადებოდა.[96]

NATO-ს სისუსტის და დაშლის პირას მყოფ ორგანიზაციად წარმოჩენის გარდა, „საქართველო და მსოფლიო“ NATO-ს ბოროტ აქტორად ახასიათებდა, რომელიც ისტორიულად სასტიკ ქმედებებს იდენდა. ანტიდასავლური წყაროების თანახმად, NATO საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პრინციპს არღვევს, რაც მისივე წესდებაშია განსაზღვრული და არა მშვიდობას ემსახურებიან, არამედ ალიანსის წევრები ომის გაჩაღებითა და სამხედრო კონფლიქტების ესკალაციით არიან დაკავებულნი, მაგალითად ახლო აღმოსავლეთში.[97]

NATO-ს და საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის კრიტიკის გარდა, პრორუსული პროპაგანდა მკითხველს ალტერნატიულ გამოსავალსაც სთავაზობს. მაგალითად, „საქართველო და მსოფლიოს“ მტკიცებით[98], საქართველომ „სამხედრო მიუმხრობლობა“ უნდა გამოაცხადოს. მოცემულ შემთხვევაში ავტორი უფრო შორს წავიდა და საქართველოს რუსეთთან „პოლიტიკური მიმხრობაც“ მოითხოვა. ის თავის პოზიციას რუსეთის სიძლიერის, NATO-ს სისუსტის, დასავლეთის რუსეთისადმი შიშის, რუსეთის ერთმორწმუნეობისა და ლიბერალური დასავლეთისგან განსხვავებით რუსეთის კულტურული მიმღებლობით ხსნის. ამასთან, მოსახლეობას პრორუსული საგარეო ვექტორის არჩევისა და რუსეთის ერთგულების შედეგად სხვადასხვა სიკეთეებსა და კეთილდღეობას უსახავენ.9

საქართველოსთან მიმართებით საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, მათ შორის საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის შეფერხების/შეჩერებისა და საქართველოს მოსახლეობაში NATO-სადმი მხარდაჭერის შესამცირებლად, რუსეთის ერთ-ერთი ინსტრუმენტი პრორუსული და ანტიდასავლური პარტიებია. მიუხედავად იმისა, პრორუსული/ანტიდასავლური პარტიები პირდაპირ კრემლის დავალებით

მოქმედებენ თუ მხოლოდ მოსკოვის ინტერესებთან არიან თანხვედრაში, საქართველოში პრორუსული და ანტიდასავლური პროპაგანდის, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად - NATO-ს საწინააღმდეგო დეზინფორმაციის, გავრცელებით, რუსეთი პრორუსული პარტიების წისქვილზე ასხამს წყალს, რაც შესაძლებელია საგარეო ჩარევად შეფასდეს.

მეორე მხრივ, NATO-ში საქართველოს გაწევრიანების არდაშვების გარდა, რუსეთს საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება აქვს, რომლის მიღწევისკენაც ისწრაფვის. კონკრეტულად, რუსეთის ინტერესია, რომ საქართველო „ნეიტრალური“ სახელმწიფო გახდეს (აღნიშნული მიზანი რუსეთს სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან მიმართებითაც აქვს, მაგალითად - მოლდოვასთან, რათა მათი NATO-ში გაწევრიანება გამორიცხოს). აქედან გამომდინარე, საქართველოში პრორუსული წყაროები NATO-ს შესახებ დეზინფორმაციის გავრცელების გარდა ნეიტრალიტეტის (ან მსგავსი კონცეფციების, როგორებიცაა „სამხედრო მიუმხრობლობა“, „უბლოკო სტატუსი“ და ა.შ.) პროპაგანდასაც აქტიურად ეწევიან. მათ შორის, ნეიტრალიტეტის, ან ჩამოთვლილი მსგავსი ფორმების, ადვოკატირებას პრორუსული პოლიტიკური პარტიებიც ეწევიან და აღნიშნული პოლიტიკა მათი საარჩევნო პროგრამისა და წინასაარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. შესაბამისად, პრორუსული მედიის მიერ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით პროპაგანდისა და მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელება საქართველოში პრორუსულ პარტიებს ხელს უწყობს, რადგან ის მათი ერთ-ერთი პოლიტიკაა, და შედეგად, ამომრჩეველსა და არჩევნებზე გარკვეულ გავლენას ახდენს.

რათა დადგინდეს, თუ როგორ ახდენს პრორუსული წყაროების მიერ NATO-ს საწინააღმდეგო და საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადების მხარდამჭერი პროპაგანდის გავრცელება არჩევნებზე გავლენას, საჭიროა საქართველოში მოქმედი პრორუსული/ანტიდასავლური პარტიების საარჩევნო პროგრამისა და განცხადებებში გაჟღერებული გზავნილების განხილვა, რომლებიც NATO-სა და ზოგადად საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკას უკავშირდება. მსგავსი ტიპის პარტიებიდან აღსანიშნავია „პატრიოტთა ალიანსი“, „ქართული იდეა“, „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“.

„ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე (2001-2008 წლებში) და პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი (2003-2004 და 2007-2008 წლებში) ნინო ბურჯანაძეა[99], რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომიდან ორ წელში ვლადიმერ პუტინს რუსეთში რამდენჯერმე შეხვდა[100], მასთან საქართველო-რუსეთის ურთიერთობები განიხილა[101] და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალის გახსნას დაესწრო.[102] ის აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირს შეხვედრია, მაგალითად, როგორებიც არიან გრიგორი კარასინი და სერგეი ნარიშკინი[103], დასწრებია ფორუმებს ვლადიმერ პუტინთან და დე ფაქტო აფხაზეთის დელეგაციასთან ერთად[104]. რუსეთში პოლიტიკური ვიზიტით[105] ბურჯანაძე 2019 წელსაც იმყოფებოდა[106]. რუსულ სამთავრობო ტელევიზიის პროპაგანდისტული სიუჟეტის ფარგლებში ბურჯანაძემ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში საქართველო დაადანაშაულა.[107] გარდა ამისა, ნინო ბურჯანაძეს ანტიდასავლური და პრორუსული შინაარსის, მათ შორის საქართველოში გამართული NATO-ს წვრთნების საწინააღმდეგო და ნეიტრალიტეტის მხარდამჭერი, ყალბი ან/და მანიპულაციური ხასიათის ინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებაში არაერთხელაა

შემჩნეული.[108] რაც შეეხება მისი პარტიის პოზიციონირებას, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროგრამაში[109] აღნიშნულია, რომ NATO-სთან მიმართებით საქართველოს პოლიტიკა თანამშრომლობა უნდა იყოს, მათ შორის, ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მისიაში მონაწილეობა, თუმცა არა გაწევრიანება. მეტიც, პროგრამის მიხედვით, „2020 წლის მოწვევის პარლამენტში NATO-ში გაწევრიანებაზე საუბარი არარეალისტურია და ამის შესახებ პარტიების უმეტესობა ელექტორატის მოზიდვის მიზნით, პოპულისტურად საუბრობს“. „ნეტგაზეთთან“[110] ინტერვიუში პარტიის ლიდერი, ნინო ბურჯანაძე, ადასტურებს, რომ „ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პოლიტიკას არ გაატარებს“. იგი NATO-ში გაწევრიანების მთავარ ხელისშემშლელად ოკუპაციას მიიჩნევს და NATO-ში გაწევრიანებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის გართულებას უკავშირებს. კონკრეტულად, იგი მიიჩნევს, რომ მოცემულ ვითარებაში NATO-ში გაწევრება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ხელს კი არ შეუწყობს, არამედ ხელს შეუშლის, რაც საქართველოში კრემლის პროპაგანდის მთავარი სტრატეგიული ნარატივია. ბურჯანაძე აცხადებს, რომ „NATO-ში გაწევრიანება, როცა რუსული ბაზები არის საქართველოს ტერიტორიაზე, არარეალისტურიც არის და დიდი საფრთხის მატარებელიც. საქართველოს ინტერესში ის კი არ არის, რომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გავწევრიანდეთ, საქართველოს ინტერესშია, მოვაგვაროთ ტერიტორიული პრობლემები, დავაბრუნოთ დევნილები, ავაშენოთ ნორმალური ქვეყანა. NATO-ში ისევე როგორც ნებისმიერ ორგანიზაციაში, გაწევრიანება, არის ერთ-ერთი საშუალება, რომ საქართველომ თავის მიზანს მიაღწიოს. ალიანსში გაწევრიანება ასეთი საშუალება ნამდვილად იყო 2008 წლამდე. ახლა NATO-ში გაწევრიანება არათუ ხელს შეუწყობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და კონფლიქტების მოგვარებას, არამედ ხელს შეუშლის” და წარმოუდგენლად მიიჩნევს, რომ „გორის მაგისტრალის ერთ მხარეს - რუსული, მეორე მხარეს კი NATO-ს ან ამერიკული ბაზები იდგნენ“, რადგან მისი აზრით, რომელიმე მხარეს ერთმა ჯარისკაცმაც რომ გაისროლოს, ადვილი წარმოსადგენია, “საქართველოს ტერიტორიიდან რა დარჩება”. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ნინო ბურჯანაძემ „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუში განაცხადა[111], რომ „NATO არასოდეს მიიღებს თავის რიგებში ქვეყანას, რომელსაც ორი მოუგვარებელი კონფლიქტი აქვს და ეს ყველასთვის ნათელია... საქართველოსთვის საზიანოა NATO-ს წევრობაზე საუბარი, მხოლოდ იმიტომ, რომ NATO-ს წევრობა ნიშნავს უარი ვთქვათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე“. იგი 2019 წელსაც ამტკიცებდა[112], რომ „NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში სამუდამოდ ვკარგავთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს“, ხოლო „2008 წლის შემდეგ NATO-ში გაერთიანება არის სახელმწიფოებრივად გამანადგურებელი, ვინაიდან NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება აღარასდროს არ გაიყვანს რუსულ ბაზებს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან“. ის ასევე ეცადა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებსა და NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე განლაგებულ NATO-ს ბაზებს შორის საქართველოს, როგორც დაპირისპირების პოლიგონად წარმოჩენას. დეზინფორმაცია, თითქოს საქართველოს NATO-ში გაწევრება ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების სამუდამოდ დაკარგვასა და საქართველოს NATO-სა და რუსეთს შორის დაპირისპირების პოლიგონად გადაქცევას ნიშნავს, რუსული პროპაგანდის მთავარი სტრატეგიული გზავნილია, რომლითაც საქართველოს მოსახლეობაში NATO-ში ინტეგრაციისადმი შიშის გაღვივებასა და გაწევრიანებისადმი მხარდაჭერის შემცირებას

ისახავს მიზნად. NATO-ში საქართველოს გაწევრიანებისადმი წინააღმდეგობის გარდა, აღსანიშნავია, რომ „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული“ მოძრაობის 2016 წლის საპარალამენტო არჩევნების პროგრამა[113] „უბლოკო სტატუსის“, როგორც „საქართველოს გამთლიანებისა და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ საჭირო ინსტრუმენტის, წარმოჩენით იწყებოდა და კამპანიაც ძირითადად ამ პოლიტიკაზე იყო აგებული. ბურჯანაძე წინასაარჩევნოდ მანიპულაციურ ინფორმაციას ავრცელებდა[114], თითქოს „უბლოკო სტატუსის“ კონსტიტუციაში ასახვა საქართველოს მთელი ტერიტორიიდან, მათ შორის ოკუპირებული რეგიონებიდან, სხვა სახელმწიფოების ჯარებისგან გაათავისუფლებდა. მეტიც, ბურჯანაძე 2016 წელს საქართველოს კონსტიტუციაში „უბლოკო სტატუსის“ შესახებ ჩანაწერის შესატანად ხელმოწერებსაც კი აგროვებდა, რაც საქართველოს მიერ NATO-ში გაწევრიანებისკენ სწრაფვაზე უარის თქმის ტოლფასი იქნებოდა.[115] თუმცა 2020 წლის პროგრამაში სიტყვები „ნეიტრალიტეტი“, „უბლოკო სტატუსი“ და „მიუმხრობლობა“ საერთოდ არ გვხვდება, რაც 2016 წელს აღნიშნული მესიჯის წარუმატებლობაზე მიუთითებს. თუმცა საარჩევნო კამპანიის პერიოდში ნინო ბურჯანაძემ „TV პირველთან“ ინტერვიუში[116] აღნიშნა, რომ ის „მომხრეა უბლოკო სტატუსის“, ისევე როგორც ადრე, რადგან „ვიდრე საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარები არის განლაგებული, სხვა ალიანსის ან სხვა სახელმწიფოს ჯარის შემოყვანა ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიწვევს ძალიან სერიოზულ პრობლემებს და შეიძლება უმძიმესი რეალობის წინაშე აღმოვჩნდეთ. მეტიც, „ნეტგაზეთთან“ იგი აცხადებს, რომ „სამხედრო ბლოკის წევრობაზე უარის თქმამ შეიძლება, კონფლიქტების მოგვარებას ხელი შეუწყოს“ და თვლის, რომ „ხმამაღლა გაცხადება, რომ ახლა საქართველო NATO-ში ვერ და არ გაწევრიანდება, გარკვეულ როლს ითამაშებს მოლაპარაკებებში“. NATO-ზე უარის თქმა და სანაცვლოდ ნეიტრალიტეტის გამოცხადება, როგორც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტის გზა, ოფიციალური კრემლის პოლიტიკას წარმოადგენს, თუმცა მოლდოვის შემთხვევაში ნეიტრალიტეტის კონსტიტუციაში ასახვის მიუხედავად, რუსეთს დნესტრისპირეთიდან ჯარი არ გაუყვანია და მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობა არ აღუდგენია, რაც დაპირების სიყალბეზე მიუთითებს.

ნინო ბურჯანაძემ „TV პირველთან“ ინტერვიუში აგრეთვე განაცხადა, რომ „პატრიოტთა ალიანსმა“ ბევრი ადრე მის მიერ ნათქვამი გაიმეორა, მაგალითად „მიუმხრობლობა“ „უბლოკო სტატუსის“ იდეიდან გადაიღო. მართლაც, „პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო ერთ-ერთ ვიდეორგოლში[117] აცხადებდა, რომ პარტიის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 77% მათი „პარტიის გეზს“ – „სამხედრო ნეიტრალიტეტს“ უჭერს მხარს. კიდევ ერთ წინასაარჩევნო რეკლამაში[118], სადაც „პატრიოტთა ალიანსი“ საკუთარ პოლიტიკებს ასახელებს, მოსახლეობას „სამხედრო ნეიტრალიტეტისკენ“ მოუწოდებს. „პატრიოტთა ალიანსი“ მისი ერთ-ერთ წინასაარჩევნო გაზეთში[119] წერდა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა დაიწყოს პირდაპირი დიალოგი მოსკოვთან, სოხუმთან და ცხინვალთან, ხოლო საუბრის დაწყების „პირველ და მთავარ პირობად“ განიხილავენ საქართველოს ნეიტრალიტეტს და სამხედრო მიუმხრობლობას. პარტიის იმეორებდა რუსული პროპაგანდის ნარატივს და წერდა, რომ დასახელებული პირობების „რეალიზება არამარტო უზრუნველყოფს ეროვნულ უსაფრთხოებას, საფუძველს ჩაუყრის ქართველი ხალხის კეთილდღეობას, ასევე შექმნის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დაწყების პირობებს“. პარტია ტყუილს უწოდებს მესიჯებს, რომ NATO-ს წინააღმდეგობის გამო „პატრიოტთა ალიანსი“ რუსეთის მხარეს გამოდის ან

საქართველოს უსაფრთხოების წინააღმდეგია. არამედ, მათი აზრით, სწორედ „პატრიოტთა ალიანსია პარტია, რომელიც იცავს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას“, რადგან NATO-ში შესვლას საქართველოს ორი მთავრობა 16 წელი უშედეგოდ ცდილობს და არანაირი წინსვლა არაა; NATO-ში გაწევრიანების პროცესში წინსვლისთვის კი, მათ მიხედვით, სოხუმსა და ცხინვალზე უარის თქმაა საჭირო, რაც რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი გზავნილია. ასევე, „პატრიოტთა ალიანსის“ თანახმად, NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში „თურქეთი მიიღებს დამატებით შესაძლებლობებს, განავრცოს თავისი გავლენა საქართველოზე, როგორც მოკავშირემ ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან“. „პატრიოტთა ალიანსი“ აღნიშნავდა, რომ „არც ამერიკა, არც NATO, არც ევროპა არ აპირებს საქართველოს სადმე მიღებას და ჩვენი პარტია ამბობს ამ სიმართლეს. ასე რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხო განვითარებისათვის ერთადერთ გზად რჩება ნეიტრალიტეტი“. პარტიის აზრით, მხოლოდ „სრული ნეიტრალიტეტის დაცვა, ნებისმიერ სამხედრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმა, სამშვიდობო პოლიტიკა“ პასუხობს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. პარადოქსულად, „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი ინტერვიუში[120] აცხადებდა, რომ NATO-ში გაწევრიანების მომხრეა, რადგან ამას მრავალი სიკეთე მოჰყვება. თუმცა იქვე დასძინა, რომ რეალურად NATO-ს წევრები ვერ გავხდებით და ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა იყოს NATO-ს ან მისი წევრების სამხედრო ბაზა და უცხო ქვეყნის სარდლობის მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო წვრთნები უნდა აიკრძალოს, რათ საქართველოსთვის საფრთხე არ შეიქმნას.

კიდევ ერთი ანტიდასავლური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეა“ და მისი ლიდერი, ლევან ჩაჩუა, ამტკიცებდნენ[121], რომ პოლიტიკოსები ხელისუფლებაში ვადის გაგრძელების გამო მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური მისწრაფებების დეკლარირებით არიან დაკავებულნი, რაც არასწორია. მისი თქმით, მის პარტიას დასავლეთთანაც, აღმოსავლეთთანაც და ჩრდილოეთთანაც ნორმალური ურთიერთობების სურვილი აქვს, რათა საქართველო NATO-რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად არ გადაიქცეს, როგორც ეს უკრაინაში მოხდა. ჩაჩუას აზრით, საქართველო NATO-ში შესვლაზე დამამცირებლად იხვეწება, მაგრამ NATO-ში გაწევრიანება არარეალურია, რადგან დასავლეთს საქართველოს არც შორეულ და არც ახლო წარსულში დახმარებია და, შესაბამისად, მომავალშიც არ დაიცავს. მისი მტკიცებით, NATO-მ ჯერ უკრაინა გაწირა და ახლა იმავეს საქართველოს უკეთებს. „ქართული იდეის“ ლიდერის თქმით, NATO საქართველოს მის რიგებში მიღება არ სურს და ამიტომ მხოლოდ ფუჭ დაპირებებს აძლევს. უკრაინისა და კვიპროსის მაგალითებზე დაყრდნობით ჩაჩუა ამტკიცებდა, NATO საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაუბრუნებს; ხოლო ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გამო NATO-ში პირდაპირ აცხადებენ, რომ საქართველო NATO-ს წევრი არ გახდება, ამ შემთხვევაში რუსეთის აგრესიისგან ვერ დაიცავენ. ჩაჩუას აზრით, პოლიტიკოსები NATO-ში შესვლის პერსპექტივით მოსახლეობას ატყუებენ, რის გამოც ხალხმა NATO-ს იმედი დაკარგა. მან NATO-ს წევრობასთან დაკავშირებით 2008 წლის პლებისციტი გაყალბებულად შეაფასა. ამიტომ პარლამენტში არჩევის შემთხვევაში „ქართული იდეა“ ამომრჩეველს ჰპირდებოდა, რომ საქართველოს NATO-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვდა. მას იმედი ჰქონდა, რომ რეფერენდუმის შემთხვევაში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაზე უარს იტყოდა.

ანტიდასავლური და პრორუსული პარტიების პროგრამებსა და წინასაარჩევნო გზავნილებში ზემოთ განხილული NATO-ს საწინააღმდეგო და ნეიტრალიტეტის მხარდამჭერი რიტორიკის არსებობით ნათელი ხდება, რომ პრორუსული წყაროების მიერ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დისკრედიტაციისკენ მიმართულ პროპაგანდას არჩევნებზე პირდაპირი გავლენის მოხდენა შეეძლო. კერძოდ, კრემლის პროპაგანდის მიერ პრორუსული პარტიების მესიჯების გამეორება და მოსახლეობის აზრის მანიპულირების მცდელობა ამომრჩეველს სწორედ პრორუსული პარტიების მხარდაჭერისკენ უბიძგებდა. ხოლო, მეორე მხრივ, NATO-სა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ვექტორის დისკრედიტაცია ამომრჩეველს უბიძგებდა, რომ პროდასავლური და NATO-ში საქართველოს გაწევრიანების მომხრე პარტიებისთვის ხმა არ მიეცათ. არაპირდაპირი ზემოქმედების გარდა, მაგალითად, „საქართველო და მსოფლიო“ სტატიებში „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერი მოწოდებებითა ღიად გამოდიოდა და აგრეთვე „ქართული იდეის“ ლიდერის, ლევან ჩაჩუას ვრცელ ინტერვიუებსაც აქვეყნებდა. ხოლო „ალტ-ინფო“ მოსახლეობას „არალიბერალური“ პარტიების მხარდაჭერას ურჩევდა.

წყაროები:

[82] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. (2021). საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიში - 2020 წელი.

[83] ინტერპრესნიუსი. (2021). სუს-ი - ქვეყნის მთავარ გამოწვევად, კვლავ რუსული ოკუპაცია რჩება. მოძიებულია: https://www.interpressnews.ge/ka/article/653273-sus-i-kveqnis-mtavar-gamocvevad-kvlav-rusuli-okupacia-rcheba

[84] საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. (2020). საქართველოს კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

[85] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. (2008). საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგების შემაჯამებელი ოქმი. ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/geo/list/show/1167-saqartvelos-centraluri-saarchevno-komisiis-2008-wlis-5-ianvris- ბოლო ნახვა: 24.05.2021

[86] ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) & CRRC საქართველო. (2021). საზოგადოების განწყობა საქართველოში - 2020 წლის დეკემბრის სატელეფონო გამოკითხვის შედეგები. ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202020%20Poll_GEO_FINAL.pdf

[87] International Republican Institute – Center For Insights In Survey Research. (2020). Public Opinion Survey Residents of Georgia – June-July 2020. Accessible at: https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_june_2020_general-aug_4_corrections_1.pdf

[88] საინფორმაციო სააგენტო „პატრიოტი“. (2020). "ეკლესია დაუმარცხებელია" - მამა დავით ქვლივიძე. მოძიებულია: http://patrioti-tv.ge/sazogadoeba/685--.html ბოლო ნახვა 24.05.2021

[89] „ნიუსფრონტი“. (2020). როგორ “ხტოდა” საქართველო რუსეთის წინააღმდეგ, თავისსავე საზიანოდ – კიდევ ერთი მაგალითი. მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/09/17/rogor-khtoda-saqarthvelo-rusethis-tsinaaghmdeg-thavissave-sazianod-kidev-erthi-

magalithi/?fbclid=IwAR31rc7T2tJ6wmE70G-21qkIeUuoA9bP25LtAol3WSdYIfmbMRZI3Tnc66o ბოლო ნახვა:24.05.2021

[90] ბესო ბარბაქაძე. (2020). ტრამპი _ ალთას, მისი ელჩი დეგნანი _ ბალთას. საქართველო და მსოფლიო, მოძიებულია: https://geworld.ge/ge/ტრამპი-_-ალთას-მისი-ელჩი-დე/ ბოლო ნახვა: 24.05.2021

[91] ჯაბა ჟვანია. (2020). გურამ ნიკოლაიშვილი: საქართველო თავისი პოლიტიკური კურსითა და ორიენტაციით საფრთხეა საკუთარი თავისთვის. საქართველო და მსოფლიო, მოძიებულია: https://geworld.ge/ge/გურამ-ნიკოლაიშვილი-საქა/ ბოლო ნახვა: 24.05.2021

[92] გიორგი ფრანგიშვილი. (2020). მიუხედავად იმისა, რომ დასავლელმა ლიდერებმა არაერთგზის მკაფიოდ და გასაგებად განაცხადეს, რომ ხელშესახებ პერსპექტივაში ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს მიღება გამორიცხულია, ხელისუფლება ჯიუტად განაგრძობს საპირისპიროს მტკიცებას. TVM.ge, მოძიებულია: https://tvm.ge/archives/28511 ბოლო ნახვა: 24.05.2021

[93] ირაკლი ჯანყარაშვილი. (2020). ალიანსი აგრძელებს პროვოკაციებს შავ ზღვაში რაც საფრთხეს უქმნის რეგიონის უსაფრთხოებას. თვალსაზრისი, მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/ალიანსის-აგრძელებს-პროვო/ ბოლო ნახვა: 24.05.2021

[94] გიორგი გაჩეჩილაძე. (2020). ნატოდან აშშ-ის გასვლა ომის დაწყების მომასწავებელია. საქართველო და მსოფლიო, მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ნატოდან-აშშ-ის-გასვლა-ომი/ ბოლო ნახვა: 24.05.2021

[95] გიორგი გაჩეჩილაძე. (2020). რატომ იშლება აშშ-თურქეთის კავშირი - ნატოს ეროზიის პროცესი დაწყებულია, მაგრამ მას აშშ ხელს ვერ შეუშლის. საქართველო და მსოფლიო, მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ რატომ-იშლება-აშშ-თურქეთი/ ბოლო ნახვა: 24.05.2021

[96] ირაკლი ჯანყარაშვილი. (2020). NATO – ს წევრი ორი სახელმწიფო ერთმანეთში საომრად ემზადება, რაც მიუთითებს ალიანსის შიგნით არსებულ სამხედრო პოლიტიკურ კრიზისზე. თვალსაზრისი, მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/nato-ს-წევრი-ორი-სახელმწიფო-ერ/ ბოლო ნახვა: 24.05.2021

[97] ირაკლი ჯანყარაშვილი. (2020). ნატოს წესდებიდან პირველი, მუხლი რომელსაც ალიანსის წევრი ქვეყნები თვითონვე არღვევს !!! თვალსაზრისი, მოძიებულია: tvalsazrisi.ge/ნატოს-წესდებიდან-პირველი/

[98] დავით მხეიძე. (2020). სამხედრო მიუმხრობლობასთან ერთად პოლიტიკური მიმხრობის დრო ხომ არ დადგა საქართველოში? საქართველო და მსოფლიო, მოძიებულია: http://ge-world.ge/ge/სამხედრო-მიუმხრობლობასთ/ ბოლო ნახვა: 24.05.2021

[99] ინტერპრესნიუსი. (n.d.). პროფილი: ნინო ბურჯანაძე - „ერთიანი საქართველოს ლიდერი“. მოძიებულია: https://www.interpressnews.ge/ka/profiles/93-nino-burjanaze/ ბოლო ნახვა: 23.5.2021

[100] სივილ ჯორჯია. (2010ბ). პუტინი მზადაა საქართველოში „კონსტრუქციულ ძალებს“ ესაუბროს. მოძიებულია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=22698 ბოლო ნახვა: 23.05.2021

[101] სივილ ჯორჯია. (2010ა). ბურჯანაძე პუტინს შეხვდა. მოძიებულია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=22429 ბოლო ნახვა: 23.05.2021

[102] სივილ ჯორჯია. (2010გ). პუტინი ბურჯანაძეს, ასევე ნოღაიდელს შეხვდა. მოძიებულია: https://civil.ge/ka/archives/148560 ბოლო ნახვა: 23.05.2021

[103] მარიამ ქართველიშვილი. (2019). ნინო ბურჯანაძის მორიგი ვიზიტი მოსკოვში. იმედი, მოძიებულია: https://www.imedi.ge/ge/video/45550/nino-burjanadzis-morigi-viziti-moskovshi ბოლო ნახვა: 23.05.2021

[104] თამუნა გეგიძე. (2018). ბურჯანაძე პუტინის იმ ფორუმს დაესწრო, რომელზეც დე ფაქტო აფხაზეთს დელეგაცია ჰყავდა. ონ.ჯი, მოძიებულია: http://go.on.ge/tym ბოლო ნახვა:23.05.2021

[105] ონ.ჯი. (2019). ნინო ბურჯანაძე პუტინის ადმინისტრაციასთან შესახვედრად მოსკოვში გაფრინდა. მოძიებულია: http://go.on.ge/1bew ბოლო ნახვა:23.05.2021

[106] ნინო ბიძინაშვილი. (2019). ნინო ბურჯანაძე მოსკოვში გაემგზავრა. ნეტგაზეთი, მოძიებულია: https://netgazeti.ge/news/411298/ ბოლო ნახვა:23.05.2021

[107] თამუნა გეგიძე. (2018). 8 აგვისტოს რუსულ სამთავრობო არხზე ბურჯანაძემ ომის დაწყებაში საქართველო დაადანაშაულა. ონ.ჯი, მოძიებულია: http://go.on.ge/spl ბოლო ნახვა:23.05.2021

[108] მითების დეტექტორი. (n.d.). პროფილი - ბურჯანაძე ნინო. მოძიებულია: https://www.mythdetector.ge/ka/profile/burjanadze-nino ბოლო ნახვა: 23.05.2021

[109] „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“. (2020). საპარლამენტო პროგრამა - 2020. ხელმისაწვდომია: https://www.docdroid.net/MiFrlEm/programa-web-pdf

[110] ნინო ჩიჩუა. (2020). რას ჰპირდება ბურჯანაძე ამომრჩეველს | არჩევნები 2020. ნეტგაზეთი, მოძიებულია: https://netgazeti.ge/news/492063/

[111] საქართველოს ახალი ამბების სააგენტო. (2018). საქართველოს ადგილი ნატოში არაა - ნინო ბურჯანაძე. მოძიებულია: https://www.ghn.ge/news/198486 ბოლო ნახვა: 23.05.2021

[112] ინტერპრესნიუსი. (2019). ნინო ბურჯანაძე - ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევაში სამუდამოდ ვკარგავთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს. მოძიებულია: https://www.interpressnews.ge/ka/article/563323-nino-burjanaze-nato-shi-gacevrianebis-shemtxvevashi-samudamod-vkargavt-apxazets-da-samachablos/ ბოლო ნახვა: 24.05.2021

[113] „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“. პროგრამა 2016: ერთიანი საქართველო - ძლიერი ეკონომიკა! ხელმისაწვდომია: https://www.ug.ge/images/docs/პროგრამა.pdf

[114] გიორგი რევიშვილი. (2017). მითი საქართველოს ნეიტრალიტეტისა და „უბლოკო სტატუსის შესახებ". მითების დეტექტორი, მოძიებულია: https://www.mythdetector.ge/ka/myth/miti-sakartvelos-neitralitetisa-da-ubloko-statusis-shesakheb ბოლო ნახვა: 24.05.2021

[115] ონ.ჯი. (2016). ბურჯანაძე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონსტიტუციურად აკრძალვას ითხოვს. მოძიებულია: http://go.on.ge/33r ბოლო ნახვა: 24.05.2021

[116] ტელეკომპანია „პირველი“. (2020). ეკა მიშველაძის ,,საჯარო პოლიტიკა“ - ნინო ბურჯანაძე. მოძიებულია: https://www.facebook.com/watch/?v=1268221956864359 ბოლო ნახვა: 24.05.2021

[117] Alliance Official. (2020). ჩვენ, "პატრიოტთა ალიანსი" - პირველ ადგილზე ვართ 22,8%-ით! მოძიებულია: https://www.youtube.com/watch?v=pK0qLR6VArM ბოლო ნახვა: 24.05.2021

[118] Alliance Official. (2020). მხარი დაუჭირე საქართველოს ინტერესების დაცვას! საარჩევნო ნომერი 8! მოძიებულია: https://www.youtube.com/watch?v=_FgBQSRRex0 ბოლო ნახვა: 24.05.2021

[119] „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“. (2020). საქართველოს პატრიოტი. ხელმისაწვდომია: http://patriots.ge/ka/npN1 ბოლო ნახვა: 24.05.2021

[120] ლუკა პერტაია. (2020). რას ჰპირდება ამომრჩველს „პატრიოტთა ალიანსი“ | არჩევნები 2020. ნეტგაზეთი, მოძიებულია: https://netgazeti.ge/news/493178/ ბოლო ნახვა: 24.05.2021

[121] საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ქართული იდეა". (2020). ლევან ჩაჩუა - ერთად დავიბრუნოთ საქართველო! მოძიებულია: https://www.youtube.com/watch?v=egXODF9fo3U ბოლო ნახვა: 24.05.2021

დეზინფორმაცია ევროკავშირის წინააღმდეგ

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა. ევროკავშირთან და ზოგადად დასავლეთთან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელება კრემლის პროპაგანდის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს, რადგან მოსახლეობაში მათდამი არსებული დადებითი განწყობა შეასუსტოს.

საქართველოს მოსახლეობაში ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობების ფორმირებისთვის პროპაგანდისტული წყაროები ევროკავშირის დისკრედიტაციას ეწევიან და მასთან დაკავშირებით უსაფუძვლო შიშების დანერგვას ცდილობენ. ანტიდასავლური პროპაგანდა განსაკუთრებულ აქცენტს ფასეულობებსა და იდენტობასთან დაკავშირებული საკითხებზე აკეთებს და ქართული და ევროპული ღირებულებების და ტრადიციების ერთმანეთთან შეუთავსებლად წარმოჩენას ცდილობს. ანტიდასავლური აქტორები მუდმივად ცდილობენ იმ მცდარი დილემის გავრცელებას, რომ საქართველომ ან ევროკავშირის წევრობაზე უნდა თქვას უარი ან საკუთარ ტრადიციებსა და ღირებულებებზე. ამ კუთხით, ძირითადი ნარატივი მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირში გაწევრიანების და ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მოუწევს თავსმოხვეული ლიბერალური რეფორმების იძულებითი გატარება, რაც წინააღმდეგობაში მოდის ქართული, მართლმადიდებლური საზოგადოების შეხედულებებთან და ცხოვრების წესთან.

ევროკავშირში გაწევრიანება და ევროატლანტიკური ინტეგრაცია თითქმის ყველა მსხვილი პარტიის საარჩევნო პროგრამის ნაწილი იყო და შესაბამისად, ევროკავშირის საწინააღმდეგო პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელებით პრორუსული და ანტიდასავლური აქტორები პროდასავლური პარტიების მხარდაჭერის შესუსტებასა და ულტრა-ნაციონალისტური და პრორუსული პარტიების მხარდაჭერის გაზრდას ცდილობდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე ძირითადი ნარატივი გამოიკვეთა.

შეუთავსებელი ფასეულობები

წინასაარჩევნო პერიოდში კვლავაც შეიმჩნეოდა „დასავლური ფასეულობების“ დემონიზაციის[122] ტენდენცია. ანტიდასავლურად განწყობილი სასულიერო პირების მიერ ვრცელდებოდა პროპაგანდა, რომ „დასავლური ფასეულობებით“ საქართველოსა და ქართველ ხალხს, და ზოგადად მართლმადიდებელ ერებს ებრძვიან და საზოგადოებაში „ლგბტ“ გარყვნილების დანერგვას ცდილობენ. ასევე აღნიშნული პროპაგანდის მიხედვით[123], „ათეისტი კომუნისტებიც კი არ ცდილობდნენ ქართველების ოჯახური და სოციალური ტრადიციების წართმევას“, ხოლო ევროპული პროგრამების საფარქვეშ, როგორიცაა, მაგალითად, აღმოსავლეთის პარტნიორობა, მიმდინარეობს რეალური შეტევა კავკასიელი ხალხების „საუკუნოვანი საფუძვლების“ მოსარყევად. აღნიშნული დეზინფორმაციის თანახმად, საქართველოში მართლმადიდებლებს გარკვეული მატერიალური სარგებლის სანაცვლოდ წინაპრების ტრადიციებზე უარის თქმას სთავაზობენ. ხოლო იქედან გამომდინარე, რომ ხორციელდება „აგრესიული მცდელობები“, „ჰომოსექსუალური“ ღირებულებების, დასავლური ოჯახის და საზოგადოების მენტალიტეტის დასამკვიდრებლად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას პროევროპული

პოლიტიკური პარტიები სძულს და მათ მომავალი არ აქვთ. შესაბამისად, სასულიერო პირების რადიკალური ფრთის წარმომადგენლები ევროკავშირს მოუწოდებდნენ, დაეტოვებინა კავკასია. პრორუსული წყაროები ამტკიცებდნენ[124], რომ დასავლელი მოკავშირეები სკოლებში „ლგბტ“ ურთიერთობისა და სექსუალურობის საკითხების სწავლებას მოგვთხოვენ, რაც ნიშნავს „ბავშვების სულების გარყვნას სასკოლო ასაკიდან“, სიწმინდისა და ტრადიციების ხაზის გადასმას.

ევროკავშირის ტრადიციებთან მებრძოლ გაერთიანებად წარმოჩენისთვის, ანტიდასავლური მედია წევრობის კანდიდატ მონტენეგროში ევროკავშირის მოწოდებით მიღებულ კანონზე[125] საუბრობდა[126] „რომლის თანახმად, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქონების ჩამორთმევაა შესაძლებელი“ და „ლეგალიზებულია სოდომური კავშირები“. აღნიშნული მაგალითებით კი პრორუსული მედია ცდილობდა მოსახლეობის დარწმუნებას, რომ საქართველომ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარი უნდა თქვას[127]: „თუ ევროპის ფასეულობა არის ეკლესიის სიძულვილი, ტრადიციების, ოჯახის სიწმინდის უგულებელყოფა, ჩვენ არ გვინდა ასეთი ევროპა“.

ანტიდასავლური დეზინფორმაცია დასავლურ განათლებასაც ესხმოდა თავს და წერდა[128], რომ დასავლური განათლების შედეგად მშობელმა და მასწავლებელმა და ყველაფერი მანდატურის ან არასამთავრობო ორგანიზაციის გადასაწყვეტი გახდა. მათი მტკიცებით, ამის გამო „მთავარი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დაბადებულთა უმრავლესობას სჯერა, რომ მასზე მანდატური და არასამთავრობო ორგანიზაცია უფრო იზრუნებენ, ვიდრე მშობელი და მასწავლებელი“. საქართველო და მსოფლიო ასევე ნიდერლანდების „მაგალითზე“ ამტკიცებდა, რომ „დასავლეთის უმრავლეს ქვეყანაში სქესობრივი გაუკუღმართების პროპაგანდა საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი ნაწილი გახდა[129]“.

ასევე წინასაარჩევნოდ ვრცელდებოდა პროპაგანდა[130], რომ ყველა ლიბერალური პარტია „მხოლოდ თავის დივიდენდებზე ფიქრობს და არა ქვეყნის კეთილდღეობაზე, ხოლო მათი ნებისმიერი საარჩევნო დაპირება ფუჭი და ყალბია“. იმავე ნარატივის მიხედვით, „არავინ აფინანსებს ზნეობას, მორალსა და პატრიოტიზმს, ფინანსდება მხოლოდ ღალატი, უზნეობა და მტრობა ქვეყნისა, რისთვისაც დასავლეთი ფულს უხდის ხელისუფლების გადაგვარებულ წარმომადგენლებს...“.

პრორუსული პროპაგანდა ასევე აცხადებდა[131], რომ „დასავლეთში სიტყვის თავისუფლება საფრთხეშია და ეს საფრთხე დღითიდღე მატულობს“. მათი მტკიცებით, „დასავლეთში ადამიანებს მხოლოდ იმის გამო დევნიან და ავიწროვებენ, თუ ვინმე გაბედავს და იტყვის, რომ კარგია წესიერება, ზნეობირობა, ოჯახი და ცუდია გარყვნილება, უწესობა, სიბილწე“. ამ ნარატივის მიხედვით[132], დასავლეთში ტრადიციული ღირებულებების დაცვის გამო ადამიანები ისჯებიან, რისი გადმოტანის მცდელობაც დასავლეთს საქართველოშიც აქვს. აღნიშნული გზავნილები წინა თვეებშიც აქტიურად ვრცელდებოდა.

„საქართველო და მსოფლიომ“, რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, მედიასივრცეში დეზინფორმაციის გავრცელებაშიც დასავლეთი დაადანაშაულა[133], რადგან მათ მიერ დანერგილმა სიტყვის თავისუფლებამ ყალბი ამბების გავრცელებას ხელი შეუწყო. პრორუსული გამოცემის მიხედვით, დასავლეთი დეზინფორმაციას აქტიურად იყენებს, მაგალითად ერაყში შეჭრის გასამართლებლად და ასევე 2014 წლის აპრილში ყირიმში ცარიელი დახლების შესახებ ყალბი სიუჟეტით რუსეთის დისკრედიტაციისთვის. ანტიდასავლურმა

აქტორებმა სირიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ყალბი ინფორმაციების გავრცელებაში BBC-ს, CNN-სა და Al Jazeera-ს დასდეს ბრალი. პრორუსული პროპაგანდის თანახმად, ჟურნალისტები და ბლოგერები მხოლოდ იმ დეზინფორმაციას ამხელენ, რომელიც რუს მანიპულატორებს მიეწერებათ, რითაც, მაგალითად, StopFake-ი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომს მხოლოდ რუსეთი აწარმოებს.

დასავლეთში საქართველოს ადგილი არ არის

წინასაარჩევნო პერიოდში პრორუსული პროპაგანდა ცდილობდა, მკითხველი დაერწმუნებინა, რომ ევროკავშირი და NATO სატყუარაა და რეალურად საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა არ აქვს[134]. შესაბამისად, დეზინფორმაციის თანახმად, „შეპირებული დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მდიდარი, ძლიერი, ნატოსა და ევროკავშირის წევრი საქართველოს ნაცვლად, ნამუსახდილი, მუხლზე დაჩოქილი, გამათხოვრებული, იმედგადაწურული და სასოწარკვეთილი საქართველო შეგვრჩა ხელთ“.

პარალელურად, კრემლის პროპაგანდა ცდილობდა მოსახლეობის დარწმუნებას[135], რომ „თანამედროვე, დასავლურ ეკონომიკურ სივრცეში ჩვენი [საქართველოს] ადგილი არ არის“ და „დასავლეთისთვის საქართველო უბრალოდ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ, სატრანზიტო ტერიტორიას წარმოადგენს და მეტს არაფერს“. აგრეთვე გავრცელდა კიდევ ერთი ეკონომიკური თემატიკის დეზინფორმაცია[136], რომლის მიხედვითაც, რუსული ბაზრის ევროპულით ჩანაცვლებამ აჭარა მძიმე სოციალურ და დემოგრაფიულ კატასტროფამდე მიიყვანა, რამაც რეგიონში თურქეთის „კულტურულ-ეკონომიკურ ექსპანსია“ გამოიწვია.

ევროკავშირისგან უკვე მიღებული და გაწევრიანებით მოსალოდნელი სარგებლის ნიველირებისთვის, ანტიდასავლური წყაროები ავრცელებდნენ დეზინფორმაციას ინტეგრაციული პროცესების „გვერდითი მოვლენების“ შესახებ, რომ მაგალითად „ევროკავშირთან ურთიერთობის 6-მა წელიწადმა მოლდოვას მხოლოდ ზარალი მოუტანა[137]“. ამავე მიზნით, ამტკიცებდნენ, რომ ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირის დროს უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს ლიტვაში, რადგან ევროკავშირსა და NATO-ში მიღების შემდეგ არაფერი გაუმჯობესდა.

საქართველო ევროკავშირის კოლონიაა

კიდევ ერთი ნარატივი, რომლის დამკვიდრებასაც ანტიდასავლური პროპაგანდა ცდილობდა, საქართველოს მთავრობის ევროპელების მარიონეტად[138] წარმოჩენას უკავშირდება. ამ მტკიცების მიხედვით, საქართველო ბრიუსელში მიღებული რეზოლუციებითა და რეკომენდაციებით, ე.ი. ბრძანებებით, იმართება[139], ოღონდ წინა საუკუნის დამპყრობლებისგან განსხვავებით, თანამედროვე დასავლეთის მთავარი ღირებულება „ლგბტ-სექტის პრიმატია“.

წინასაარჩევნო პერიოდში პრორუსული პროპაგანდა ცდილობდა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ „საქართველო კოლონიაა“ და მრავალი ქვეყნის მიერ არის ოკუპირებული. „საქართველო და მსოფლიო“ ანტიდასავლურად განწყობილი „ექსპერტების“ საშუალებით ავრცელებდა ინფორმაციას[140], თითქოს საქართველოს ხელისუფლება „დასავლელ პოლიტიკურ გარანტორებთან მონურ მდგომარეობაშია“, რის გამოც კრიმინალები პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გაანთავისუფლა.

ევროკავშირთან დაკავშირებული დეზინფორმაციის მნიშვნელოვან საკითხს ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენდა. “საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა[141], რომ საქართველოს

ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა, რაც, მაგალითად, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაში გამოიხატება, ქვეყანას ხელს უშლის რუსეთთან კონფლიქტის მოგვარებაში.

პრორუსული გაზეთის „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით[142], დასავლეთი რუსეთთან ერთი ერთზე ლაპარაკსა და თანამშრომლობას გვიკრძალავს, მაშინ როდესაც თავად ევროპელები აღნიშნულზე უარს არ ამბობენ. პრორუსული გაზეთის თანახმად, დასავლეთს არ სურს საქართველოში რუსი ინვესტორების შემოსვლა, რადგან მოსახლეობას შესაძლოა რუსული ფირმებისადმი სიმპათია გაუჩნდეს. თავის მხრივ, ევროპელი ინვესტორებიც არ შემოდიან საქართველოში არასტაბილური პოლიტიკური გარემოს გამო, რის შექმნასაც თავად დასავლეთი უწყობს ხელს. „საქართველო და მსოფლიოს“ აზრით, ეს გამოიხატა დასავლეთის მიერ საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებაში ჩარევაში, რის შედეგადაც საქართველოს ხელისუფლებას 120/30 მოდელის საარჩევნო სისტემა მიაღებინეს 40%-იანი ჩამკეტით, რათა პარტიებს დამოუკიდებლად მთავრობის დაკომპლექტება გაუჭირდეთ. შესაბამისად, დასავლეთი საქართველოს კოალიციური მთავრობის შექმნას აძალებს. გაზეთის მტკიცებით, კოალიციური მთავრობები ვერც განვითარებულ და ვერც ნახევრად-განვითარებულ ქვეყნებში ვერ ამართლებს. აქედან გამომდინარე, პრორუსული გამოცემა ასკვნის, რომ საარჩევნო რეფორმა დასავლეთის ზეწოლის შედეგად გატარდა, „ისე, რომ ამომრჩეველს არაფერი ჰკითხეს“, რათა ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური გარემო შექმნან და „ჩინელი, ირანელი ან არაბი“ ინვესტორის გარდა სხვა ქვეყნებიდან ინვესტიციების შემოდინებას შეუშალონ ხელი. „საქართველო და მსოფლიო“ ასევე წერდა[143], რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში მაღალი საარჩევნო ბარიერი და „თითზე ჩამოსათვლელი“ პარტიებია, საქართველოს ნულოვან ბარიერისა და ასობით პარტიის ქონას აძალებენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ლიბერალიზმის მომხრე პარტიები არსებობას შეწყვეტენ.

ივლის-აგვისტოში პრორუსული წყაროები ევროკავშირის დისკრედიტირებას მის წარსულზე აპელირებით ცდილობდნენ. „საქართველო და მსოფლიომ“ „ევროკავშირის[144] ჩრდილოვან[145] ისტორიას[146]“ სტატიების სერიაც[147] კი მიუძღვნა[148], სადაც ამტკიცებდა[149], რომ ევროპული პროექტი „ტრანსნაციონალური ელიტების მიერ ეროვნულ ხელისუფლებათა კონტროლის საიმედო სისტემის დანერგვის ფარული გეგმაა”. გეგმის მთავარი მიზანი, გაზეთის თანახმად, „ეროვნული სუვერენიტეტის ამოძირკვაა “.

მიგრანტები

ევროკავშირის უარყოფით კონტექსტში წარმოსაჩენად ანტიდასავლური პროპაგანდა კვლავ აქტიურად იყენებდა მიგრანტების საკითხს. „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით[150], მიგრანტები პარიზის ნაწილს ატერორებენ და, შედეგად, ცხოვრება შეუძლებელი ხდება.

ანტიდასავლური მედია წერდა, რომ კრიმინალის მხრივ მიგრანტები საფრანგეთის გარდა პრობლემებს ესპანეთშიც და შვედეთშიც ქმნიან[151].

ტრადიციულად, ანტიდასავლური წყაროები ევროპაში ევროსკეპტიკოსი პოლიტიკოსებისა და პარტიების მხარდაჭერით გამოირჩევიან. იგივე ტენდენცია წინასაარჩევნო პერიოდშიც გაგრძელდა. „ალტ-ინფომ“ ვიქტორ ორბანის ციტატა გააზიარა, რომლის მიხედვითაც „2050 წლისთვის ევროპის მოსახლეობის 20% მუსლიმი იქნება, მაგრამ ცენტრალური ევროპა მიგრაციის საკითხში სხვა გზას ირჩევს“. ასევე ავრცელებდნენ[152] ორბანის განცხადებას, რომ „ჯორჯ სოროსი არასამთავრობო ორგანიზაციების

მაფიოზური ქსელის ხელმძღვანელია“, რომელიც ევროპის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას პრობლემას უქმნის, რადგან ის „მართავს ბრიუსელის პოლიტიკას და ევროპაში ყოველწლიურად 1 მილიონი მიგრანტის შეყვანას ცდილობს“; მეტიც, საჭიროების შემთხვევაში ის აღნიშნულს ძალითაც, ევროპელი ხალხის ნების საწინააღმდეგოდაც კი გააკეთებს. ასევე ამტკიცებდნენ[153], რომ „მიგრანტი მუსლიმების ევროპული საზოგადოების მნიშვნელოვან ელემენტად გადაქცევის ინტენსიური პროცესი“ გამოკვეთილია, რამაც „სერიოზული სოციალური პრობლემები“ გამოიწვია და ამიტომ ევროპაში „საზოგადოების დეზინტეგრაციაზე“ დაიწყო მუშაობა.

„საქართველო და მსოფლიო“ წერდა[154], რომ უკვე ბევრი ფრანგი, ბელგიელი, გერმანელი, ნიდერლანდელი ხვდება, რომ მილიონობით მიგრანტი ევროპული კულტურისთვის უცხო და მტრულად განწყობილია, ევროპული ჰუმანიზმი კი გონებასუსტობას ჰგავს. „საქართველო და მსოფლიო“ აცხადებდა, რომ ევროპა მულტიკულტურიზმისა და პოლიტკორექტულობის დიქტატურის ქვეშ ცხოვრობს. პრორუსული მედია ასევე აღნიშნავდა[155], რომ იტალიაში ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან დაძრული მიგრანტების გამო შესაძლოა Italexit (იტალიის ევროკავშირიდან გასვლა) მოხდეს. იტალიის საკითხზე ისინი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ევროკავშირმა იტალიას საერთო ვალუტა, ევრო ძალდატანებით თავს მოახვია, რამაც ეკონომიკა დააზარალა და მთავრობას ევროკავშირიდან ნაკარნახევი პოლიტიკის გატარება მოუწია. აღნიშნული მიზეზიც Italexit გარდაუვალობის წარმოსაჩენადაა მოყვანილი.

ევროკავშირის შიდა იდეოლოგიური დაპირისპირება/ევროკავშირი დანგრევის პირასაა

წინასაარჩევნო პერიოდში კვლავ გრძელდებოდა უსაფუძვლო განცხადების პროპაგანდირება და შიშის დანერგვა, თითქოს „ევროკავშირი დანგრევის პირასაა[156]“, რადგან პანდემიის წინაშე ევროპა ერთიანი არაა. ასევე ამტკიცებდნენ, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე იკვეთება პოლიტიკურ-ეკონომიკური ბზარები. მათი არგუმენტის მიხედვით, თუ კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით შექმნილი დაპირისპირების გამო საბერძნეთი და თურქეთი სამხედრო კონფლიქტის საფრთხემდე მივიდნენ, იგივე შეიძლება გააკეთონ NATO-ს კიდევ ორმა წევრმა - სლოვენიამ და ხორვატიამ. ამ ნარატივის თანახმად, პოლონეთს შეუძლია ანტიდასავლური ქვეყნების ბლოკში 12 ცენტრალური და ევროპის ქვეყანას მოუყაროს თავი და აშშ-ის პროტექტორატის ქვეშ ვარშავის პაქტის მსგავსი გაერთიანება შექმნას. აღსანიშნავია, რომ ანტიდასავლური წყაროები ევროკავშირის დაშლის შესახებ წინა მონიტორინგის პერიოდებშიც მიუთითებდნენ, თუმცა სხვა ფაქტორებთან ერთად დაშლის მთავარ მიზეზად კორონავირუსის პანდემიით შექმნილ კრიზისს ასახელებდნენ, რომელიც მოცემულ მონიტორინგის პერიოდში გასული თვეების მასშტაბთან შედარებით თითქმის აღარ ფიგურირებდა.

კორონავირუსის კონტექსტში, ანტიდასავლური აქტორები წინასაარჩევნო პერიოდში კვლავ იმეორებდნენ[157] მარტ-აპრილში აქტუალურ პროპაგანდისტულ ნარატივს: „პანდემიამ ყველას დაანახვა, რომ არ არსებობს ერთიანი პოლიტიკური სოლიდარობა ევროპის ქვეყნებს შორის“. როგორც „საქართველო და მსოფლიო“ აცხადებდა, პანდემიის დროს ევროკავშირის „ყველა ქვეყანა საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა“ და ესპანეთი და იტალია სასიკვდილოდ

გაიწირა[158]. გაზეთი კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების გამო იტალიისა და ესპანეთის გაერთიანებიდან გამოსვლასაც არ გამორიცხავდა, რის შემდეგაც ევროკავშირის საბოლოოდ დაშლასაც აანონსებდა[159].

ამავე თემაზე "საქართველოს და მსოფლიო" წერდა[160], რომ ევროპის დიდი ქვეყნები „ყველგან ერთად არიან, დიდ რვიანში, ევროკავშირში თუ სხვა კავშირსა და ალიანსში, მაგრამ, როგორც კი საქმეს დასჭირდა, როგორც კი ფეხი დაუცდათ იტალიასა და ესპანეთს, დანარჩენები წიხლით შესდგნენ, გაჭირვებაში მყოფ ქვეყნებს ზურგი შეაქციეს და ბოდიშით შემოიფარგლნენ, დაახლოებით ისე, ჩვენ აღშფოთება-შეშფოთებას რომ გვაკმარებენ ხოლმე". პრორუსული მედიის მტკიცებით, ევროკავშირში სოლიდარობის არარსებობის გამო, გაერთიანება არც საქართველოს დაეხმარება და ამიტომ საქართველომ ევროპისკენ სვლა უნდა შეწყვიტოს. ევროკავშირის ნეგატიურ ბუნებაზე ხაზგასასმელად, მედიები 2008 წელს აგვისტოს ომის დროს დასავლეთის უუნარობაზეც საუბრობდნენ: „დასავლეთი მხოლოდ შეშფოთდა და არ დაგვეხმარა და დღეს კი დახმარების ნაკლები შანსია, რადგან დასავლეთში უკვე აღარ არის ისეთი გეოპოლიტიკური მოცემულობა, როგორიც თუნდაც 12-15 წლის წინათ იყო[161]".

„საქართველო და მსოფლიო" ევროკავშირში იდეოლოგიურ განხეთქილებაზეც მიუთითებდა, რადგან აღმოსავლეთ ევროპა მემარცხენე კულტურულ დღის წესრიგზე („ლგბტ" და გენდერული იდეოლოგია) უარს ამბობდა. ანტიდასავლური წყაროები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს სტამბულის კონვენციას მამაკაცის მასკულინობის შემზღუდვლად და ოჯახის დამღუპველად წარმოაჩენდნენ, რომელსაც პოლონეთი დაუპირისპირდა[162]. ამასთან, ციტირებდნენ[163] იაროსლავ კაჩინსკის: „პოლონეთი მაშინ უფრო თავისუფალი იყო, როცა საბჭოთა კავშირს ემორჩილებოდა, ვიდრე დღეს, როცა ევროკავშირშია", რადგან ის „კულტურული სუვერენიტეტის" წართმევას ცდილობს. ასევე ამტკიცებდნენ[164], რომ ჩრდილოეთის ნაკადი-2-სა და გერმანიასთან დაპირისპირების გამო „ტრამპს შეუძლია ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ გამოიყენოს". ხოლო პოლონეთიც, თავის მხრივ, ტრამპის მხარდაჭერისა და ბრიუსელისა და ბერლინის კრიტიკისკენ მიმართულ პოლიტიკას ატარებს. შესაბამისად, „საქართველო და მსოფლიო" ასკვნის, რომ ბრექსიტის შემდეგ ევროკავშირისგან „ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის გამოყოფა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დიდი წარმატება იქნება".

ანტიდასავლური წყაროები ევროკავშირში ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდაჭერით გამოირჩეოდნენ, რაც ევროსკეპტიკური და ულტრამემარჯვენე ხასიათის სიახლეების შერჩევითად გაშუქებით ხდებოდა. მაგალითად, ორგანიზებულად ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ჩეხეთში 10%-ით მოიმატა[165] ევროკავშირის წევრობით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ. ასევე, ამტკიცებდნენ, რომ „ე.წ. ევროპულ ფასეულობებს ევროპაში ბევრი არ იზიარებს[166]". აღნიშნულის მაგალითად კი უნგრეთი და პოლონეთი მოჰყავდათ, რომელთაგანაც ევროკავშირმა ფინანსური დახმარების სანაცვლოდ შეიძლება „უფლებათა უზენაესობის დაცვის საბაბით" „სექსუალური უმცირესობების ინტერესების ლობირებისა და მიგრანტების მიღების გარანტიები" მოითხოვოს.

პრორუსული მედიები წერდნენ რომ „ერთადერთი გამოსავალი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელსაც სურს სუვერენიტეტისა და ეკონომიკის შენარჩუნება, ევროკავშირიდან გასვლაა".

აქედან გამომდინარე ამტკიცებდნენ, რომ „ნიდერლანდები შეიძლება ევროკავშირიდან გავიდეს[167]“, ხოლო Nexit [ნიდერლანდების ევროკავშირიდან გასვლა] ევროკავშირს საბოლოოდ დაშლის მიზეზად შეაფასეს. ევროკავშირიდან გასვლის კანდიდატებად საფრანგეთი, დანია, შვედეთი და ავსტრიაც დასახელდა.

ამ ყველაფრის ფონზე ხდებოდა საქართველოს დასავლური კურსის დისკრედიტაცია და იმის მტკიცება, რომ ისედაც დაშლის პირას მყოფ ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი, იმ ფონზე როდესაც ის ახდენს ეროვნული სუვერენიტეტისა და ეკონომიკური განვითარების შეფერხებას, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ქართული საზოგადოების ღირებულებებსა და ფასეულობებს ეწინააღმდეგება.

წყაროები:

[122] პატრიოტი TV, “"ეკლესია დაუმარცხებელია" - მამა დავით ქვლივიძე”, 2020, ხელმისაწვდომია: http://patrioti-tv.ge/sazogadoeba/685--.html

[123] პატრიოტი TV „მიმდინარეობს შეტევა კავკასიელი ხალხების საუკუნოვან საფუძვლებზე - მამა დავით ქვლივიძე“, ხელმისაწვდომია: http://patrioti-tv.ge/sazogadoeba/691--.html

[124] საქართველო და მსოფლიო, „ევროპაში ბავშვებს სკოლიდანვე ხრწნიან“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროპაში-ბავშვებს-სკოლიდ/

[125] საქართველო და მსოფლიო. „კიდევ ერთი სოდომით მეტი: ჩერნოგორიაში ლეგალიზებულია ერთნაირსქესიანთა დაქორწინება“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/კიდევ-ერთი-სოდომით-მეტი-ჩ/

[126] ბესო ბარბაქაძე, „დასავლური ცხოვრების “სიკეთეები” – თავნება, სასტიკი და ფესვებს მოწყვეტილი ახალგაზრდა თაობა“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/დასავლური-ცხოვრების-სიკ/

[127] დარეჯან ანდრიაძე, „“ღმერთო, მიეცი ქართველ კაცს ძაღლის გრძნობა და ჭკუაო”, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ღმერთო-მიეცი-ქართველ-კა/

[128] ბესო ბარბაქაძე, „სამარცხვინო ანომალია“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/სამარცხვინო-ანომალია/

[129] საქართველო და მსოფლიო, „ანტიუტოპია ცხოვრებად ყალიბდება“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ანტიუტოპია-ცხოვრებად-ყალ/

[130] იზა თამაზაშვილი, „საქართველო ევროპა-ამერიკის ბორდელისაგან უნდა განთავისუფლდეს“, isari.ge, 2020, ხელმისაწვდომია: https://isari.ge/2021/06/19/საქართველო-ევროპა-ამერიკ

[131] გიორგი გაჩეჩილაძე, „დასავლეთში სიტყვის თავისუფლება საფრთხეშია და ეს საფრთხე დღითიდღე მატულობს“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/დასავლეთში/სიტყვის/თავის/

[132] თვალსაზრისი, „“ჭეშმარიტი სარწმუნოების დამკარგავი დასავლეთი ავად არის” -ალექსანდრე ფალავანდიშვილი“, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/ჭეშმარიტი-სარწმუნოების/

[133] გიორგი გაჩეჩილაძე, „ფეიკების ტერიტორია: დიდი ტყუილის დასავლური თეორია“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ფეიკების-ტერიტორია-დიდი/

[134] ვალერი კვარაცხელია, „ოქროს კვეთა“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმსიაწვდომია: http://geworld.ge/ge/ოქროს-კვეთა-15/

[135] დავით აბულაძე, „თანამედროვე, დასავლურ ეკონომიკურ სივრცეში ჩვენი ადგილი არ არის“, ნიუსფრონტი, 2020, ხელმისაწვდომია: https://ge.news-front.info/2020/07/06/thanamedrove-da-savlur-ekonomikur-sivrtseshi-chveni-adgili-ar-aris/?fbclid=IwAR2gRDYrTyJMwt8MhpBPf-BAsb7XFO48DazfXQ2QZmR2OMomN2RMaRnyEpBQ

[136] ირაკლი ჯანყარაშვილი, „სოფლის მეურნეობის ნგრევამ და რუსული ბაზრის ევროპულით ჩანაცვლებამ რეგიონი მძიმე სოციალურ მდგომარეობამდე, დემოგრაფიულ კატასტროფამდე და ”ოსმალოს” მიერ კულტურულ – ეკონომიკურ ექსპანსიამდე მიიყვანა“, თვალსაზრისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/სოფლის-მეურნეობის-ნგრევი/

[137] გიორგი გაჩეჩილაძე, „ევროკავშირთან ურთიერთობის 6-მა წელიწადმა მოლდოვას მხოლოდ ზარალი მოუტანა“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://ge-world.ge/ge/ევროკავშირთან-ურთიერთობ/

[138] ზაზა დავითაია, „რუსეთს თუ დაველაპარაკებით, ჯერ კიდევ შესაძლებელია, ისეთი ფორმაციის შექმნა, რომელიც საქართველოს გაერთიანებს – ვლადიმერ ხომერიკი“, თალსაზრისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://tvalsazrisi.ge/რუსეთს-თუ-დაველაპარაკები/

[139] დავით მხეიძე, “მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი”, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/მე-არც-გიორგი-მეფის-მეხო/

[140] ჯაბა ჟვანია, „ნანა კაკაბაძე: დღეს საქართველო არის რეგიონის ყველაზე ღირსებაშელახული, წარუმატებელი და უპერსპექტივო ქვეყანა“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ნანა-კაკაბაძე-დღეს-საქარ/

[141] ეკა ნასყიდაშვილი, „თამარ კიკნაძე: საქართველო სხვა თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა _ დასავლურ-ამერიკულის. მივიწევთ ნატოსკენ, ასოცირების ხელშეკრულებაზე მოვაწერეთ ხელი და ამ ყველაფერს საერთო არაფერი აქვს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებასთან“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/თამარ-კიკნაძე-საქართველ-3/

[142] ბესო ბარბაქაძე, „რატომ გვაძალებს დასავლეთი კოალიციური მთავრობის შექმნას და რატომ გვიკრძალავს რუსეთთან ერთი ერთზე ლაპარაკს“ საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/რატომ-გვაძალებს-დასავლეთ/

[143] ბესო ბარბაქაძე, „ევროპაში მაღალი საარჩევნო ბარიერი და თითზე ჩამოსათვლელი პარტიები რომ არის, ჩვენ რატომ გვტენიან ნულოვან ბარიერსა და ასობით პარტიას?“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროპაში-მაღალი-საარჩევნ/

[144] საქართველო და მსოფლიო, „ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია გეგმები, მექანიზმები, შედეგები“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროკავშირის-ჩრდილოვან-3

[145] საქართველო და მსოფლიო, „ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია“ 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროკავშირის-ჩრდილოვან-4/

[146] საქართველო და მსოფლიო, „ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია“ 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროკავშირის-ჩრდილოვანი/

[147] საქართველო და მსოფლიო, „ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია“ 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ვროკავშირის-ჩრდილოვან-5/

[148] საქართველო და მსოფლიო, „ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია“ 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ვროკავშირის-ჩრდილოვან-6/

[149] საქართველო და მსოფლიო, „ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია“ 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ვროკავშირის-ჩრდილოვან-2/

[150] ლუკა მაისურაძე, „Le Parisien: ცხოვრება უკვე შეუძლებელია _ არასრულწლოვანი მაროკოელები პარიზის ერთ-ერთი კვარტლის მცხოვრებლებს ატერორებენ“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/le-parisien-ცხოვრება-უკვე-შეუძლებე/

[151] საქართველო და მსოფლიო, 39-ე გამოცემა, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/NEW/PDF/geworld-39-2020.pdf

[152] საქართველო და მსოფლიო, „“ჯორჯ სოროსი არასამთავრობო ორგანიზაციების მაფიოზური ქსელის ხელმძღვანელია”, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ჯორჯ-სოროსი-არასამტავრო/

[153] საქართველო და მსოფლიო, „ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროკავშირის-ჩრდილოვან-7/

[154] გიორგი გაჩეჩილაძე, „რატომ იწვის ქრისტიანული ტაძრები ევროპაში“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/რატომ-იწვის-ქრისტიანული/

[155] ნიკა კორინთელი, „გამოიწვევს თუ არა Italexit-ს “მზრუნველი” ევროკავშირის დირექტივები“, საქართველო დამსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/გამოიწვევს-თუ-არა-italexit-ს-მზრ/

[156] გიორგი გაჩეჩილაძე, „ევროკავშირი თუ ევროგანხეთქილება: ვითომ მეგობრების ალიანსი დანგრევის პირასაა“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროკავშირის-თუ-ევროგანხე/

[157] ნიკა კორნითელი, „Nexit-ი ევროკავშირს დაშლის, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/nexit-ი-ევროკავშირს-დაშლის/

[158] გიორგი გაჩეჩილაძე, „ევროკავშირთან ურთიერთობის 6-მა წელიწადმა მოლდოვას მხოლოდ ზარალი მოუტანა“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროკავშირთან-ურთიერთობ/

[159] ნიკა კორინთელი, „ევროკავშირი დაშლასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროკავშირი-დაშლასთან-ას/

[160] ბესო ბარბაქაძე, „საქართველოში ამომრჩეველს ვინ რას ეკითხება _ მთავარია, ევროპასა და ამერიკაში კონკრეტულ ადამიანებს როგორ გუნებაზე გაეღვიძებათ“, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/საქართველოში-ამომრჩეველ/

[161] ჯაბა ჟვანია, „გივი იუკურიძე: რეალურია საფრთხე, რომ სომხებმა და აზერბაიჯანელებმა თავიანთი ტაქტიკური მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორია გამოიყენონ“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/გივი-იუკურიძე-რეალურია-ს

[162] გიორგი გაჩეჩილაძე, „ევროკავშირის გენდერული ტერორი“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ევროკავშირის-გენდერული-ტ/

[163] ლუკა მაისურაძე, „კაჩინსკი: პოლონეთი მაშინ უფრო თავისუფალი იყო, როცა საბჭოთა კავშირს ემორჩილებოდა, ვიდრე დღეს, როცა ევროკავშირშია“. საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/კაჩინსკი-პოლონეთი-მაშინ/

[164] იხილეთ.: 45

[165] ნიკა კორინთელი, ჩეხეთში მოიმატა ევროკავშირის წევრობით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ჩეხეთში-მოიმატა-ევროკავშ/

[166] გიორგი გაჩეჩილაძე, „ე.წ. ევროპულ ფასეულობებს ევროპაში ბევრი არ იზიარებს“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/ე-წ-ევროპულ-ფასეულობებს-ე/

[167] ნიკა კორინთელი, „Nexit-ი ევროკავშირს დაშლის“, საქართველო და მსოფლიო, 2020, ხელმისაწვდომია: http://geworld.ge/ge/nexit-ი-ევროკავშირს-დაშლის/

აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა

საქართველოში რუსული პროპაგანდის ერთ-ერთ ამოცანას მოსახლეობის იმაში დარწმუნება წარმოადგენს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა სრული ფიქციაა, ხოლო სტრატეგიულ პარტნიორად წოდებულ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა, სინამდვილეში საქართველოსთვის მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანია. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ წარმოებული ონლაინ მედიის მონიტორინგის ფარგლებში, აღნიშნულმა ნარატივმა სხვადასხვა სახეცვლილებით იჩინა თავი და მისი სამიზნე აშშ-ის კონგრესის წევრები და საქართველოში აშშ-ის ელჩი, კელი დეგნანი გახდნენ.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც 120 მანდატი პარტიების მიერ მიღებული ხმათა რაოდენობის პროპორციულად, ხოლო 30 მანდატი - მაჟორიტარი წესით გადანაწილდა. აქამდე, საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა მხოლოდ 100 იყო, ხოლო დარჩენილი 50 დეპუტატი, ხელისუფლებაში მყოფი ძალისთვის უფრო სასურველი, მაჟორიტარული წესით ირჩეოდა. ძველი საარჩევნო სისტემიდან ახალზე გადასვლა საქართველოში უმტკივნეულო პროცესი არ აღმოჩნდა და ოპოზიციამ აღნიშნულ შედეგს მხოლოდ რამდენიმეთვიანი საპროტესტო აქციების შემდეგ მიაღწია. ქვეყანა საპარლამენტო არჩევნებს აქციების შემდგომი დაძაბული პოლიტიკური გარემოთი შეხვდა. რა თქმა უნდა, კარგად ორგანიზებულმა პრორუსულმა აქტორებმა, რომლებიც საკუთარი მიზნების მისაღწევად ნებისმიერი შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობენ, არჩევნების კონტექსტში, საქართველოში შექმნილი მსგავსი კრიზისული სიტუაციის სათავისოდ გამოყენება სცადეს და საქართველოს უახლოესი მოკავშირის, აშშ-ის მადისკრედიტებელი არაერთი კამპანია წარმართეს.

პრორუსული გამოცემა, „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, რომ ვაშინგტონი საქართველოს სუვერენიტეტს არად აგდებს და ქვეყნის შიდა საქმეებში უხეშად ერევა.[62] გამოცემის მიხედვით, საარჩევნო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები და პროპორციულ მოდელზე გადასვლა ქართველი ხალხის და ამომრჩევლების მოთხოვნა არ იყო, თუმცა ერთმა „ჩია ქალმა, კელი დეგნანმა, გადაწონა მთელი ერი“.[63]

ამასთან, ულტრამემარჯვენე „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული გვერდები გამუდმებით ესხმოდნენ თავს ამერიკის საელჩოს. მაგალითად, „ალტკლუბის“ მიხედვით, კელი დეგნანმა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო „ქცევის კოდექსზე“ ხელმოწერა „უბრძანა“. რადიკალური, ულტრა-მემარჯვენე ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს დღის წესრიგს სწორედ აშშ-ის ელჩი უდგენს.

„საქართველო და მსოფლიოს“ კიდევ ერთი მტკიცებით, ამერიკელი პოლიტიკოსების მხარდაჭერა ხელისუფლებაში მყოფ „ქართული ოცნებას“ არ ჰქონდა, რის გამოც გამოცემა პარტიის ლიდერს, ქვეყნის არაფორმალურ მმართველს, ბიძინა ივანიშვილს საგარეო პოლიტიკური ვექტორის გადახედვასა და „რუსეთის ხელმძღვანელობასთან გონივრული, ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის“ დაწყებისკენ მოუწოდებდა.[64]

საქართველოს ხელისუფლებაზე აშშ-ის ელჩის გავლენებზე საუბრისას, ღიად

პრორუსული გამოცემა „ნიუსფრონტი“ ამტკიცებდა, რომ ბელარუსში გამართული არჩევნების შემდეგ ალექსანდრე ლუკაშენკოსთვის „პრეზიდენტობის“ არ მილოცვა[65] სწორედ ამერიკელების ზეწოლის შედეგი იყო. ბელარუსთან დაკავშირებული კიდევ ერთი გზავნილი კი პრორუსული „საქინფორმის“ მიერ გავრცელდა, რომელიც არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს და ამტკიცებდა, რომ „თუ „ქართული ოცნება“ კვლავაც გაბედავს[66] არჩევნებში გამარჯვებას და უმრავლესობას შექმნას პარლამენტში, ისინი [ამერიკელები და ოპოზიცია] მათ ბათილად ცნობენ და საქართველოში ბელარუსულ სცენარს გაიმეორებენ“.

საანგარიშო პერიოდში, აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციის კონტექსტში აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია იმის თაობაზეც, რომ ტრამპის „კონსერვატიულ ადმინისტრაციასა“ და საქართველოში აშშ-ის „ლიბერალურ საელჩოს“ შორის დაპირისპირება არსებობდა,[67] რაც თითქოს იმით გამოიხატებოდა, რომ თეთრი სახლი საქართველოს არჩევნებში მხარს „ქართულ ოცნებას“ უჭერდა, საელჩო კი - პროდასავლურ ოპოზიციას.

არჩევნებისწინა პერიოდში ანტი-ამერიკულ ნარატივებს შორის უხვად ვრცელდებოდა გზავნილები, რომელთა მიხედვითაც, ვაშინგტონსა და თბილისს შორის არა პარტნიორული,[68] არამედ კოლონიალური[69] ურთიერთობები არსებობს. ამის ერთ-ერთ ილუსტრაციად კი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის თემა და მასში აშშ-ის მიერ რუსეთისა და ჩინეთისთვის კონკურენციის გაწევა მოჰყავდათ. კერძოდ, 21-ე საუკუნის კოლონიალიზმად მონათლა[70] დიმიტრი ლორთქიფანიძემ, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრის დირექტორმა და დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატმა, ამერიკის მცდელობა, არ დაუშვას ანაკლიის პროექტში რუსული და ჩინური ინვესტიციების არსებობა. აღიშნული, ლორთქიფანიძის თქმით, არ შეესაბამება პარტნიორული ურთიერთობების პრაქტიკას.

არჩევნების წინ ქართველი ამომრჩევლების ქვეყნის დასავლური კურსის სიმცდარეში დარწმუნების მიზნით გავრცელებულ ანტი-ამერიკულ გზავნილებს შორის აღსანიშნავია პრორუსული აქტორების ძალისხმევა, რომელთა მტკიცებითაც, აშშ-ის დახმარება არაფერია[71] რუსეთიდან შემოსულ ფინანსებთან შედარებით. პროპაგანდის მიხედვით, ეს დახმარება საქართველოს დიდად არც სჭირდება, რადგან ის აშშ-ის მიერ ხელისუფლების „მოსყიდვისა“[72] და „უპირობო მორჩილების მიღების“ საშუალებაა. ამ კუთხით, საყურადღებოა გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ კიდევ ერთი სტატია,[73] რომელიც ამერიკიდან შემოსული დახმარებებისა და ეკონომიკური შემოსავლის დაკნინებას, რუსული ფინანსების სასარგებლოდ ცდილობდა. გამოცემის მტკიცებით, აშშ-დან ექსპორტის გზით მიღებული შემოსავალი 40 მილიონს ვერ სცდება, მაშინ როდესაც რუსეთიდან მილიარდები შემოდის. ამასთან, სტატიაში მანიპულაციურად იყო მოწოდებული სავაჭრო ბრუნვის მონაცემები და ყურადღება ამერიკასთან არსებულ უარყოფით სავაჭრო სალდოზე, როგორც განსაკუთრებით უარყოფით მოვლენაზე იყო გამახვილებული, ეს კი მაშინ, როდესაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს თითქმის ყველა სავაჭრო პარტნიორთან, მათ შორის რუსეთთან.

იმავე მიზნით გავრცელებულ ანტი-ამერიკულ გზავნილებს შორის აღსანიშნავია ომის მიმართ მოსახლეობის შიშისა და ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არსებული სენტიმენტების გამოყენების მცდელობაც. კერძოდ, „ნიუსფრონტის“ მტკიცებით,[74] მაშინ, როდესაც

საქართველოს საერთოდ არ სჭირდება ამერიკა, ამერიკას საქართველო სჭირდება, „როგორც აშშ-ის ერთადერთი სამხედრო დასაყრდენი კავკასიასა და შავ ზღვაზე – რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის წინააღმდეგ, ასევე როგორც სარეზერვო დერეფანი ავღანეთიდან ჯარების გასაყვანად და პირიქით – ირანზე იერიშის შემთხვევაში გადასატვირთავ პუნქტად“. აღნიშნულის პარალელურად, „ნიუსფრონტი“ ცდილობდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მცდელობებში რუსული მხარე დადებითად წარმოეჩინა, ხოლო საპირისპიროდ, ამერიკული მხარე დაედანაშაულებინა. „ნიუსფრონტის“ სტატიის[75] მიხედვით, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები, რომელიც რუსეთის მედიაციით წარმატებით მიმდინარეობდა 1997 წელს, ამერიკელებმა სენატორ მიჩ მაკკონელის მეშვეობით ჩაშალეს. აღნიშნული ნარატივით, რომლის შესაბამისი გზავნილებიც სამონიტორინგო პერიოდში არაერთხელ დაფიქსირდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოუგვარებელი კონფლიქტის არსებობა აშშ-ის ინტერესებშია, რათა საქართველომ და რუსეთმა ვერასდროს შეძლონ ნორმალური ურთიერთობების აღდგენა. „საქართველო და მსოფლიოს“ ერთ-ერთ სტატიაში[76] ვალერი კვარაცხელია - პრორუსული ტელეკომპანიის, „ობიექტივის“ წამყვანი ამტკიცებდა, რომ აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ პირებს აშშ-ის სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ. კვარაცხელიას მტკიცებით, შამილ ბასაევი და მის დაჯგუფება საქართველოს წინააღმდეგ ომში ამერიკული სცენარით ჩაერთვნენ, რადგან აფხაზეთის ომში საქართველოს დამარცხება სწორედ ამერიკელების ინტერესებში შედიოდა. მსგავსი გზავნილი გაავრცელა დიმიტრი ლორთქიფანიძემაც, რომელმაც ამერიკელები 1997 წლის ქართულ-აფხაზური დიალოგის ჩაშლის გარდა, 2004 წელს მიმდინარე მოლაპარაკებების (სერგეი შამბას ვიზიტი თბილისში) ჩაშლაშიც დაადანაშაულა.

არჩევნების კონტექსტში განსახილველ ანტი-ამერიკულ გზავნილებს უნდა მივაკუთვნოთ პრორუსული მედიების მიერ აშშ-ის, ერთი მხრივ, დაღმავალ გლობალურ პოლიტიკურ ძალად, ხოლო, მეორე მხრივ, მორალური დეგრადაციის გზაზე მყოფ სახელმწიფოდ წარმოჩენისკენ მიმართული ძალისხმევაც, რაც მიზნად საქართველოს საგარეო პოლიტიკური დასავლური კურსის სისწორის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას ისახავდა. კერძოდ, „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, ამერიკის საგარეო ვალი კატასტროფულად იზრდება, რასაც ქვეყნის ეკონომიკა[77] დიდხანს ვერ გაუძლებს, შედეგად კი, კრიზისში[78] მყოფ ამერიკულ დოლარს მალე ჩინური იუანი[79] ჩაანაცვლებს. ამასთან, იგივე გამოცემა აცხადებდა, რომ ამერიკელები ევროპაში მიმდინარე „საზოგადოების მორალური ლპობის პროცესს“ მხარს უჭერენ,[80] ამერიკული (დასავლური) განათლების სისტემის შედეგი კი, საქართველოში მოზარდებს შორის გაზრდილი ძალადობა და მკვლელობებია.[81]

საქართველოს სიტუაციაში მყოფი ქვეყნისთვის ანტი-ამერიკული და ანტიდასავლური პოზიციის დაკავება რუსული გავლენების ქვეშ მოქცევას ავტომატურად ნიშნავს. შესაბამისად, მსგავსი გზავნილების არჩევნების კონტექსტში გავრცელება იმ პოლიტიკური პარტიების მიზნებს ემსახურებოდა, რომლებიც რუსეთთან დასავლეთის ჩართულობის გარეშე მოლაპარაკებების დაწყებისა და ურთიერთობების აღდგენას ადვოკატირებდნენ.

[62] ბესო ბარბაქაძე. (2020). ტრამპი ალთას, მისი ელჩი დეგნანი ბალთას. მოძიებულია: http://ge-world.ge/ge/ტრამპი-_-ალთას-მისი-ელჩი-დე/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[63] ბესო ბარბაქაძე. (2020). გისმენთ და გემორჩილებით! მოძიებულია: http://ge-world.ge/ge/გისმენთ-და-გემორჩილებით/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[64] ვასილ ბეგლარიშვილი. (2020). ამერიკელი კონგრესმენების დაკრულზე მოცეკვავე საქართველო და ბოლო შანსი ივანიშვილისთვის. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ამერიკელი-კონგრესმენებ-2/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[65] ნიუსფრონტი. (2020). ბატონო პრემიერო, თქვენ დაამტკიცეთ, რომ საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა- კოლონიაა, რომ აშშ-ს ელჩის დაუკითხავად საკუთარ ხალხსაც კი ვერ მიმართავთ. მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/08/16/batono-premiero-thqven-daamtkitseth-rom-saqarthvelo-ar-shemdgari-sakhelmtsiphoa-koloniaa-ashsh-s-elchis-daukithkhavad-sakuthar-khal-khsats-ki-ver-mimarthavth-ilona-batsatsashvili/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[66] საქინფორმი. (2020). საქართველოში დასაბრუნებლად სააკაშვილს სერიოზული რესურსი გააჩნია. მოძიებულია: http://saqinform.ge/news/47727/saqarTveloshi+dasabruneblad+saakash-vils+seriozuli+resursi+gaachnia+-+arno+xidirbegishvili.html ბოლო ნახვა: 25.05.2021

[67] ირაკლი ჯანყარაშვილი. (2020). ამერიკაში კონსერვატორი პრეზიდენტი ტრამპის პრეზიდენტობის დროს ამერიკის საელჩო საქართველოში ისევ ლიბერალურ ოპოზიციას ლობირებს. მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/ამერიკაში-კონსერვატორი-პ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[68] ჯაბა ჟვანია. (2020). ნანა კაკაბაძე: რა არის სტრატეგიული პარტნიორობა _ ის, რომ სასამართლოს თითის ქნევით გვიშინებენ და ცხრაწლიანი რეჟიმის კრიმინალებს პოლიტპატიმრებად გვათავისუფლებინებენ?! მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ნანა-კაკაბაძე-რა-არის-სტრ/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[69] თვალსაზრისი. (2020). სენატორო რიშ! ვინც ჩემს ქვეყანას კოლონიასავით ექცევა, ის ჩემთვის დამპყრობელი ხდება. მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/სენატორო-რიშ-ვინც-ჩემს-ქვ/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[70] ჯაბა ჟვანია. (2020). დიმიტრი ლორთქიფანიძე: ამერიკის შეერთებული შტატები, პრაქტიკულად, გვაიძულებს, დავიჩოქოთ და მოგებული საქმე გამოვაცხადოთ წაგებულად. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/დიმიტრი-ლორთქიფანიძე-ამ/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[71] საქინფორმი. (2020). არნო ხიდირბეგიშვილი: რუსეთი საქართველოსგან წელიწადში მარტო ღვინოს ყიდულობს იმ თანხის, რაც აშშ-ის მთელ დახმარებას აღემატება! მოძიებულია: http://gruz-inform.ge/news/47117/arno+xidirbegishvili%3A+ruseTi+saqarTvelosgan+weliwadshi+marto+Rvi-nos+yidulobs+im+Tanxis%2C+rac+ashsh-is+mTel+daxmarebas+aRemateba%21.html ბოლო ნახვა: 25.05.2021

[72] ჯაბა ჟვანია. (2020). ნანა კაკაბაძე: გვეუბნებიან, რომ ამერიკა საქართველოსგან ელოდება კოალიციურ ხელისუფლებას. ჩნდება შეკითხვა: რა არის მთავარი _ ვაშინგტონი რას ელოდება თუ

რას ელოდება ქართველი ხალხი? მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ნანა-კაკაბაძე-გვებნები/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[73] ბესო ბარბაქაძე. (2020). საქართველოსთვის გადმოგდებული გამოხრული ძვალი. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/საქართველოსთვის-გადმოგდ/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[74] ნიუსფრონტი. (2020). "საქართველოს კი არ სჭირდება ამერიკა, ამერიკას სჭირდება საქართველო!" – არნო ხიდირბეგიშვილი. მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/08/06/saqarthvelos-ki-ar-stchirdeba-amerika-amerikas-stchirdeba-saqarthvelo-arno-khidirbegishvili/?fbclid=IwAR3wKPBQqRphb3zNXyNUk71Z2HP6m6NhybL-1UFaCjsZMQxcgX-8Aw15Vy4 ბოლო ნახვა: 25.05.2021

[75] ნიუსფრონტი. (2020). იცნობდეთ "გმირს", ვისი მოწადინებითაც აფხაზებთან დაწყებული მოლაპარაკების პროცესი ჩაიშალა! მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/08/07/itsnobdeth-gmirs-visi-motsadinebithats-aphkhazebthan-datsqhebuli-molaparakebis-protsesi-chaishala/?fbclid=IwAR3gkyDbu7gofPTuQ8RZAOQp56TaLgMBmp7cOFuaONGpPGHUOcn6hy9Id7k ბოლო ნახვა: 25.05.2021

[76] საქართველო და მსოფლიო. (2020). "ოქროს კვეთა". მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ოქროს-კვეთა-19/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[77] საქართველო და მსოფლიო. (2020). აშშ-ის სახელმწიფო ვალმა ეკონომიკის დაცემის ფონზე კატასტროფულად მოიმატა. მოძიებულია: https://geworld.ge/ge/აშშ-ის-სახელმწიფო-ვალმა-ე/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[78] საქართველო და მსოფლიო. (2020). Goldman Sachs-ი: დოლარი მალე აღარ იქნება მსოფლიოს მთავარი ვალუტა. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/goldman-sachs-ი-დოლარი-მალე-აღარ-იქნებ/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[79] ლუკა მაისურაძე. (2020). ჩინეთი უხმაუროდ ამბობს უარს დოლარის გამოყენებაზე. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/ჩინეთი-უხმაუროდ-ამბობს-უ/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[80] საქართველო და მსოფლიო. (2020). კიდევ ერთი სოდომით მეტი: ჩერნოგორიაში ლეგალიზებულია ერთნაირსქესიანთა დაქორწინება. მოძიებულია: http://geworld.ge/ge/კიდევ-ერთი-სოდომით-მეტი-ჩ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[81] ბესო ბარბაქაძე. (2020). ცხოვრება ტრაგედიიდან ტრაგედიამდე. მოძიებულია: http://ge-world.ge/ge/ცხოვრება-ტრაგედიიდან-ტრა/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

ანტი-თურქული დეზინფორმაცია და პროპაგანდა

მოცემულ თავში განხილული იქნება თურქეთის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია და პროპაგანდა. საქართველოში პირდაპირ პრორუსული პროპაგანდა მოსახლეობაში დასავლეთისადმი მხარდაჭერის შესუსტებასა და ანტიდასავლური განწყობების გაღვივებაში სერიოზული წარმატების მიღწევა უჭირს, რადგან რუსულმა ოკუპაციამ და მისმა თანმდევმა მოვლენებმა, როგორებიცაა ადამიანების ხშირი უკანონო დაკავება და მკვლელობაც კი, საქართველოს მოსახლეობის თვალში რუსეთი მტრულ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა. შესაბამისად, რუსეთს საქართველოში იმიჯის გამოსწორება უჭირს და რუსული აგრესიისა და მისგან მომდინარე საფრთხეების გამო მოსახლეობაში ორიენტაცია უფრო პროდასავლური გახდა. აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად რუსულმა პროპაგანდამ ანტითურქული ნარატივების გავრცელება გადაწყვიტა, რაც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერის შემცირების ირიბი გზაა. დასახელებული ამოცანის განსახორციელებლად, რუსული პროპაგანდა თურქეთს აგრესორად ახასიათებს და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაში ადანაშაულებს. აღნიშნულის მიზანი რუსული ოკუპაციის ნიველირება, რუსეთისგან მომდინარე საფრთხისგან ყურადღების გადატანა და საქართველოს მტრად არა რუსეთის, არამედ თურქეთის წარმოჩენაა. ამ მიდგომას საბოლო მიზანია ქართულ მოსახლეობას თურქეთი მთავარ მტრად, ხოლო რუსეთი მისგან დამცველ სახელმწიფოდ წარმოუდგინოს. ამასთან, ანტითურქული დეზინფორმაცია NATO-ს საწინააღმდეგო პროპაგანდასაც უკავშირდება, რადგან NATO-ს წევრი თურქეთის აგრესორად და ოკუპანტად განხილვა საქართველოს მოსახლეობაში თურქეთისადმი უარყოფითი განწყობების ჩამოყალიბების გარდა NATO-ში გაწევრიანების მხარდაჭერის შესუსტებასაც ემსახურება. ანტითურქული ნარატივების NATO-ს საწინააღმდეგო პროპაგანდასთან კავშირს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დეზინფორმაციული წყაროები თურქეთის საწინააღმდეგო მესიჯებს პერიოდულად სწორედ NATO-ს კონტექსტში ავრცელებენ.

ანტითურქული პროპაგანდის შესახებ მეტი კონტექსტის შესაქმნელად, საჭიროა, აღინიშნოს, რომ რეგიონში მეზობლებიდან საქართველოს ყველაზე ახლო და სტრატეგიული ურთიერთობები სწორედ თურქეთთან აქვს, რომლის დაზიანებაც რუსული პროპაგანდის მიზანს წარმოადგენს. მაგალითად, საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებულია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება[218] და თურქეთის საქართველოს ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს 1,6 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის ვაჭრობით.[219] საქართველო-თურქეთის პარტნიორობა საკმაოდ მჭიდროა, მაგალითად, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებშიც - აზერბაიჯანის ენერგორესურსები საქართველოს გავლით სწორედ თურქეთიდან ხვდება ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში; ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოსთვის დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მილსადენები, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზერუმი, ხოლო სატრანსპორტო ქსელებიდან მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა.[220] ამასთან, საქართველო და თურქეთი უსაფრთხოების სფეროშიც თანამშრომლობენ და თურქეთი საქართველოს NATO-ში გაწევრიანებას აქტიურად უჭერს მხარს.[221] მიუხედავად ამისა, რუსული პროპაგანდა ამტკიცებს, რომ თურქეთის საქართველოსთან მიმართებით

აგრესიულია, მისი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და დამატებით საქართველოს სხვა ტერიტორიების მიტაცებასაც გეგმავს. აღნიშნული მესიჯები ისტორიულად საქართველოსა და თურქეთს (ოსმალეთს) შორის არსებულ დაპირისპირებებსა და ომებს ემყარება; ხოლო თურქეთის მიერ ოკუპირებულად საქართველოს ისტორიულ ტაო-კლარჯეთის რეგიონის მიიჩნევენ, რომელიც დღეს 1921 წელს დადებული მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების შედეგად თურქეთის შემადგენლობაშია. რეალურად, აღნიშნული ხელშეკრულებები თურქეთთან საბჭოთა რუსეთმა დადო და მასზე ხელი მის მარიონეტულ საქართველოს საბჭოთა მთავრობასაც მოაწერინა.[222] ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებითაც მრავალი მითი ვრცელდება[223], მაგალითად ის, რომ მას 100 წლის შემდეგ ვადა გასდის6 და თურქეთმა საქართველოს ტერიტორიები უნდა დაუბრუნოს,5 თურქეთი საქართველოს აჭარის რეგიონის მიტაცებას შეეცდება და ა.შ. რეალურად, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ 1992 წელს თურქეთთან „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების“ შესახებ ხელშეკრულება გააფორმა, რომლითაც არსებული საზღვრები ორივე მხარემ აღიარა და თურქეთი დღემდე საქართველოს ერთადერთი მეზობელია, რომელთანაც საზღვარი დელიმიტირებული და დემარკირებული აქვს. შესაბამისად, თურქეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე ან ტერიტორიის მიტაცების მცდელობებზე მინიშნება პრორუსული პროპაგანდის მიერ შექმნილი ყალბი ნარატივებია, რომელთა მიზანიც თურქეთის საქართველოს მთავარ მტრად წარმოჩენა და რეალური პრობლემისგან - რუსეთისა და რუსული ოკუპაციისგან - ყურადღების გადატანა და მოსახლეობაში თურქეთისა და NATO-ს საწინააღმდეგო განწყობების გაღვივებაა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ბოლო სამ თვეში არაერთი ანტითურქული გზავნილი გავრცელდა. მაგალითად, ოფიციალური საარჩევნო კამპანიის პერიოდში პრორუსული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ წერდა[224], რომ თურქეთი საქართველოს ტერიტორიებზე (კონკრეტულად იგულისხმებოდა აჭარა) პრეტენზიას საჯაროდ აცხადებს, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს ხელისულფება არ რეაგირებს. ამასთან, სტატიაში საუბარი იყო თურქეთის ექსპანსიონისტურ გეგმებზე, როგორც თურქეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორზე. ხოლო კიდევ ერთი ანტიდასავლური გამოცემა, „ასავალ-დასავალი“ ყალბი ინფორმაციის საფუძველზე ამტკიცებდა, რომ აჭარაში თურქეთს საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროში დიდი გავლენა აქვს.[225] ხოლო პრორუსული სააგენტოები, როგორებიცაა „საქინფორმი“[226] და „ნიუსფრონტი“[227] საქართველო-თურქეთის მოკავშირეობას ესხმოდნენ თავს და ყალბი მტკიცებებით7 აღვივებდნენ შიშს, რომ ყარსის ხელშეკრულებით თურქეთი საქართველოს აჭარას წაართმევდა და აგრეთვე ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულის რეგიონს. საქართველო-თურქეთის სტრატეგიულ პარტნიორობას თავს „საქართველო და მსოფლიოც“ ესხმოდა.[228] ხოლო „ნიუსფრონტის“ თანახმად[229], თურქეთმა საქართველოს ისტორიულად დიდი ზარალი მიაყენა, ხოლო რუსეთმა საქართველოს თურქეთის მიერ წართმეული ტერიტორიები დაუბრუნა და მიუხედავად ამისა, საქართველო თურქეთს მოკავშირედ განიხილავს და რუსეთს - პირიქით. აქედან გამომდინარე, რუსული პროპაგანდის ძირითადი ნარატივებია - 1) თურქეთის მიერ აჭარის (და ასევე სხვა რეგიონების) მიტაცების სურვილი და მცდელობა და 2) თურქეთი საქართველოს არა პარტნიორი, არამედ მტერია. აღნიშნული გზავნილების მიზანი რუსული ოკუპაციისა და საფრთხისგან ყურადღების გადატანა,

საქართველო-თურქეთის მოკავშირეობისადმი უარყოფითი დამოკიდებულის შექმნა და რუსეთის ნაცვლად საქართველოს მტრად თურქეთის წარმოჩენაა.

„საქართველო და მსოფლიომ“ პატრიოტთა ალიანსის წევრის, ვაჟა ოთარაშვილის, ინტერვიუ გამოაქვეყნა[230], სადაც ის ანტითურქულ ნარატივებს ავითარებდა. ოთარაშვილის თანახმად, მხოლოდ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ შეწყდა თურქეთის სისასტიკე საქართველოში და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიებიდან თურქეთის განდევნა დაიწყო. გარდა წარსულისა, სტატიაში საუბარი იყო საქართველოს მიმართ თურქეთის იმპერიული და ექსპანსიონისტური პოლიტიკის განგრძობითობაზე. კონკრეტულად, იყო მტკიცება, რომ თურქეთს საქართველოსადმი იგივე მიზნები აქვს და მხოლოდ მისი პოლიტიკის განხორციელების გზები შეიცვალა - ადრე ხისტი ძალით ცდილობდა ტერიტორიების წართმევას, ხოლო ახლა კი ექსპანსიისთვის ძირითადად ორი სახის რბილი ძალის ტექნიკებს იყენებს: 1) ეკონომიკური (ეკონომიკური ექსპანსიის ნარატივს „ნიუსფრონტიც“[231] იმეორებდა) და 2) განათლება-კულტურის, რითაც იდეოლოგიზაციას („თურქიზაციასა“ და „ისლამიზაციას“) ახორციელებს. შესაბამისად, სტატიაში თურქეთი ისტორიულად მტრად იყო მიჩნეული, რომელიც მეგობრად პოზიციონირებით საქართველოს „ფარულ გათურქებას“ ეწევა. ამასთან, ანტიდასავლური წყაროები „იდიოტად“ ან თურქეთის აგენტად მიიჩნევდნენ ყველას, ვინც არ აღიარებდა, რომ „თურქეთი აჭარის ისლამიზაციასა და გათურქებას ახორციელებს“.[232]

წინასაარჩევნო პერიოდში დეზინფორმაციული სააგენტოები, როგორებიცაა „ნიუსფრონტი“[233] და „თვალსაზრისი“[234] პრორუსი აქტორის, შოთა აფხაიძის, დეზინფორმაციული სტატიის გავრცელებით თურქეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების მიტაცების მცდელობის მორიგ ნარატივს ავითარებდნენ. კერძოდ, დეზინფორმაციის თანახმად, თურქეთი საქართველოში, სამცხე ჯავახეთის რეგიონში, ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლებას გეგმავდა, რითაც ამ რეგიონის „მატერიალურ-იდეურ ოკუპაციას“ მოახდენდა; ავტორმა ეს ნაბიჯი თურქეთის ნეოოსმანიზმისა და პანთურქიზმის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ფარგლებში ოსმალეთის აღდგენის მიზნისთვის აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის დაბრუნების მცდელობაც შეაფასა. ასევე აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კამპანიის პერიოდში გავრცელებული მოცემულ დეზინფორმაციაში ნახსენები იყო, რომ ე.წ. თურქი მესხების სამცხე-ჯავახეთში ჩასახლება და პროცესის უზრუნველყოფა თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა იმ პერიოდისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას შესთავაზა.

არჩევნებამდე ოთხი დღით ადრე „თვალსაზირსმა“[235] ანტითურქული ნარატივი გააქტიურა და ამტკიცებდა, რომ თურქეთს აჭარაზე პრეტენზია არაერთხელ განუცხადებია და ის საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს, რის გამოც საქართველომ თურქეთთან პოლიტიკას უნდა გადახედოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რეგიონში თურქეთის აგრესორ სახელმწიფოდ წარმოჩენის გარდა, თურქეთის საწინააღმდეგო დეზინფორმაცია საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის საკითხთანაც იყო დაკავშირებული. კერძოდ ავტორი ამტკიცებდა, თურქეთის მაგალითის მიხედვით, NATO უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი არ არის, რადგან ალიანსის წევრ სახელმწიფოებს (თურქეთსა და ასევე აშშ-ს) მიუძღვით სამხედრო დაპირისპირებების გაღვივებაში ყველაზე დიდი წვლილი. სტატიაში გაჟღერებული მესიჯები წარმოადგენს ნარატივის გაგრძელებას, რომლის მიხედვითაც,

საქართველოს NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში თურქეთი საქართველოში ბაზებს განალაგებს და მის ფაქტობრივ ოკუპაცია-ანექსიას მოახდენს.

საქართველოსთვის თურქეთიდან მომდინარე საფრთხის შესახებ პროპაგანდაზე კრემლისტური „ნიუსფრონტი“[236] ახალ ნარატივებს აშენებდა და ამტკიცებდა, რომ თურქეთის ნეოოსმანური და პანთურქისტული ექსპანსიონისტური პოლიტიკისგან საქართველო NATO და ევროკავშირი ვერ დაიცავენ, რადგან ისინი თურქეთისგან კვიპროსის დაცვასაც ვერ ახერხებენ. ამასთან, ეს პროპაგანდისტული სტატია არჩევნებსაც უკავშირდებოდა, ვინაიდან მოცემული იყო მტკიცება, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსები მოსახლეობას არ ეუბნებიან, რომ თურქეთისგან აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებს არა ევროკავშირი და NATO, არამედ მხოლოდ რუსეთი დაიცავს. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნოდ თურქეთისგან მომდინარე საფრთხის დამცველად რუსეთის წარმოჩენის გზავნილებს პრორუსული ვებგვერდები აქტიურად ავრცელებდნენ. მაგალითად, იგივე „ნიუსფრონტი“ წერდა[237], რომ რუსეთის დაშლის შემთხვევაში თურქეთი საქართველოს დაიკავებს, ხოლო „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი, არნო ხიდირბეგიშვილი, შიშობდა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიას თურქეთს უთმობდა, რაც საქართველოსთვის ინტერვენციას, ომს, სრულ ოკუპაციასა და მძიმე მდგომარეობას ნიშნავდა.[238] „ნიუსფრონტის“ მსგავსად „საქართველო და მსოფლიოც“ თურქეთის საფრთხის გასანეიტრალებლად რუსეთს, მასთან ურთიერთობის გაუმჯობესებასა და ასევე სამხედრო მიუმხრობლობის გამოცხადებას მიიჩნევდა. ასევე, „საქინფორმის“ მანიპულაციურად ამტკიცებდა[239], რომ ყარსის ხელშეკრულებით თურქეთისგან აჭარის დაკავების საფრთხე არსებობს და თურქეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაცვა მხოლოდ რუსეთს შეუძლია. ხოლო „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი „სპუტნიკთან“[240] და „ნიუსფრონტთან“[241] აცხადებდა, რომ საქ ართველოში მზარდი თურქული გავლენის გამო წინასაარჩევნოდ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ პოზიტიური ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ანტითურქული გზავნილები პრორუსული მედიების გარდა საქართველოში მოქმედი პრორუსული და ანტიდასავლური პოლიტიკური პარტიების მიერაც ხშირად ვრცელდება. გამონაკლისი არ ყოფილა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდიც, როდესაც ისეთი ანტიდასავლური და პრორუსული პოლიტიკური პარტიები, როგორებიცაა „პატრიოტთა ალიანსი“, „ქართული იდეა“, „ქართული მარში“, თურქეთის საწინააღმდეგო პროპაგანდისტულ მესიჯებს ავრცელებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობაში ანტითურქული სენტიმენტების გაღვივება „პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. მათ აჭარაში განათავსეს სარეკლამო ბანერები წარწერით - „დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო!“, ხოლო ბანერზე გამოსახულ საქართველოს რუკაზე აჭარა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიები ერთნაირად იყო გამოსახული[242], რითაც თურქეთის მიერ აჭარის ოკუპაციაზე მიანიშნებდა. ამასთან, „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ წინასაარჩევნო პერიოდში Facebook-ზე განთავსებული რეკლამების უმეტესობა სწორედ ანტითურქული შინაარსის იყო[243] და მოსახლეობას აჭარის თურქეთისგან დაცვისკენ მოუწოდებდა. ასევე „პატრიოტთა ალიანსმა“ ჩაწერა და გაავრცელა (განსაკუთრებით, მათი სატელიტი ტელევიზიის - „ობიექტივის“ - რესურსებით) ანტითურქული ვიდეორგოლების სერია, სადაც პარტიის

ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ თურქეთი საქართველოს ტერიტორიებზე (აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და გურიის რეგიონებზე) პრეტენზიას აცხადებს, თურქეთი საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს და ამიტომ მოსახლეობას მოქმედება მართებს. ასევე, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები აცხადებენ, რომ თურქეთს საქართველოს ტერიტორიების 33% ოკუპირებული აქვს. ვიდეოები აღნიშნული პროპაგანდისტული კამპანიიდან ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე: ბმული 1, ბმული 2, ბმული 3, ბმული 4, ბმული 5, ბმული 6, ბმული 7 და ა.შ. მსგავსი მესიჯები „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო გაზეთითაც[244] ვრცელდებოდა. ასევე საუბარი იყო თურქეთის ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ექსპანსიაზე და მოსახლეობას აღნიშნულ სფეროებში თურქულ გავლენასთან ბრძოლას მოუწოდებდა. აგრეთვე, მათ გაზეთებში[245] ანტითურქული დეზინფორმაციის მიერ შექმნილი ყალბი ამბებიც მეორდებოდა. ამასთან, პარტიის ერთ-ერთ წინასაარჩევნო გაზეთში[246] აღნიშნული იყო, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ საქართველოში და განსაკუთრებით - აჭარაში, დიდი ხანია თურქეთის ექსპანსიის წინააღმდეგ იბრძვის და თავს იწონებს, რომ ამ მხრივ ერთადერთი პარტიაა. ხოლო ერთ-ერთ წინასაარჩევნო კლიპში[247] აცხადებდნენ, რომ მოქმედი „ქართული ოცნების“ მთავრობა აჭარაში თურქული ექსპანსიის შესაჩერებლად არაფერს აკეთებს. აქედან გამომდინარე, პარტია მოსახლეობას მოუწოდებდა საქართველოში თურქული ექსპანსიის წინააღმდეგ ემოქმედათ, დაეცვათ და არ დაეთმოთ აჭარა თურქეთისთვის.

ასევე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეა“ ანტითურქული პროპაგანდის არაერთ გზავნილს იმეორებდა. მაგალითად, პარტიის წარმომადგენელი ავრცელებდა ნარატივს[248], რომ მტრის ხატად მხოლოდ რუსეთის დახატვა არასწორია, რადგან საქართველოს ნომერ პირველი მტერი და უდიდესი ბოროტება თურქეთია. მისი მტკიცებით, თურქეთი საქართველოს პარტნიორი არაა, არამედ ოკუპანტი სახელმწიფოა, რომელსაც საქართველოს უზარმაზარი ტერიტორია (ტაო-კლარჯეთი) აქვს მითვისებული და აჭარის ოკუპაციასა და ანექსიას ახდენს. „ქართული იდეა“ აგრეთვე ამტკიცებდა, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობამ აჭარა თურქეთს მიჰყიდა[249] და თურქეთი აჭარის „ისლამიზაციასა“ და „თურქიზაციას“ ეწევა.[250]

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკურ პარტიად გადაკეთებული „ქართული მარში“ თავის ორაზროვან განცხადებაში ამტკიცებდა, რომ ყარსისა და საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულებებით თურქეთმა შესაძლოა აჭარა მიისაკუთროს.[251]

როგორც „პატრიოტთა ალიანსის“, „ქართული იდეისა“ და „ქართული მარშის“ განცხადებებისა და საარჩევნო პროგრამებიდან ჩანს, ანტიდასავლური პარტიების მესიჯები საქართველოში პრორუსული პროპაგანდის მიერ გავრცელებულ ანტითურქულ ნარატივს ზუსტად იმეორებს. შესაბამისად, ანტითურქული პროპაგანდა საარჩევნო პროცესს უკავშირდება, ერთი მხრივ, ანტითურქული მესიჯების მაგალითების განხილვისას გამოვლენილი ფაქტით, რომ პრორუსული წყაროები პრორუსული და ანტიდასავლური პარტიების წარმომადგენლების ინტერვიუებით ავრცელებენ თურქეთის საწინააღმდეგო მესიჯებს (მაგალითად, „საქართველო და მსოფლიო“ ინტერვიუ „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელთან), ხოლო, მეორე მხრივ, პრორუსული მედიების მიერ დასახელებული პარტიების იდენტური ნარატივის გავრცელებით მოსახლეობას

აღნიშნული პარტიების მხარდაჭერისკენ უბიძგებს. ბუნებრივია, თუ რუსული პროპაგანდა ამომრჩეველს დააჯერებს, რომ საქართველოს მთავარი მტერი და საფრთხე თურქეთია, ის მხარს ისეთ პარტიას დაუჭერს, რომელიც თურქულ საფრთხეზე საუბრობს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული „პატრიოტთა ალიანსი“ იყო, რომლის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ თურქულ საფრთხეზე ყურადღების გამახვილება იყო. ასევე აღსანიშნავია, რომ აჭარაში განთავსებული ბანერების გამო გამოწვეული კრიტიკისგან „პატრიოტთა ალიანსის“ დაცვით „თვალსაზრისი“ გამოირჩეოდა. მას „საქართველო და მსოფლიოს“ მსგავსად „პატრიოტთა ალიანსის“ და მისი ლიდერის, ირმა ინაშვილის, მხარდამჭერი სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდა, თუმცა ანტითურქული პროპაგანდის საკითხებში და განსაკუთრებით, აჭარაში განთავსებული ბანერების პრობლემაში „პატრიოტთა ალიანსის“ რიტორიკას განხილული წყაროებიდან ყველაზე აქტიურად სწორედ „თვალსაზრისი“ ავრცელებდა.

წყაროები:

[218] Free Trade Agreement Between the Republic of Turkey and Georgia. Accessible at: https://trade.gov.tr/data/5b9111f813b8770becf1e74b/3084ba862ac8810125184a17da1112da.pdf

[219] სივილ ჯორჯია. (2021). საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2020 წელს. მოძიებულია: https://civil.ge/ka/archives/392016 ბოლო ნახვა: 25.05.2021

[220] Kakhaber Kemoklidze and Natia Seskuria. (2021). Targeting Turkish–Georgian Relations: Russian Disinformation is Taking a Local Turn. Retrieved from: https://rusi.org/commentary/targeting-turkish-georgian-relations-russian-disinformation-taking-local-turn last visit: 25.05.2021

[221] ინტერპრესნიუსი. (2021). მევლუთ ჩავუშოღლუ - თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავებას. მოძიებულია: https://www.interpressnews.ge/ka/article/644881-mevlut-chavushoglu-turketi-mxars-uchers-sakartvelos-evroatlantikur-strukturebtan-urtiertobis-gagrmavebas ბოლო ნახვა: 25.05.2021

[222] იაკობ ლაჩაშვილი. (2021). დეზინფორმაცია: 100 წლის წინ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორია თურქეთს ყირიმში 100 წლის ვადით გაუცვალა და თურქეთს მისი დაბრუნება ევალება. „ფაქტ-მეტრი“, მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/39440 ბოლო ნახვა: 25.05.2021

[223] მაია ბაღათურია. (2019). მითები და რეალობა ყარსის ხელშეკრულების შესახებ. „ფაქტ-მეტრი“, მოძიებულია: https://factcheck.ge/ka/story/37989 ბოლო ნახვა: 25.05.2021

[224] ნიკა კორინთელი. (2020). თურქეთი საჯაროდ აცხადებს პრეტენზიას საქართველოს ტერიტორიებზე, საქართველოს ხელისუფლება კი დუმს. საქართველო და მსოფლიო, მოძიებულია: geworld.ge/ge/თურქეთი-საჯაროდ-აცხადებს/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[225] გიორგი ბოლქვაძე. (2020). არის თუ არა ბათუმში შეიხების სახელობის ქუჩები? მითების დეტექტორი, მოძიებულია: https://www.mythdetector.ge/ka/myth/aris-tu-ara-batumshi-sheikhebis-sakhelobis-kuchebi ბოლო ნახვა: 25.05.2021

[226] არნო ხიდირბეგიშვილი. (2020). დიაბეტიანმა ერდოღანმა აზერბაიჯანი გაწირა და საქართველოს გაწირვასაც აპირებდა! - არნო ხიდირბეგიშვილი. საქინფორმი, მოძიებულია: http://www.arnoxidi.com/newpost408.htm ბოლო ნახვა: 25.05.2021

[227] არნო ხიდირბეგიშვილი. (2020). ღმერთმა დაგვიფაროს ერდოღანის მსგავსი მოკავშირეებისგან! ნიუსფრონტი, მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/10/09/ghmerthma-dagvipharos-erdoghanis-msgavsi-mokavshireebisgan/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[228] ბესო ბარბაქაძე. (2020). სამარცხვინო ანომალია. საქართველო და მსოფლიო, მოძიებულია: ge-world.ge/ge/სამარცხვინო-ანომალია/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[229] რევაზ კილასონია. (2020). "ვცადოთ, რუსის პოზიციიდან გადავხედოთ ისტორიას: ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია, რუსი რომ ვიყო, მეც მეწყინებოდა". ნიუსფრონტი, მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/10/19/vtsadoth-rusis-pozitsiidan-gadavkhedoth-istorias-amqveqhnad-qhvelapheri-shedarebithia-rusi-rom-viqho-mets-gamitqhdeboda/ ბოლო ნახვა: 25.05.2021

[230] ჯაბა ჟვანია. (2020). ვაჟა ოთარაშვილი: ეს არის ფარული გათურქება, რომელსაც მეგობრად გამოცხადებული ისტორიული მტერი ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს. საქართველო და მსოფლიო, მოძიებულია: geworl.ge/ge/ვაჟა-ოთარაშვილი-ეს-არის-ფ/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[231] ნიუსფრონტი. (2020). აჭარის რეალური პატრონი გალიფ ოზთურქი საქართველოს თურქეთის და აზერბაიჯანის გარეშე არ განიხილავს. მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/08/05/atcha-ris-realuri-patroni-galiph-ozthurqi-saqarthvelos-thurqethis-da-azerbaijanis-gareshe-ar-ganikhilavs/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[232] თვალსაზრისი. (2020). ნიკოლოზ მჟავანაძე: სრული იდიოტი, ან თურქეთის აგენტია, ვინც თვლის რომ… მოძიეუბულია: tvalsazrisi.ge/ნიკოლოზ-მჟავანაძე-სრული/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[233] შოთა აფხაიძე. (2020). თურქეთი საქართველოში "თურქი მესხების" დაბრუნების დაჩქარებას აპირებს. ნიუსფრონტი, მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/09/11/thurqethi-saqarthveloshi-thurqi-meskhebis-dabrunebis-dachqarebas-apirebs/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[234] შოთა აფხაიძე. (2020). თურქეთი საქართველოში "თურქი მესხების" ჩამოსახლებას აპირებს! – შოთა აფხაიძე: . თვალსაზრისი, მოძიებულია: https://tvalsazrisi.ge/თურქეთი-საქართველოში-თუ/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[235] ირაკლი ჯანყარაშვილი. (2020). თურქეთი თავის სამეზობლოში ყველას ოპონენტად განიხილავს და თითქმის აღარავისთან აქვს კეთილმეზობლური ურთიერთობა. თვალსაზრისი, მოძიებულია: tvalsazrisi.ge/თურქეთი-თავის-სამეზობლოშ/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[236] გულბაათ რცხილაძე. (2020). ევროკავშირი თურქეთის ექსპანსიისგან ვერ და არ დაგვიცავს – თვითონ დასაცავია. ნიუსფრონტი, მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/09/12/evrokavshiri-thurqethis-eqspansiisgan-ver-da-ar-dagvitsavs-thvithon-dasatsavia/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[237] ნიუსფრონტი. (2020). რუსეთი თუ დაიშლება, საქართველოს თავზე მალევე ნახევარმთვარე აფრიალდება და როგორც ადრე, ისე გაიყოფენ "ისტორიული მეგობრები" ჩვენს კურთხეულ

ქვეყანას-დიტო ბიძინაშვილი. მოძიებულია: https://ge.news-front.info/2020/09/11/rusethi-thu-daish-leba-saqarthvelos-thavze-maleve-nakhevarmthvare-aphrialdeba-da-rogorts-adre-ise-gaiqhophen-isto-riuli-megobrebi-chvens-kurthkheul-qveqhanas-dito-bidzinashvili/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[238] მაია ჯავახიშვილი. (2020). არნო ხიდირბეგიშვილი: რუსეთი თურქეთს სამხრეთ კავკასიას უთმობს. საქინფორმი, მოძიებულია: http://saqinform.ge/news/48339/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[239] საქინფორმი. (2020). არნო ხიდირბეგიშვილი: თურქულმა ფაქტორმა აშშ-ს აღიარებინა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთისკენ მიისწრაფვის. მოძიებულია: http://saqin-form.ge/news/47578/ ბოლო ნახვა: 26.05.2021

[240] Sputnik საქართველო. (2020). „ხიდირბეგიშვილი - IRI-ს გამოკითხვები რუსეთთან ურთიერთობის შესახებ, რეალობასთან ახლოსაა“, მოძიებულია: https://sputnik-geor-gia.ru/20200813/Khidirbegishvili-rezultaty-oprosa-IRI-ob-otnosheniyakh-s-Rossiey-blizki-k-realnosti-249204844.html ბოლო ნახვა: 26.05.2021

[241] News-Front. (2020), „არნო ხიდირბეგიშვილი, თურქეთის ფაქტორმა აშშ-ს აიძულა ეღიარებინა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთისკენ მიილტვის“, /მოძიებულია: https://news-front.info/2020/08/16/arno-hidirbegishvili-tureczkij-faktor-vynudil-ssha-priznat-chto-bolshinstvo-naseleniya-gruzii-tyagoteet-k-rossii/?fbclid=IwAR0RW60eQoz0DtE-oaO2r24iyD_hRW3rPFSht3SDfPau0l9vlFm4JmwjxBjA ბოლო ნახვა: 26.05.2021

[242] ფორმულა. (2020). ბათუმის მერიამ პატრიოტების ბანერები ჩამოხსნა, შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი. მოძიებულია: https://formulanews.ge/News/35924 ბოლო ნახვა: 26.05.2021

[243] ფორმულა. (2020). პატრიოტთა ალიანსი Facebook-ზე ძირითადად თურქოფობიული შინაარსის ვიდეოებს ასპონსორებს. მოძიებულია: https://formulanews.ge/News/36000 ბოლო ნახვა: 26.05.2021

[244] საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. (2020ა). საქართველოს პატრიოტი. ხელმისაწვდომია: http://patriots.ge/ka/npN3 ბოლო ნახვა: 26.05.2021

[245] საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. (2020ბ). საქართველოს პატრიოტი. ხელმისაწვდომია: http://patriots.ge/ka/npN3 ბოლო ნახვა: 26.05.2021

[246] საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. (2020გ). საქართველოს პატრიოტი. ხელმისაწვდომია: http://patriots.ge/ka/npN1 ბოლო ნახვა: 26.05.2021

[247] Alliance Official. (2020). იბრძოლე შენი ქვეყნისთვის! იყავი შენი ქვეყნის პატრიოტი! დაიცავი საქართველო! საარჩევნო ნომერი 8! მოძიებულია: https://www.youtube.com/watch?v=KX-opVluN0s ბოლო ნახვა: 26.05.2021

[248] საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ქართული იდეა". (2020). გეგა ხვედელიძე - "თურქეთი არის ჩვეულებრივი ოკუპანტი"! მოძიებულია: https://www.facebook.com/qartuli-idea.ge/posts/609717413262674 ბოლო ნახვა: 26.05.2021

[249] საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ქართული იდეა". (2020). ტარიელ მახარაძე კონსტიტუციური კანონპროექტის განხილვაზე. მოძიებულია: https://www.facebook.com/qartuli-idea.ge/posts/661171961450552 ბოლო ნახვა: 26.05.2021

[250] საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ქართული იდეა". (2020). გეგა გიორგი ხვედელიძე აზარტული თამაშების ბოროტებაზე. "ქართული იდეა" N 44. მოძიებულია: https://www.face-book.com/watch/?v=383351742833832 ბოლო ნახვა: 26.05.2021

[251] Georgian March / ქართული მარში - ქუთაისი. (2020). ყარსის ხელშეკრულების ირგვლივ არსებობს რამდენიმე მითი... მოძიებულია: https://www.face-book.com/110671210679338/posts/141257074287418 ბოლო ნახვა: 26.05.2021

კვლევის პროცესში, საქართველოსა და სლოვაკეთის რესპუბლიკაში წინასაარჩევნო პერიოდში გავრცელებული დეზინფორმაციული ნარატივების საერთო და განსხვავებული რამდენიმე მახასიათებელი გამოიკვეთა. ცალკეულ თავებთან დაკავშირებული ძირითადი დასკვნები მოკლედ არის აღწერილი ქვემოთ.

დეზინფორმაცია NATO-ს წინააღმდეგ

მიუხედავად სლოვაკეთისა და საქართველოს ურთიერთობისა და პოზიციების განსხვავებისა NATO-სთან მიმართებაში, ორივე ქვეყანაში ალიანსის წინააღმდეგ მსგავსი ნარატივები გამოჩნდა. ეს ნარატივები, ძირითადად სუვერენიტეტის დაკარგვის საკითხზე აპელირებდნენ. სლოვაკეთში, რომელიც NATO-ს წევრია, ერთობლივ სამხედრო წვრთნებს ხშირად წარმოაჩენდნენ როგორც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ძალის დემონსტრირებას და ეროვნული სუვერენიტეტის შელახვას. ორივე ქვეყანაში, ასევე იყო საზოგადოების მიზანმიმართული პოლარიზაციის მცდელობები, როდესაც ადამიანებს სთავაზობდნენ მხოლოდ ორ არჩევანს - დაიკავონ "დასავლური ძალების" ან "აღმოსავლეთის" მხარე. საქართველოში ეს ნარატივი ეყრდნობოდა იმ დაუსაბუთებელ მტკიცებას, რომ NATO-ში მისი პოტენციური წევრობა აუცილებლად გამოიწვევს ღია დაპირისპირებას და კონფლიქტს. ქართული დეზინფორმაციული მედია NATO-ს წევრობას ასევე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობების პოტენციურ წარუმატებლობასთან აიგივებდა. სლოვაკურ და ქართულ დეზინფორმაციულ ნარატივებს შორის სხვაობა ის იყო, რომ ქართულმა მედია NATO-ს წარმოაჩენდა როგორც აგრესიულ აქტორს, რომელიც კონფლიქტებს იწვევს და რუსეთს ესხმის თავს, რომელიც ქმედუუნაროა და დაშლის პირასაა. მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკეთის დეზინფორმაციული მანქანაც იყენებს მსგავს რიტორიკას, ის უფრო ხშირად აიგივებს NATO-ს შეერთებულ შტატებთან და მათ ერთსა და იმავე აქტორად წარმოჩენას ცდილობს.

პრო-რუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა

ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, კვლევამ გამოავლინა ეს ნარატივი როგორც სლოვაკეთში, ასევე საქართველოში. თუმცა, თითოეულ ქვეყანაში, მან ოდნავ განსხვავებული ფორმა მიიღო. საქართველოში ეს ნარატივი ძირითადად ასოცირდებოდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რუსული ოკუპაციის გამართლებასთან და თუნდაც მხარდაჭერასთან. რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ დეზინფორმაციულმა მედიამ წარმოაჩინა, როგორც რუსეთის აუცილებელი თავდაცვა დასავლეთის გავლენის გავრცელებისგან, ხოლო "დასავლეთი" აგრესორად დაასახელეს. ყველა სხვა ასპექტში, ნარატივები ორივე ქვეყანაში იდენტური იყო. პრორუსული აქტორები თანამედროვე რუსეთს, ტრადიციული და კონსერვატიული ღირებულებების ერთადერთი მფარველად წარმოაჩენდნენ და ხაზგასმით აღნიშნავდნენ სლოვაკეთისა და რუსეთის, საქართველოსა და რუსეთის ისტორიულ და კულტურულ ურთიერთსიახლოვეს. ამას გარდა, რუსეთი აღწერილი იყო როგორც მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური ძალის მქონე ერთადერთი ნამდვილი მოკავშირე ორივე ქვეყნისათვის. და ბოლოს, სლოვაკეთსა და საქართველოში, ასევე მუშაობდა ნარატივი, რომელიც გამიზნულად საბჭოთა კავშირის ნოსტალგიის გაღვივებასა და საერთო წარსულის იდეალიზაციას ცდილობდ.

სლოვაკეთის უსაფრთხოების
პოლიტიკის ინსტიტუტი

ნა ვრსკუს ქუჩა #8, 811 01, , ბრატისლავა,
სლოვაკეთი

ტელ: (+421) (02) 4319 1592
E-mail: info@slovaksecurity.org
www.slovaksecurity.org

© SSPI, GRASS, 2021. ყველა უფლება დაცულია

ISBN: 978-80-973171-6-4
EAN: 9788097317164